

„მაგარი ბიჭების" პროექტი

A6



ლევან კობიაშვილი: ოცნებას ავისრულებთ!

B4



გარდაიცვალა "მაკინტოშის" დამაარსებელი

B8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 2 მარტი, 2005 წელი. №47 (907)

ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

პარლამენტარებს სკოლა "უხმობს"



"ზოგადი განათლების შესახებ" კანონპროექტის საპარლამენტო განხილვას გუშინ ისეთივე ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვა, როგორიც, თავის დროზე, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მიღებას.

A2

## სამართალი

პოლიცია ძველ მეთოდებს არ ღალატობს

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული მასალები სამართალდამცველთა მხრიდან ჩადენილ კანონდარღვევებს ადასტურებს.

A7

## ეკონომიკა

### საგადასახადო განმარტებები

პასუხები მკითხველის შეკითხვებზე

A4


იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანიც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7


# თბილისი-კიევი-კიშინიოვი

## საერთო პრობლემების ერთნაირი ხედვა

*"მოლდოვას პრეზიდენტის ვიზიტი ისე სწრაფად და მოულოდნელად გადაწყდა, რომ ჩვენ პრესის გაფრთხილება კი არა, ვიზიტის მოსამზადებელი სამთავრობო სამუშაო ჯგუფის შექმნაც ვერ მოვასწარით," - ირწმუნებოდა გუშინ უკრაინის პრეზიდენტის პრესმდივანი ირინა გერაშჩენკო. ოფიციალური განცხადებით, წინასწარ დაუგეგმავი ექსტრემალური შეხვედრის ინიციატივა თავად მოლდოვის პრეზიდენტის, ვლადიმირ ვორონინისგან მოდიოდა.*

*მართალია, უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახური არ ასახელებს შეხვედრისას განხილულ თემებს, მაგრამ, აშკარაა, საუბარი წინა დღით იუშენკოს მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან წამოჭრილ სუუამის "გაცოცხლების" საკითხს უკავშირდება. ასეთივე მოულოდნელ ვიზიტს დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოლდოვაში განახორციელებს. კიშინიოვში ჩასვლის გამო პრეზიდენტ სააკაშვილს იტალიაში პირველი ოფიციალური ვიზიტის ერთი დღით გადადებაც კი მოუწია. ცხადია, პრეზიდენტების ასეთ "გადარბენებს" სერიოზული საფუძველი აქვს. უნებურად ჩნდება კითხვა: ამ ყველაფრის მიზეზები ახლახანს შემდგარ ბრატისლავას სამიტსა და ბუში-პუტინის შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე აშშ-ს პრეზიდენტის "რევოლუციურ" განცხადებებში ხომ არ უნდა ვეძიოთ? პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიზაციის პროცესი გრძელდება, და იგი აშკარად არ უწყობს ხელს რუსეთის გავლენის ზრდას.*

### დემოკრატიზაცია მოლდოვურად - ხავერდოვანი რევოლუცია ხელისუფლების ცვლის გარეშე?

ინფორმაციის დეფიციტის პირობებში ძალიან ძნელია, გამოიცნო, რას უკავშირდება უმაღლეს დონეზე "მოულოდნელი" შეხვედრების სერიალი.

გასულ კვირას ბრატისლავას ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე გამოსვლისას ჯორჯ ბუში აცხადებდა:

გაგრძელება A3 გვერდზე



*უკრაინისა და მოლდოვას პრეზიდენტების შეხვედრა.*

# დავით უსუფაშვილი: ხელისუფლებაზე უარესი დღეს ოპოზიციაა

## პოლიტიკური კლუბიდან - პოლიტიკურ პარტიამდე

მაია ჭალაგანიძე



*დამოუკიდებლობიდან მოყოლებული, იმდენმა პარტიამ მოატყუა მოსახლეობა, რომ შეიძლება, არც დაინტერესდნენ კიდევ ერთი პარტიული ბოსის ვრცელი ინტერვიუთი. მაინც გთავაზობთ, რადგან ამ პარტიას უცნაური ჩვევა აქვს - 27 წელია, არც ერთი ხელისუფლება არ მოსწონდა. და არც ეს... პარლამენტის "რესპუბლიკელები", ერთი შეხედვით, სწორედ ის ოპოზიციაა, რომელიც უნდა ქვეყანას და რომელსაც ზოგჯერ პრეზიდენტიც მოიხსენიებს კონსტრუქციულ ოპოზიციად. პარლამენტს გარეთა "რესპუბლიკელები" უფრო მკაცრები არიან შეფასებებში. სახელმწიფოდ გადაქცევისთვის კანონებზე მუშაობა და ინტელექტუალური დისკუსიები აუცილებელია, მაგრამ შედეგი გვიან მოაქვს. პურის ფულზე გადაგებული ადამიანებისთვის კი ყოველ დღეს აქვს მნიშვნელობა და ადამიანს უნდა ჰქონდეს მოტივაცია, რომ აიტანოს წესრიგის დამყარების სახელით დაწყებული შევიწროვება. ამ მოტივაციის ძებნაა სწორედ მიზეზი იმ პარტიის ლიდერთან საუბრისა, რომლის წევრები ცალ-ცალკე არიან გამორჩეული პოლიტიკური თუ სამოქალაქო ფიგურები და ამით არღვევენ ჩვენში დამკვიდრებულ ერთ ადამიანზე ჩამოკიდებული პარტიის სტერეოტიპს. მალე დავით უსუფაშვილი დავით ბერძენიშვილს შეცვლის "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარის პოსტზე და საქართველოში პოლიტიკური პარტიების ახალ ჩემპიონატს დაიწყებს.*

გაგრძელება B1 გვერდზე


## პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

თქვენს ქვეყანაში მხოლოდ ერთი გაყალბებული დოკუმენტის მეშვეობით, მიიტაცეს ჩემი 20.000.000 აშშ დოლარის ღირებულების ინვესტიცია!

2004 წლის 17 ნოემბერს გენერალურ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე გაყალბებისა და ჩემი საკუთრების მიტაცების ფაქტზე. აღნიშნულ საქმეს დღემდე "იძიებს" საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, მაგრამ გამოძიებას ბოლო არ უჩანს. მიუხედავად იმისა რომ აშშ-ს სასამართლოს მიერ კვალიფიცირებულმა დოკუმენტების ექსპერტმა უკვე ჩაატარა ექსპერტიზა და სახეზეა საბოლოო დასკვნა გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიურომ, საეჭვო მიზეზების გამო, ვერ შეძლო საბოლოო დასკვნის გაკეთება. ასეთი შეფერხება მაყენებს მე უდიდეს ფინანსურ ზიანს და ასუსტებს უცხოელი ინვესტორების ნდობას საქართველოს ეკონომიკისა და სამართლიანობის პრინციპების მიმართ.

თქვენო აღმატებულებავ, იმ დროს, როდესაც თქვენ გამუდმებით ცდილობთ, მოიზიდოთ ქვეყანაში უცხოელი ინვესტორები საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიზნით, წინა ხელისუფლების მიერ დატოვებული საზიანო კვალი ქმნის წინააღმდეგობებს.

გთხოვთ, პირადად დაინტერესდეთ ამ საკითხით, რათა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა არ მიიღოს ისეთივე გამოუსწორებელი ფინანსური ზიანის ფორმა, როგორიც წინა ხელისუფლებამ დატოვა.

**პატივისცემით ჰუსეინ ალი**

ტელ/ფაქსი: 22-66-71, მის: ჭავჭავაძის გამზ. N 76






იხილეთ B3 გვერდზე


# ახალი ხელისუფლება და უცვლელი პრობლემები

## საქართველო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წლიურ ანგარიშში

ხათუნა გაბიევი

*აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ადამიანის უფლებების შესახებ 2004 წლის წლიური ანგარიში გამოაქვეყნა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ანგარიშის ის ნაწილია, სადაც რევოლუციაგამოვლილი საქართველოს წარმატებასა თუ წარუმატებლობაზეა საუბარი. ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის განვითარების შესახებ ბრატისლავაში საქართველოსა და უკრაინისადმი გამოთქმული დადებითი შეფასებების პარალელურად, აშშ თვალს არც იმ ნაკლოვან მხარეებზე ხუჭავს, რომელიც ჯერ კიდევ მრავლად აქვს საქართველოს, უფრო ზუსტად კი - ქვეყნის ხელისუფლებას. რევოლუციის შემდეგ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მიუხედავად, ზოგიერთი დარღვევა კვლავ ძალაში რჩება, აღნიშნულია ანგარიშში. ძირითადი აქცენტები გაკეთებულია სამართლებრივ, საინფორმაციო და რელიგიურ საკითხებზე.*

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის რაოდენობა სულ 4.4 მლნ ადამიანით განისაზღვრება, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი 2004 წლის მანძილზე 8.4-ს შეადგენდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რას აპროტესტებენ პანკისის ხეობის დამცველები და ერაყში მყოფი ჯარისკაცების მშობლები

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"

*საქართველოს ხელისუფლებამ 2005 წლის სამხედრო ბიუჯეტი 140 მილიონ ლარამდე გაზარდა, რაც სამჯერ აღემატება შარშანდელ სამხედრო დანახარჯებს. ეს თანხა, ერთი შეხედვით, თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო ყველა აუცილებელი ხარჯების დასაფინანსებლად და სამხედრო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების მოსაწესრიგებლად. მაგრამ, ბოლო დღეების განმავლობაში სამხედრო უწყების მისამართით სულ უფრო მეტი საჩივარი სწორედ შრომის ანაზღაურების შემცირებისა თუ მათი გადავადების გამო გამოითქმის.*

გასულ კვირაში, დანაპირები ანაზღაურების მოთხოვნით, თავდაცვის სამინისტროს წინაშე გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია პანკისის ხეობის დამცველებმა გამართეს.

როგორც ირკვევა, დუისელი 12 ქისტი შინაგან ჯარში 2002 წლის ნოემბერში ჩაირიცხა. საქართველოს ხელისუფლებისთვის, რომელმაც იმხანად პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაცია წამოიწყო, ეთნიკური ჩეჩნების სამხედრო სამსახურში ჩაბმას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. დაქირავებული ქისტების სამხედრო მოვალეობას საკონტროლო გამშვებ პუნქტზე სადღეღამისო მორიგეობა წარმოადგენდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 2/3 | 3/3 | 4/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 14 | 8 |
| ქუთაისი | 14 | 16 | 11 |
| ბათუმი | 15 | 18 | 10 |
| სოხუმი | 8 | 12 | 6 |
| ფოთი | 14 | 17 | 10 |
| თელავი | 13 | 13 | 6 |
| ზუგდიდი | 14 | 17 | 10 |
| გორი | 10 | 11 | 4 |
| ახმეტა | 12 | 12 | 6 |
| ჭიათურა | 11 | 13 | 8 |
| გაგრა | 4 | 9 | 2 |
| სამტრედია | 15 | 17 | 11 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8375 |
| ევრო | 2.4245 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5263 |
| რუბლი | 0.0663 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | თვალსაზრისი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |

აფხაზეთი

## ვინ დაესხა თავს ანქვაბს?

ორშაბათს საღამოს აფხაზეთის პრემიერ-მინისტრ ალექსანდრ ანქვაბზე თავდასხმა განხორციელდა. ანქვაბის "ვოლგას" სოხუმის გასასვლელთან, სოფელ აჩადარასთან უცნობებმა ცეცხლი გაუხსნეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ანქვაბს გაუმართლა. იგი დაცხრილულ მანქანაში არ იმყოფებოდა. ანქვაბი ვიცე-პრემიერ ლეონიდ ლაკერბაიას მანქანაში ჩაჯდა და საკუთარ "ვოლგას" უკან მიჰყვებოდა. პრემიერის ავტომანქანას რვა ნატყვიარი აღმოუჩინეს. ანქვაბის მძღოლი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც თავდასხმის დროს მანქანაში იჯდა. მძღოლი არ დაშავებულა. მოგვიანებით გამართულ პრესკონფერენციაზე ანქვაბმა აღნიშნა, რომ ამ ბოროტმოქმედების ჩამდენთა მოტივები მისთვის უცნობია.

ამასთან, ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ანქვაბის მტრების რიცხვი დღითიდღე იზრდება. კერძოდ კი, მთავრობის გადაწყვეტილებამ, გასატან ჯართზე გადასახადის ორმოცი პროცენტით გაზრდის შესახებ, დიდი დარტყმა მიაყენა გალის რაიონში მოქმედი ნახევრადკრიმინალური ჯგუფების ფინანსურ ინტერესებს. ცნობილია, რომ აფხაზეთიდან ამ ჯგუფებს ჯართი თურქეთში საქართველოს გავლით გაჰქონდათ.

## ბაგაფშის საპარლამენტო გამოსვლა წინასაარჩევნო აგიტაციის რიმეიკი

ბაგაფშის საპარლამენტო გამოსვლა ცოტა რამით თუ განსხვავდებოდა წინასაარჩევნო კამპანიისას გაკეთებული განცხადებებისგან. დეპუტატებს სადღესასწაულო განწყობა ეტყობოდათ, რამაც დამსწრე ჟურნალისტები გაახალისა. ვიღაცამ პრეზიდენტს ყვავილების თაიგული მიართვა, ხოლო სპიკერმა ნუგზარ აშუბამ შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: **"სერგეი ვასილის ძევ, ჩვენ ამიერიდან აღარ გვყავს ოპოზიცია და პოზიცია, ჩვენ ყველანი თქვენ გიჭერთ მხარს".**

თავის მხრივ სერგეი ვასილის ძეს პრეზიდენტობის მესამე კვირას საკმაოდ გაუჭირდა საკუთარ მიღწევებზე საუბარი. მან წინასაარჩევოდ გაკეთებული განცხადებები გაიმეორა. ბაგაფშმა შეძლო, დიპლომატიურად აეცილებინა საუბარი აფხაზეთის მთავრობაში მოსალოდნელ მთელ რიგ სადავო დანიშვნებთან დაკავშირებით. ბაგაფშს არ უხსენებია არც ხაჯიმბას შეფობის ქვეშ მყოფი ძალოვანი ბლოკის მინისტრთა გაჭიანურებულ დანიშვნებთან დაკავშირებული სირთულეები. მსგავსი შეკითხვები პარლამენტში არც დასმულა. ეს, შესაძლოა, იმის გამო მოხდა, რომ პარლამენტის დარბაზში ოპოზიციონერობის პრეტენზიის მქონე ფრაქციის - "რესპუბლიკის" დეპუტატები არ ისხდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება ბაგაფშმა მაინც გააკეთა.

კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე საუბრისას, ბაგაფშმა აღნიშნა, რომ ახალ მინისტრს ოთარ ხეციას სამუშაოდ ექვსი-შვიდი თვე აქვს. **"თუ ამ პერიოდში რაიმე ხელშესახებ შედეგს ვერ მივაღწიეთ, ხეცია დაემშვიდობება თანამდებობას,"** – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ბაგაფშის თქმით, ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა კლანების წინააღმდეგ ბრძოლა იქნება. როგორც აფხაზეთის პრეზიდენტი აცხადებს, არც ერთი მისი ახლო ნათესავი მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე არ დაინიშნება (აფხაზეთზე სრული კონტროლის მოსაპოვებლად არძინბას ნათესავებს მაღალი თანამდებობები სულაც არ სჭირდებოდათ). უფრო მეტიც, გაზაფხულზე ბაგაფშის ვაჟს ჯარში გაიწვევენ, რადგან **"ჩვენ გვყავს არა მუშურ-გლეხური, არამედ აფხაზური არმია".**

სოციალურ პოლიტიკაზე საუბრისას ბაგაფშმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში ხელფასები მასწავლებლებს და ექიმებს გაეზრდებათ. პრეზიდენტის დანაპირებით, მათი ხელფასები ძალოვან უწყებებში მომუშავეთა ჯამაგირს (80-120 დოლარი) გაუტოლდება.

სოფლის მეურნეობის აღორძინებას ახალი პრეზიდენტი საგზაო ინსპექციის პოსტების შემცირებით აპირებს, რადგან **"გაიშნიკები" გლეხებს ფულს ართმევენ და მათგან არავითარი სარგებელი არ არის".** უახლოეს მომავალში, საგზაო ინსპექციის თანამშრომლებს აეკრძალებათ სოფლის ნობათით დატვირთული ავტომანქანების გაჩერება. ამავე სიბრტყეში იყო განხილული რეგიონული პოლიტიკის ძირითადი ასპექტებიც. განსხვავება დასავლეთისა და აღმოსავლეთის რეგიონებს შორის სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. თუკი დასავლეთი ვითარდება, აგრარული აღმოსავლეთი სოფლის მეურნეობის სერიოზულ განვითარებას საჭიროებს, რადგან ეს ერთადერთი საშუალებაა ამ რეგიონის ეკონომიკური აღმავლობისთვის. გალის რაიონზე საუბრისას ბაგაფში ასეთ კითხვას სვამს: **"შემდგომშიც გავაგრძელოთ თავდასხმები თუ, ბოლოს და ბოლოს, დავიწყოთ ამ რეგიონის განვითარება?"**

დეპუტატები, თავის მხრივ, კმაყოფილები დარჩნენ პრეზიდენტის გამოსვლით. მათი განწყობა ვიცე-სპიკერმა კონსტანტინ ოზგანმა გამოხატა: **"მე, პირადად, როგორც დეპუტატს, საკვანძო საკითხებში პრეზიდენტის პოზიცია სავსებით მაკმაყოფილებს."**

## 28 თებერვალს ახალი მინისტრების ოფიციალური წარდგენა გაიმართა

ზამთრის უკანასკნელი დღე ახალი მთავრობის მინისტრთა წარდგენის დღედ იქცა. ყველაზე დიდი ინტერესი, ბუნებრივია, შს ახალი მინისტრის ოთარ ხეციას წარდგენამ გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ ეს პრეზიდენტისა და მისი გუნდის მიერ დიდი წვალების შედეგად "გატანილი" დანიშვნაა. პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს შორის არსებული წინააღმდეგობა პირველად სწორედ აქ გამოჩნდა. ცნობილია, რომ ძალოვანი მინისტრების დანიშვნა ხაჯიმბას კომპეტენციაში შედის და, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის კულუარებში აცხადებენ, შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის კანდიდატურასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა ძალიან რთული იყო. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ ხაჯიმბას ოთარ ხაციას კანდიდატურა ხელს არ აძლევდა. ხაჯიმბას იმთავითვე ჰყავდა ამ პოსტისთვის საკუთარი კანდიდატურა. ეს გახლდათ ალმასბეი კჩაჩი, რომელსაც ადრე უკვე უმუშავია შს მინისტრის პოსტზე და რომელიც "არძინბას კლანის" ერთ-ერთი წარმომადგენელია. ფაქტობრივად, კჩაჩის დანიშვნის შემთხვევაში, კრახით დასრულდებოდა ბაგაფშ-ანქვაბის ტანდემის მიერ ფართოდ რეკლამირებული ბრძოლა კორუფციისა და დანაშაულის წინააღმდეგ. ეს კი სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა ბაგაფშ-ანქვაბის პოზიციებსა და მათ რეიტინგს. ხეციას დანიშვნით მხარეებმა ერთგვარი "ოქროს შუალედი" იპოვეს. გარდა ამისა, ხეციას სამართალდამცავი სისტემის ერთ-ერთ საუკეთესო პროფესიონალად მიიჩნევენ.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, პირველად შეიცვალნენ ეკონომიკისა და ჯანდაცვის მინისტრები. ორივე უწყებას სათავეში ახალგაზრდები ჩაუდგნენ. ჯანდაცვის მინისტრად ზურაბ მარშანია დაინიშნა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ამავე უწყების ხელმძღვანელის მოადგილედ მუშაობდა. ეკონომიკის მინისტრი კრისტინა ოზგანი იქნება. მთავრობის ხელმძღვანელს ამ დანიშვნებთან დაკავშირებით არავითარი ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

სოფლის მეურნეობის მინისტრის პორტფელი შემოდგომის საპრეზიდენტო არჩევნებისას ხაჯიმბას თანაგუნდელს და მისი გამარჯვების შემთხვევაში ვიცე-პრემიერობის კანდიდატს ვიტალი სმირს ერგო. ეს თანამდებობა პრემიერმა ანქვაბმა ხაჯიმბას, სავარაუდოდ, ძალოვან ბლოკში პრეზიდენტის მიერ "გატანილი" კანდიდატურების საკომპენსაციოდ "აჩუქა".

ჯერჯერობით ამ დანიშვნებთან დაკავშირებით არავითარი კომენტარები არ კეთდება. უფრო მეტიც, თავად ახალი მინისტრებიც გაურბიან საკუთარ სამომავლო გეგმებზე და სამოქმედო პროგრამებზე საუბარს.

*ზურაბ აფხაზავა*
*სოხუმიდან*

## პარლამენტარებს სკოლა "უხმობს"

გიორგი ასანიშვილი

*"ზოგადი განათლების შესახებ" კანონპროექტის საპარლამენტო განხილვას გუშინ ისეთივე ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვა, როგორიც, თავის დროზე, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მიღებას. ამჯერადაც, დეპუტატებზე მეტად, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აქტიურობენ, რომლებიც საკომიტეტო მოსმენის დროს ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისთვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მოდელი მათი თარგის მიხედვით გამოჭრილიყო.*



*განათლების სამინიოსტროს და პარლამენტის ექვსთვიანი წვალება დასასრულს უახლოვდება.*

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა, როგორც ჩანს, ახლო წარსულის მწარე გამოცდილება გაითვალისწინა და "ორთქლის გამოშვებას" ხელი არ შეუშალა.

**"სხვა საკითხზეც რომ დაიწყოთ მსჯელობა, მიკროფონს მაინც არ გამოგირთავთ, თორემ, სხდომის დამთავრების შემდეგ ზოგიერთები დაიწყებთ ჩივილს, კანონპროექტი ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლურია, მაგრამ აზრის გამოთქმის საშუალება არ მოგვცესო,"** - განხილვის მონაწილეთა "მუხანათური აზრების" ამოცნობის "ნიჭი" გამოავლინა ბორჯომის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

მიუხედავად იმისა, რომ "ზოგადი განათლების შესახებ" კანონპროექტი გუშინ მხოლოდ პირველი მოსმენით იხილებოდა, დოკუმენტი მაინც ძირფესვიანად "გამოიშიგნა". რიგი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და სასულიერო აკადემიის პრორექტორი ითხოვდნენ, რომ კანონპროექტში ასახულიყო კონკორდატის ზოგიერთი დებულება. კერძოდ, დაფიქსირებულიყო საპატრიარქოს უფლებამოსილება განათლების სფეროში.

თუმცა, იგივე კონკორდატის მიხედვით, შესაძლებელია, რომ ანალოგიური ხელშეკრულებები სახელმწიფომ სხვა ტრადიციულ რელიგიებთანაც გააფორმოს. ამიტომ, დეპუტატების ნაწილი "ზოგადი განათლების შესახებ" კანონპროექტში კონკორდატის დებულებების ავტომატურად გადმოტანას დიდი სიფრთხილით მიუდგა. მათი თქმით, ამით შეიქმნება იმის "პერსპექტივა", რომ წამყვანმა კონფესიებმა საკუთარი პრეტენზიები წამოაყენონ, რაც მოსწავლეთა რელიგიური აღზრდის სფეროში სრულ ქაოსს გამოიწვევს.

**"კანონში არ უნდა შევიდეს ისეთი რამ, რაც საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს დააზარალებს. ეს არც მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა აწყობდეს,"** - აცხადებს ნოდარ გრიგალაშვილი, რომელიც მოდავე მხარეებს ასეთ გამოსავალს სთავაზობს: კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვამდე, გაიმართოს შეხვედრა კათოლიკოს-პატრიარქთან და მისაღები ფორმულირება მისი უწმინდესობის აზრის გათვალისწინებით შემუშავდეს.

რაც შეეხება აღნიშნული კანონპროექტის ძირითად დებულებებს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია აღნიშნავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა გახდება თვითმმართველი სტრუქტურა, რომლის ცენტრალური ფიგურა მოსწავლე იქნება. თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ მინისტრი იმასაც ასახელებს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შეყვანა სამეურვეო საბჭოში სრულფასოვანი (და არა სათათბირო) ხმის უფლებით.

გარდა ამისა, როგორც ლომაია აცხადებს, მთავრობა ამზადებს სკოლების მატერიალურ-ტექნიკური რეაბილიტაციის სამწლიან პროგრამას, რომლის განხორციელების შემდეგაც სკოლების გადახურვა, შემინვა და სხვა მსგავსი პრობლემები წარსულს ჩაბარდება.

თავის მხრივ, ნოდარ გრიგალაშვილი შენიშნავს, რომ "ზოგადი განათლების შესახებ" კანონის მიღების შემდეგ საშუალო სკოლებს ექნებათ ნაწილობრივი ავტონომია - ფინანსების განკარგვის და საორგანიზაციო საკითხებში.

**"სკოლის დირექტორი გუვერნანტად აღარ იგრძნობს თავს. თუ კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტით, სამეურვეო საბჭოს შეეძლო სკოლის დირექტორის უპირობოდ დათხოვნა, დღეს წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, მას ამის უფლება ჩამოერთვა. შეჯერებული ვარიანტის თანახმად, სამინისტროს ენიჭება უფლება, დაითხოვოს სამეურვეო საბჭო, ან - სამეურვეო საბჭო დირექტორთან ერთად",** - განმარტავს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

სამსაათიანი განსჯის შემდეგ, გუშინ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა კანონპროექტი "ზოგადი განათლების შესახებ" 15 ხმით, ერთსულოვნად, პირველი მოსმენით, მოიწონა.

**"ექვსთვიანი წვალება დამთავრდა. კიდევ ორი-სამი კვირაც და კანონს საბოლოოდ მივიღებთ,"** - შვებით ამოისუნთქა კენჭისყრის შემდეგ ნოდარ გრიგალაშვილმა.

მისგან განსხვავებით, განათლების მინისტრს "ბრძოლის" გაგრძელება სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეთა მშობლებთან მოუხდა, რომლებმაც გუშინ, შვილებთან ერთად, პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი კახა ლომაიასგან იმ გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდნენ, რომელიც აღნიშნული კოლეჯის პირველ და მეორეკურსელებს სამედიცინო უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხვის უფლებასართმევს.

## რას აპროტესტებენ პანკისის ხეობის დამცველები და ერაყში მყოფი ჯარისკაცების მშობლები

პირველი გვერდიდან

სამსახურის სამი წლის თავზე ქისტმა მოხალისეებმა შეიტყვეს, რომ ისინი გათავისუფლებულები არიან სამსახურიდან, ძველი დამქირავებელი კი, შინაგანი ჯარების სარდლობის სახით, რომელსაც მათთვის რამდენიმე თვის კვების კომპენსაცია და ხელფასი ემართა, თავდაცვის სამინისტროს შეერწყა.

**"ვიქირავეთ ავტობუსი. ჩავედით ჯერ მუხროვანში, იქ გვითხრეს, რომ პრობლემა შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგვერკვია. შინაგან საქმეთა სამინისტროდან კი თავდაცვის სამინისტროში გაგვაგზავნეს. 7 თუ 8 თვის პროდუქტი გვეკუთვნოდა და იანვარ-თებერვლის ხელფასი. ამას ვითხოვდით, მეტს არაფერს,"** - აგვიხსნა საპროტესტო აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, დუისელმა ოსმან ხანგოშვილმა.

როგორც პანკისის ხეობის დამცველების, ისე ერაყში მყოფი მებრძოლის მშობლის საჩივარი ჩვენ თავდაცვის სამინისტროს იურიდიული სამმართველოს უფროსთან, მამუკა კიკალეიშვილთან გადავამოწმეთ. როგორც მისი საუბრიდან გაირკვა, ქისტების მოთხოვნას დიდხანს კიდევ არ უწერია დაკმაყოფილება, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომლის შემადგენლობაშიც დეკემბრის ბოლომდე შედიოდა შინაგანი ჯარი, სამხედრო უწყებაში არ მისულა პირადი საქმეები და ფინანსური დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო დაქირავებული მებრძოლების სახელფასო და სხვა სახის ფულადი კმაყოფის ანაზღაურება. მაშინ საინტერესოა, თუ რას მოხმარდა ის სამთვიანი პერიოდი, რაც საქართველოს პრეზიდენტმა შინაგანი ჯარის ინტეგრაციის აუცილებელი პროცედურების წესრიგში მოყვანისათვის დაუდგინა შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს?

სამწუხაროდ, პასუხის მოლოდინში არიან არა მხოლოდ პანკისის ხეობის დამცველები, არამედ ერაყში სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციებში მონაწილე ზოგიერთი სამხედრო მოსამსახურის მშობლები, რომლებიც, მინდობილობით, შვილების ხელფასს თბილისში იღებდნენ. ერაყში მყოფი სამხედრო მოსამსახურის, ლეიტენანტ დავით დარჯანიას მშობელმა ლილი დავითაიამ აღმოაჩინა, რომ ბოლო თვეში განახევრდა მისი შვილის ძირითადი ხელფასი:

**"იანვრის ხელფასი ავიღე 245 ლარი - ზუსტად ნახევარი. არადა, იანვარში დაპირებულები იყვნენ ხელფასის მომატებას. როცა დავინტერესდი, ბატალიონის მეთაურმა, საიდანაც ჩემი შვილი ნოემბრის დასაწყისში ერაყში მიავლინეს, მითხრა, რომ ძველი კონტრაქტი შეწყდა 28 დეკემბერს. მაგრამ ხელფასზე რა უნდა ვთქვა, როცა გაირკვა, რომ საზღვაო ძალების ბატალიონი, სადაც ჩემი შვილი მსახურობდა, კადრების განკარგულებაშია გადაყვანილი და არავინ იცის, თუ რა ბედი ელის ერაყიდან დაბრუნებულ ჩემს შვილს,"** - წუხს ქალბატონი ლილი დავითაია.

თუმცა, ამ შემთხვევაში ბუღალტრის შეცდომასთან საქმე ნამდვილად არ გვაქვს. ერაყში მყოფი ჯარისკაცებისთვის ხელფასის განახევრება, სამხედრო უწყების იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მამუკა კიკალეიშვილის თქმით, თავდაცვის სამინისტროს ახალი სახელფასო პოლიტიკის ამოქმედების შედეგია:

მამუკა კიკალეიშვილი: **"მათი ხელფასი იყო გათვალისწინებული "წვრთნისა და აღჭურვის" ბრძანებით, რომელიც ძალადაკარგულია და მთლიანად ახლებურად რეგულირდება. ანუ ამ ახლებურ მოწესრიგებაში შეიძლება შეუმცირდათ, ანუ სამართლებრივად ეს საკითხი დარეგულირებულია."**

თუმცა თავდაცვის სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ სახელფასო პოლიტიკა კიდევ ერთხელ გადაიხედოს, რადგან პირვანდელი კონტრაქტებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების შემცირებამ ერაყში მყოფი პროფესიონალი ჯარისკაცებისა და მათი საქართველოში მყოფი თანამებრძოლების განაწყენება გამოიწვია. მაგალითად, ჯარისკაცთა უფლებათა დამცველი **ირაკლი სესიაშვილი** ფიქრობს, რომ ხელისუფლების მიერ ასეთი მიდგომის შედეგია მეორე პრობლემა, რომელმაც საშიშ მასშტაბებს მიაღწია. საქმე ეხება ასამდე პროფესიონალი ჯარისკაცის მიერ ვადამდე ადრე კონტრაქტის მასობრივ დარღვევას, რასაც სამხედრო ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში ასაიდუმლოებდა.

მეტი სიცხადისთვის დავძენთ, რომ ლაპარაკია იმ პროფესიონალ სამხედრო მოსამსახურეებზე, რომლებმაც ორი წლის წინ საკმაოდ ძვირადღირებული ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა გაიარეს. მათ პირად საქმეებში აღნიშნულია, რომ კონტაქტის დარღვევა მძიმე ოჯახურმა პირობებმა განაპირობა, რაც, როგორც იურისტები განმარტავენ, სამხედრო მოსამსახურეს უფლებას აძლევს, გაწყვიტოს ხელშეკრულება სახელმწიფოსთან. თანაც, ასეთ შემთხვევაში, ვადამდე კონტრაქტის დამრღვევი პირი ვალდებულია, ბიუჯეტს მხოლოდ ბოლო სამი თვის ხელფასი დაუბრუნოს.

მართლაც, ძნელია დასაჯერებელია, რომ ჯარისკაცები, რომლებიც საფუძვლიანად იყვნენ მოტივირებულნი და საბრძოლო ნათლობა ერაყში გაიარეს, ასე მასობრივად მხოლოდ "ოჯახური მდგომარეობის" გამო ტოვებდნენ სამხედრო სამსახურს. არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ სამხედრო უწყებაში მიმდინარე კვარტალური საკადრო რყევები, რასაც სამხედრო უწყების შიგნით "საკადრო რევოლუციას" უწოდებენ, სამოქალაქო პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან პროფესიონალი სამხედრო პირების იგნორირება და მათთვის სხვადასხვა იარლიყების მიკერება, მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს აუარესებს ცალკეული სამხედრო ნაწილების დონეზე, სადაც ასევე ხშირია სამეთაურო კადრების მოხსნა-დანიშვნა და ზოგჯერ მთელი ბატალიონების ყბადაღებულ "კადრების განკარგულებაში" გაშვება.




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# თბილისი-კიევი-კიშინიოვი

## საერთო პრობლემების ერთნაირი ხედვა

პირველი გვერდიდან

"10 დღის შემდეგ, საარჩევნო უბნებზე მისვლისას, მოლდოვას მოქალაქეებს მიეცემათ საკუთარი დემოკრატიული პოტენციალის რეალიზების შანსი." მართალია, ამერიკის პრეზიდენტმა ეს მოწოდება საქართველოსა და უკრაინაში "ხავერდოვანი რევოლუციების" მაგალითებს მოაყოლა. მაგრამ არ არის აუცილებელი, ბუშის სიტყვები მოლდოვაში მოქმედი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის მხარდაჭერად აღვიქვათ.

მოლდოვაში კვირას არჩევნები ტარდება. ასეთ დროს პრეზიდენტს "მოუმზადებელი" ვიზიტებისთვის თითქოს არ უნდა ეცალოს. მაგრამ, რევოლუციური გმირების, "დემოკრატიის მსოფლიო მებაირაღის", აშშ-ს მიერ ნობელის პრემიაზე წარდგენილი იუშენკოსა და სააკაშვილის გვერდით აღმოჩენა მოლდოვის პრეზიდენტს ხელისუფლების შენარჩუნების შანსს აძლევს.

საქმე ისაა, რომ მოლდოვაში არჩევნების წინ შექმნილი სიტუაცია რადიკალურად განსხვავდება ორი წლის წინ საქართველოში ან შარშან უკრაინაში არსებულისგან. წესით, კომუნისტ ვორონინს უფრო მეტი საერთო უნდა ჰქონდეს რუსეთთან, ვიდრე მის "დემოკრატ" ოპოზიციას, მაგრამ 2003 წლის შემდეგ, მოლდოვას დღევანდელ ხელისუფლებასა და კრემლს შორის ურთიერთობები სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. მით უმეტეს, რომ ამ ხნის განმავლობაში ვორონინს დსთ-ს მასშტაბით გამართულ არც ერთ ღონისძიებაში არ მიუღია მონაწილეობა. პირიქით, ყველა შესაძლებლობის შემთხვევაში აფიქსირებდა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა არაეფექტიანი გახდა და მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებს ემსახურება. ასევე, კატეგორიული იყო ვორონინის გამონათქვამები რუსეთის როლზე კონფლიქტების დარეგულირების საკითხში. უკანასკნელ ხანებში კი მოლდოვას და რუსეთს შორის აშკარა დაპირისპირებაც შეიმჩნევა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ კრემლი თავისი უკვე გამოცდილი "პოლიტტექნოლოგიური დახმარების" სახით ვორონინის ოპოზიციის გვერდში აღმოჩნდა, და არა ხელისუფლების, როგორც აქამდე ხდებოდა (უკრაინის შემთხვევა ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია). გუშინ, მაგალითად, მოლდოვამ რუსეთის რამდენიმე მოქალაქე გააძევა ქვეყნიდან. ამას გარდა, საარჩევნო პროცესის მონიტორინგისთვის საერთაშორისო დამკვირვებელთაგან მარტო რუსეთის წარმომადგენლბი არ მიიწვიეს.

ასე რომ, მოლდოვას დღევანდელ კომუნისტურ ხელისუფლებას, შესაძლოა, ყველაზე მეტადაც კი აძლევდეს ხელს სამართლიანი არჩევნების ჩატარება. თუმცა, აქამდე გაკეთებული პროგნოზებით ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი ნებისმიერი შედეგით დასრულების შემთხვევაში (ბუნებრივია, არჩევნების სამართლიანი გზით ჩატარებისას), რუსეთი დამარცხდება.

სიტუაცია მართლაც შესაფერისია – სამივე ქვეყანას საერთო პრობლემებზე ერთნაირი ხედვა აღმოაჩნდათ. ამას თან ერთვის აშშ-ს ღია მხარდაჭერაც. ანუ, როგორც ჩანს, მივიწყებული ალიანსის აღდგენას წინ აღარაფერი უდგას.

### სუუამის ისტორია

დსთ-ს სივრცეში პირველ ალტერნატიულ რეგიონულ გაერთიანებას 1997 წელს საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას პრეზიდენტების კავშირმა ჩაუყარა საფუძველი. ერთი წლის შემდეგ გაერთიანებაში შესვლის სურვილი გამოთქვა უზბეკეთმაც. თავდაპირველად იგი მხოლოდ პოლიტიკურ საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენდა.

შექმნისთანავე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ოთხეული დსთ-ს სტრუქტურებიდან დისტანცირებას ცდილობდა და რუსი დიპლომატების აზრით, აშკარად გამოხატულ ანტირუსულ ხასიათს ატარებდა. კერძოდ, კავშირის წევრები ღიად ესწრაფოდნენ ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისკენ. ასევე, კავშირის მიზნებში შედიოდა შუააზიური და აზერბაიჯანული ენერგორესურსების რუსეთის გვერდის ავლით ევროპაში ტრანსპორტირება (ამ მიზანს ემსახურებოდა გაერთიანებაში უზბეკეთის ჩართვა). რამდენიმე წლის შემდეგ სუუამისთვის ინსტიტუციური ფორმის მიცემის მცდელობაც იყო (ამ საკითხში საქართველო და უკრაინა აქტიურობდა), თუმცა, საბოლოოდ კავშირი დაიშალა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა, უზბეკეთმა და მოლდოვამ ერთმანეთის მიყოლებით უარი თქვეს თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

### განახლებული ანტირუსული ბლოკი

ორშაბათს კიევში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას უკრაინის პრეზიდენტმა მივიწყებული სუუამის არსებობის შესახებ გაიხსენა. იუშენკომ აღნიშნა, რომ აუცილებელია სუუამი "რეალური შინაარსის მქონე" რეგიონულ გაერთიანებად გადაიქცეს. საქართველოს პრემიერ-მინისტრმაც მხარი აუბა უკრაინის ინიციატივას.

რუსი პოლიტიკოსების რეაქცია სუუამის აღორძინებაზე ჯერ უცნობია. თუმცა, ნათელია, იუშენკოს ინიციატივას მოსკოვში პროვოკაციად თუა არა, არაკეთილმეზობლურ ნაბიჯად მაინც შეაფასებენ.

საქართველო, ბუნებრივია, ზედმეტად მოტივირებულიც კი იყო, მხარი დაეჭირა სუუამის აღორძინების იდეისთვის. თუნდაც იმიტომ, რომ ევროპისკენ მოკავშირეებთან ერთად სიარული (მით უმეტეს, თუ ასეთ მოკავშირეებად ევროკავშირში გაერთიანების საკმაოდ რეალური შანსების მქონე ქვეყნები გვევლინებიან) გაცილებით მომგებიანია. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უკრაინასთან კავშირების გაძლიერებისთვის, პირველ რიგში ეკონომიკურის, მზადყოფნა მაშინვე გამოთქვა.

"ანტირუსულ კოალიციაში" წევრობის აღდგენის მსურველი მესამე კანდიდატიც დაუყოვნებლივ ეწვია კიევს და როგორც ცნობილი გახდა, იუშენკოსთან მისი საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა სუუამის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერება იყო.

ამასობაში, ალბათ, თავად მოლდოვის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც საბოლოოდ გაირკვევა (ისევ და ისევ "ახლადგადემოკრატიულებული" ქვეყნებისა და აშშ-ს მხარდაჭერით). მანამდე, როგორც ვლადიმირ სოკორი აცხადებს, კიშინიოვში ჩასული მიხეილ სააკაშვილი და ვლადიმირ ვორონინი "დემოკრატიული ფასეულებობის უზენაესობის კიშინიოვის დეკლარაციას" მოაწერენ ხელს - ისეთივე შინაარსის დოკუმენტს, როგორიც სააკაშვილსა და იუშენკოს შორის გაფორმებული "კარპატების დეკლარაცია" იყო.

თუმცა, ძნელი სათქმელია, საერთო ინტერესების მქონე და დემოკრატიული ფასეულობებით შეიარაღებული სამეულის დაპირისპირება "ფსევდოდემოკრატიულ" რუსეთთან რამდენად მწვავე ხასიათს შეიძენს. ისევე, როგორც ძალიან ძნელია, იწინასწარმეტყველო, რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება დემოკრატიულ ტალღაზე განახლებული მეგობრობა.

*ნიკა თარაშვილი*

# ახალი ხელისუფლება და უცვლელი პრობლემები

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ პოსტრევოლუციურმა ხელისუფლებამ გატარებული ეკონომიკური რეფორმებისა და ანტიკორუფციული პროგრამების შედეგად, პენსიებისა და ხელფასების დროული გაცემა დაიწყო, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი ინფლაციის დონეს გათანაბრებოდა. გარდა ამისა, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, გაუმჯობესებული ვითარების პარალელურად, კვლავ დარჩა ჩრდილოვანი მხარეები, რომელთა შელამაზებისა თუ დაფარვის მცდელობას ხელისუფლების მხრიდან მაინც ჰქონდა ადგილი. წლიურ ანგარიშში ამის საილუსტრაციოდ, გასული წლის მანძილზე ოლიგარქებთან ე.წ. გარიგების ფაქტებია მოყვანილი. "გასული წლის დასაწყისში ახალი ხელისუფლების მიერ შევარდნაძის ეპოქის კორუმპირებული პირების დაკავება და შემდეგ მათი სასჯელის მოუხდელად გათავისუფლება, იმ პირობით, თუ ისინი სოლიდურ თანხას გადაიხდიდნენ, პირდაპირი დარღვევაა სამართლებრივი ნორმებისა," - აღნიშნულია დოკუმენტში. ზემოაღნიშნული პირები დააკავეს სახელმწიფო ქონების მიტაცებისა თუ გადასახადებისაგან თავის არიდების ბრალდებით. ისინი, ვინც არ მიდიოდა ფინანსურ გარიგებაზე, გისოსებს მიღმა რჩებოდნენ. რეალურად კი სასამართლო პროცესის დაწყებამდე წინასაწარი პატიმრობა ხელისუფლების მხრიდან თანხის გამოძალვის ტაქტიკა იყო. ოფიციალური პირები, პრეზიდენტ სააკაშვილის ჩათვლით, არ ერიდებოდნენ კომენტარის გაკეთებასაც, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ისინი მხარს უჭერდნენ პოლიციის სასტიკ ქმედებებს და აძლიერებდნენ პოლიციელთა დაუსჯელობის სინდრომს. თუმცა, მოგვიანებით სააკაშვილმა, სხვა ჩინოვნიკებთან ერთად, რამდენიმე პრესკონფერენციაც ჩაატარა, სადაც დაგმობილ იქნა პოლიციის სასტიკი ქმედებები.

ანგარიშში, ასევე, განხილულია ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიძის გია ჯოხთაბერიძის დაკავებისა და გათავისუფლების პირობები. გია ჯოხთაბერიძეს თავისუფლება 15 მლნ აშშ დოლარი (30 მლნ ლარი) დაუჯდა. თანაც, თანხის სანაცვლოდ თავისუფლების წინადადების ინიციატორი გენერალური პროკურატურა იყო. შემდგომში ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები, პრეზიდენტის ჩათვლით, რომელთაც მხარს მედიაც უბამდა, ირწმუნებოდნენ, რომ ეს თანხა ჯარიმის სახით იქნა გადახდილი, რასაც ჯოხთაბერიძე თავის კომპანიასთან ერთად უარყოფდა.

სამართალდამცავების ისეთი უკანონო ქმედებების დასტურად, როგორიცაა ნარკოტიკების წინასწარ ჩაგდება, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს, სხვა ფაქტებთან ერთად, გასული წლის 2 აგვისტოს დამოუკიდებელი გაზეთის - "ხალხის გაზეთის" რედაქციაში განხორციელებული რეიდიც მოჰყავს, რომელიც ყოველგვარი ჩხრეკის ორდერის წარდგენის გარეშე ჩატარდა. რეიდის შედეგად "აღმოჩენილ იქნა" ნარკოტიკები, რასაც მთავარი რედაქტორის დაპატიმრება მოჰყვა.

თუმცა, მხოლოდ რიგითი სამართალდამცავები არ სცოდავენ კანონის წინაშე. კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო შტო არ უნდა განიცდიდეს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ზეწოლას. სამწუხაროდ, როგორც ანგარიშიდან ირკვევა, არც ეს პირობაა დაცული საქართველოში. ჩატარებული სასამართლო რეფორმის მიუხედავად, თემიდას მსახურნი ჯერ კიდევ არ არიან თავისუფალნი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების ინტერესების სამსახურისაგან. თუმცა, ერთი უდავო დადებითი შედეგი, რაც რეფორმებს მოჰყვა, მოსამართლეების ხელფასების ზრდის პირდაპირპროპორციულად მათი მხრიდან ქრთამების აღების შემცირებაა. კიდევ ერთი დეტალი, რომელიც სასამართლო ინსტანციებზე პირდაპირ ზეწოლად თუ არა, ირიბ მითითებად ფასდება აშშ-ს მხრიდან, კორუმპირებულ მაღალჩინოსანთა საქმეებთან დაკავშირებით პრეზიდენტისა და სხვა ოფიციალურ პირთა მიერ სასამართლო პროცესის დაწყებამდე გაკეთებული საჯარო შეფასებებია.

მეორე უმთავრესი საკითხი, რომელსაც არანაკლები ყურადღება ჰქონდა დათმობილი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წლიურ ანგარიშში, ქვეყანაში მასმედიის მდგომარეობას ეხება. ამ მხრივ, სურათის "სახეცვლილება" ამერიკელთა მოლოდინის სრული შესატყვისი არ აღმოჩნდა. ჩვენ, ასე თუ ისე, შეჩვეულნი ვიყავით ცენზურის მკაცრ კანონებს, რაც თითქმის ზღვარგადასული თავისუფლებით შეიცვალა შევარდნაძის მმართველობის დასაწყისში. მაგრამ ამერიკელებისთვის, როგორც ჩანს, "ზემოდან" მკაცრი დირექტივების თვითცენზურით ჩანაცვლება დიდი ვერაფერი პროგრესია. "კონსტიტუცია იცავს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, მაგრამ ადგილი მაინც ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან ბარიერების შექმნის რამდენიმე შემთხვევას. ჟურნალისტებს შეეძლოთ უკიდურესად კრიტიკული ხედვის გამოქვეყნება, მაგრამ წლის განმავლობაში ხელისუფლების კრიტიკის ხარისხი მედიაში მზარდმა თვითცენზურამ შეამცირა," - ნათქვამია დოკუმენტში. "ქვეყანაში ფუნქციონირებდა დაახლოებით 200 დამოუკიდებელი გაზეთი. 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ხელისუფლებამ უფუნქციოდ დატოვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ახალი ამბების სააგენტო "საქინფორმი". პრესა ხშირად აკრიტიკებდა მაღალჩინოსნებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი დამოუკიდებელი გაზეთი კომერციული თვალსაზრისით სიცოცხლისუნარიანი იყო. როგორც წესი, გაზეთები პოლიტიკისა და ბიზნესის სფეროში მოღვაწე გავლენიანი მფლობელებისაგან ფინანსდებოდა. ზოგიერთი გაზეთი ინფორმაციის სანდო წყაროს წარმოადგენდა, თუმცა ფინანსური რესურსების სიმწირე მათ ტირაჟზე აისახებოდა. თუ ადგილი არ ჰქონდა მედიის წარმომადგენლებზე ფიზიკურ შეტევას, დამოუკიდებელ გაზეთებსა და ტელევიზიებზე არ წყდებოდა საგადასახადო ორგანოების იერიში. ადგილი ჰქონდა ფინანსური პოლიციის მიერ მედიის საშუალებებზე ლეგალური გზით შევიწროებასაც," - ასევე აღნიშნულია ანგარიშში.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს უყურადღებოდ არ დაუტოვებია გასულ წელს სამი ყველაზე პოპულარული ღამის პოლიტიკური "თოქშოუს" "რეფორმირების" მიზნით დახურვის ფაქტი.

ანგარიშში საუბარია, ასევე, რელიგიის თავისუფლების ხარისხზეც საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის თავისუფლების გარანტს სახელმწიფოში კონსტიტუცია წარმოადგენს, პრაქტიკულად, ადგილი მაინც აქვს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან არატრადიციული რელიგიური უმცირესობის ჯგუფების შევიწროებას.

დაბოლოს, შიდა კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ყველაზე მტკივნეულ წერტილად რჩება. მოუგვარებელი კონფლიქტები, აფხაზეთიდან 230 000 იძულებით გადაადგილებულ პირთან, ხოლო სამხრეთ ოსეთიდან 12 200 დევნილთან ასოცირდება. სახელმწიფო სტაბილურობისათვის კვლავ საფრთხედ რჩება 2 600 ჩეჩენი ლტოლვილის ყოფნა საქართველოში.

# რუსეთის თავნებობიდან მომდინარე საფრთხე

## უცხოელი ჟურნალისტები საქართველოში

ნინო გომართელი

*უკვე რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით, საქართველოში უცხოელ ჟურნალისტთა დელეგაცია იმყოფება.*

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ძირითადი აქცენტი მიღწეულ წარმატებებზე გაკეთდა.

როგორც მიხეილ მაჭავარიანის საუბრიდან გაირკვა, ყველაზე პრობლემატური თემა საქართველოში კონფლიქტური ზონებია, ვითარების ხელისშემშლელი კი - მეზობელი რუსეთის ფედერაცია. ეს არის საკითხები, სადაც **"არ არის არანაირი წინსვლა და პროგრესი"**.

სწორედ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა და ამ კონტექსტში საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის აუცილებლობის საკითხი გახდა უცხოელ ჟურნალისტებთან საუბრის მთავარი თემა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის განცხადებით, თუ მოსკოვი და თბილისი ბაზების გაყვანის ვადებზე რამდენიმე კვირაში ვერ შეთანხმდნენ, საქართველო იძულებული გახდება, მოახდინოს ბაზების ბლოკირება, რაც მათთვის სასმელი წყლის, ელექტროენერგიის და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გათიშვაში გამოიხატება.

როგორც შეხვედრაზე მყოფმა პარლამენტარმა გიგა ბოკერიამ აღნიშნა, რუსეთი ღიად და დაუფარავად ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში, რადგან ღიად უჭერს მხარს სეპარატისტულ ხელისუფლებებს ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში.

გიგა ბოკერიამ კონფლიქტურ ვითარებებში რუსეთის ჩარევას, საქართველოს დსთ-დან შესაძლო გასვლაც დაუკავშირა.

**"თუ რუსეთი თავს დაგვანებებს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების კუთხით წინ წავიწევთ. ჩვენ არ განვიხილავთ კონფლიქტის საომარი მოქმედებებით მოგვარებას, თუ ჩვენს მოქალაქეებს და საქართველოს სუვერენიტეტს საფრთხე არ დაემუქრება,"** – აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

**"საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის უცერემონიო ჩარევა და აფხაზური და ოსური სეპარატიზმის წახალისება სამხედრო დაპირისპირების საფრთხეს ზრდის,"** – ასეთი იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის გელა ბეჟუაშვილის მიერ იგივე თემაზე, უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გაკეთებული კომენტარი.

ამასთან, უცხოელი ჟურნალისტები გუშინ დაინტერესდნენ, არსებობს თუ არა საქართველოს პარლამენტში ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას სიკვდილის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია.

**"კომისია არ არის, რადგან არ იყო ამის აუცილებლობა. ზურაბ ჟვანია უბედური შემთხვევის მსხვერპლი იყო. მართალია, საპარლამენტო ოპოზიცია მოითხოვდა მსგავსი კომისიის შექმნას, თუმცა მათ ამ საკითხით მანიპულირება და ვითარების საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება სურდათ,"** – განმარტა მიხეილ მაჭავარიანმა.

მაჭავარიანის განცხადებით, ზურაბ ჟვანიას დაკარგვით საქართველოს პოლიტიკური კურსი არ შეიცვლება, რადგან ეს პრეზიდენტის მიერ დასახული კურსია და მას პრეზიდენტის გუნდი ახორციელებს.

# ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დღის სასამართლო. გაასამართლეთ სხვადასხვა მოვლენები,ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი,რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.

## ეკუმენიზმის სასამართლო პროცესი

დავის საგანი: ეკუმენიზმი
მომრიგებელი მოსამართლე
ბრალმდებელი: ლევან ქვარია,ეკლესიოლოგის მაგისტრი, კრწანისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მრევლი: „არ გვეყრებით შენ ჩვენო სიწმიდეო მშობელო კათოლიკე ეკლესიაო, არ გაგცემთ შენ ჩვენო სიძველეო-მართლმადიდებლობავ" - რუის-ურბნისის კრების დადგენილება.



| | |
|---|---|
| ადვოკატი | ბექა მინდიაშვილი – ჟურნალ „ბლეარი" რედაქტორი: "ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობს ყველა მართლმადიდებელი ეკლესია ქართული და ბულგარული ეკლესიების გარდა" |
| ბრალდება | ეკუმენური მოძრაობა არის „აბსურდის თეატრი", რომელშიც მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების მონაწილეობა წარმოადგენს „რელიგიურ პოლიტიკანიზმს" და ეს მათი ჭეშმარიტი მოწოდების შეურაცხმყოფელია. |
| ბრალმდებლის მოთხოვნა | ქართული მართლმადიდებლური ეკლესია არ გაერთიანდეს ეკუმენურ მოძრაობაში |
| ვერდიქტი | 12 ნაფიცი მსაჯულის გადაწყვეტილებით (7 ხმა 5-ის წინააღმდეგ) |

კითხვა: "მავნებელია თუ არა ეკუმენიზმი საქართველოსთვის"

| | | |
|---|---|---|
| 1. | კახა მახარაძე | (დამნაშავეა) |
| 2. | სოფიო მანიძე | (დამნაშავეა) |
| 3. | გრიშა ოსიტაძე | (უდანაშაულოა) |
| 4. | ეკა | (დამნაშავეა) |
| 5. | სოფიო | (დამნაშავეა) |
| 6. | ლევანი | (უდანაშაულოა) |
| 7. | ანდრია აბაშიძე | (უდანაშაულოა) |
| 8. | პაატა | (უდანაშაულოა) |
| 9. | გიორგი | (უდანაშაულოა) |
| 10. | დათო ქართველი | (დამნაშავეა) |
| 11. | მაკა | (დამნაშავეა) |
| 12 | გიორგი ხორხელი | (დამნაშავეა) |

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

საუბრობთ საზღვარგარეთ?

თუ თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო კოდით 8-10
მაშინ თქვენ გელით სიურპრიზი...
საქართველოს ტელეკომი აცხადებს ყოველთვიურ კონკურსს "თვის ნომინანტები" და გამოავლენს ყველაზე აქტიურ და ერთგულ მომხმარებლებს.
გამარჯვებულები ყოველთვიურად დაჯილდოვდებიან უფასო სალაპარაკო დროით და სპეციალური პრიზებით.

ესაუბრეთ მსოფლიოს, გადაიხადეთ დროულად, დაელოდეთ ჩვენს ზარს და, რაც მთავარია, უამრავ სიურპრიზს!

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 44 18 10 www.telecom.ge

# პანკისელების პროტესტი

გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის შს მინისტრი, თითქოს, პანკისის ხეობაში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის არსებობაზე მიანიშნებს, პანკისის მოსახლეობა აპროტესტებს. დევნილი ჩეჩნების აზრით, აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებაში წვლილი რუსეთს მიუძღვის. როგორც პანკისის ხეობაში მომუშავე ჟურნალისტი შორენა ხანგოშვილი ამბობს, **"ეს არის რუსების მორიგი ფანტაზის ნაყოფი."**

ამ ინფორმაციას გუშინვე პანკისის ხეობაში განთავსებული არასამთავრობო ორგანიზაციის – "ყოფილი პოლიტპატიმრები და ადამიანის უფლებების დაცვისათვის" - წარმომადგენელი ჯოყოლა აჭიშვილიც გამოეხმაურა. მისი თქმით, ხეობაში მართლაც ისეთი ბაზა რომ ყოფილიყო, სადაც ქიმიური და ბიოლოგიურ იარაღს დაამუშავებდნენ, **"განგაშს თვით სამართალდამცველები ატეხდნენ."**

როგორც სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე აცხადებს, ამ დროისთვის ხეობაში საპატრულო პოლიციის თოთხმეტ თანამშრომელს უწევს მუშაობა. ისინი ხეობაში "უაზის" მარკის სამი ავტომანქანით გადაადგილდებიან და სიღრმეში მდებარე სოფლებსაც აკონტროლებენ.

*ზვიად რუაძე*
*კახეთიდან*

მოკლედ

## თამბაქოს შემდეგ ბაზრობებზე ალკოჰოლის გაყიდვაც აიკრძალება

სამშაბათიდან ბაზრობებზე მდებარე არასტაციონარულ ობიექტებში თამბაქოს პროდუქციით ვაჭრობა აიკრძალა. აღნიშნული ღონისძიება ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანების საფუძველზე ხორციელდება. როგორც პრაიმ-ნიუსს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განუცხადეს, საქართველოს მთავრობამ გადაწყვეტილება თამბაქოს პროდუქციის წარმომავლობის და ხარისხის კონტროლის და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით მიიღო. სამინისტროს ინფორმაციით, ბაზრობებზე მდებარე მაღაზიებში, ჯიხურებში და სპეციალურად მოწყობილ სავაჭრო წერტილებში სიგარეტით ვაჭრობა არ იკრძალება.

აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია განახორციელებს. 1 აპრილიდან მსგავსი აკრძალვის ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობასაც შეეხება. **მედია-ნიუსი**

საგადასახადო განმარტებები

**1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან გავაფორმე შრომითი ხელშეკრულება, რითიც განმესაზღვრა ხელფასი 340 ლარი ყოველთვიურად, რა გადასახადების გადახდა მომიწევს ბიუჯეტში?**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ხელფასთან დაკავშირებულ გადასახადებს განეკუთვნება საშემოსავლო და სოციალური გადასახადი.

საწარმოს მიერ 340 ლარი შეტანილ უნდა იქნეს ხელფასის ფონდში და უნდა დაიბეგროს სოციალური გადასახადით, რაც შეადგენს 20 პროცენტს ანუ 68 ლარს, აღნიშნული გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს საწარმო და, შესაბამისად, იგი არ ამცირებს ხელფასის ოდენობას.

რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს, მისი გადამხდელია დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირი, საშემოსავლო გადასახადს საწარმო უკავებს ფიზიკურ პირს გაცემის წყაროსთან 12 პროცენტის ოდენობით, რაც შეადგენს 40.8 ლარს. აღნიშნული თანხით მცირდება ხელფასის ოდენობა და ხელზე ასაღები თანხა (ხელფასი) იქნება 299.2 ლარი.

**2. ვარ ფიზიკური პირი, სახელმწიფოსაგან მივიღე გრანტი 2000 ლარის ოდენობით, რა გადასახადებით იბეგრება აღნიშნული თანხა?**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლისა (საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლება) და 174-ე მუხლიდან (სოციალური გადასახადის განთავისუფლება) გამომდინარე, მიღებული გრანტი განთავისუფლებულია სოციალური და საშემოსავლო გადასახადებისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გრანტით მიღებული 2000 ლარი გადასახადებით დაბეგვრას არ ექვემდებარება.

**3. ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. გავიმარჯვე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულთა კონკურსში და ვიღებ პრეზიდენტის ფონდიდან სტიპენდიას. უნდა გადავიხადო თუ არა საშემოსავლო გადასახადი?**

სახელმწიფო სტიპენდია განთავისუფლებულია როგორც საშემოსავლო, ასევე, სოციალური გადასახადებისგან. /ს.კ. მუხლი 168,174/.

**4. ვარ მიწისძვრით დაზარალებული. თბილისის მერიისგან მივიღე ერთჯერადი დახმარება 5000 ლარის ოდენობით. სააქციო საზოგადოებისგან, რომელშიც ვმუშაობ - 3000 ლარი. უნა დაიბეგროს თუ არა ეს თანხა?**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებულია ფიზიკური პირის მიერ მიღებული "სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული ასიგნებებით გამოყოფილი დახმარება, ან ერთჯერადი განაცემი", შესაბამისად, თბილისის მერიიდიან მიღებული დახმარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება.

რაც შეეხება სააქციო საზოგადოების მიერ დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირისათვის (თანამშრომლისათვის) გამოყოფილ ფულად დახმარებას, იგი გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის განიხილება როგორც ხელფასი და დაბეგრილი უნდა იქნეს საშემოსავლო და სოციალური გადასახადებით, კერძოდ: გაწეულ დახმარებას, 3000 ლარს საწარმოს მიერ ერიცხება სოციალური გაასახადი 20 პროცენტის ოდენობით, რაც შეადგენს 600 ლარს, აღნიშნული გადასახადის გადამხდელია საწარმო, ხოლო საშემოსავლო გადასახადს 12 პროცენტის ოდენობით საწარმო ფიზიკურ პირს (თანამშრომელს) უკავებს გაცემის წყაროსთან, რაც შეადგენს 360 ლარს. შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ ხელზე ასაღები თანხა, რომელიც გამოყოფილია სააქციო საზოგადოების მიერ, შეადგენს 2640 ლარს (3000 – 360).

5. **მეუღლის გარდაცვალების გამო, მემკვიდრეობით მივიღე ბინა, რომლის ღირებულებაა 80 000 ლარი, უნდა გადავიხადო თუ არა რაიმე გაასახადი?**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე და 174-ე მუხლების თანახმად, საგადასახადო წლის განმავლობაში (რაც წარმოადგენს კალენდარულ წელს) პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეების მიერ, ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღება განთავისუფლებულია საშემოსავლო და სოციალური გადასახადებისაგან. ვინაიდან მეუღლეები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, წარმოადგენენ პირველი რიგის მემკვიდრეებს, საცხოვრებელი ბინის მიღება გადასახადებით არ დაიბეგრება.






# პრივატიზაცია გრძელდება

გუშინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მორიგი აუქციონი ჩატარდა და სამი ობიექტი გაიყიდა:

გუშინ გამართულ აუქციონზე შ.პ.ს "ხელოვნება" 220 ათას დოლარად გაიყიდა. "ხელოვნება", რომლის აქციათა 100% სახელმწიფოს ეკუთვნოდა, აღმაშენებლის გამზირზე N89/24-ში მდებარეობს და აუქციონზე მისი საწყისი ფასი 50 ათასი დოლარი იყო. შ.პ.ს "ხელოვნების" შესყიდვის სურვილი ცხრა პირმა გამოთქვა, თუმცა მისმა დირექტორმა ობიექტი არავის დაუთმო.

175 ათას დოლარად გაიყიდა 130 ათას დოლარად შეფასებული ბავშვთა სანატორიუმი "ოქროს ნაპირი", რომელიც ქობულეთში მდებარეობს. სანატორიუმთან ერთად, ფიზიკურმა პირმა მასზე დამაგრებული 6 468 კვადრატული მეტრი მიწის ფართიც შეიძინა. "ოქროს ნაპირის" შესყიდვაზე სამინისტროში ორი განაცხადი შევიდა.

63 ათას დოლარად გაიყიდა მცირე ავტოსადგომები და მათზე დამაგრებული 620 კვადრატული მეტრი მიწის ფართი, რომელიც რუსთაველის გამზირზე და აბაშიძის ქუჩაზე მდებარეობს. ობიექტის საწყისი ფასი 62 ათასი დოლარი იყო. ავტოსადგომების აუქციონში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ ერთმა ფიზიკურმა პირმა გამოთქვა და ობიექტი მანვე შეიძინა.

აუქციონზე გამოტანილი იყო კიდევ ორი ობიექტი – ქობულეთში მდებარე რესტორანი "თეთრი გედი", რომლის საწყისი ფასი 160 ათას დოლარს შეადგენდა და დიღომში დაუმთავრებელი მშენებლობა და მასზე დამაგრებული 10 527 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი, რომლის საწყისი ფასი 160 ათასი დოლარი იყო.

აღნიშნული ორი ობიექტის შესყიდვის სურვილი არავის გამოუთქვამს. შესაბამისად, მათზე აუქციონი გუშინ არ გამართულა.

*24 საათი*

# ახალი კანონი მიკროსაფინანსო სექტორისთვის

*საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლითაც საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორისათვის ახალი საკანონმდებლო გარემო შექმნა. დღეს, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საქართველოში მიკროდაფინანსების სტაბილიზაციისა და გაუმჯობესების პროექტის (GMSE) წარმომადგენლები ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ პრესკონფერენციას გამართავენ.*

ნინო ნარჩემაშვილი

პირველად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არსებობის ისტორიაში, მასში დაფიქსირდება განსაზღვრება - "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია." ის ფონდები და კავშირები, რომლებიც გასცემენ მცირე სესხებს, ხელახლა დარეგისტრირდებიან, ოღონდ ამჯერად როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და უკვე სრულიად ლეგალურად შეეძლებათ გასცენ მცირე სესხები დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის, რათა ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, სიღარიბის დაძლევასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

"საქართველოში მიკროდაფინანსების სტაბილიზაციისა და გაუმჯობესების პროექტში" აღნიშნავენ, რომ **"ეს მართლაც ისტორიული გადაწყვეტილება გახლავთ, რომლითაც საქართველოს პარლამენტმა საბოლოოდ გააბათილა ორაზროვნება იმ ფონდებისა და კავშირების სამართლებრივ სტატუსში, რომლებიც 1997 წლიდან საქართველოში მიკროსაფინანსო პროგრამებს ახორციელებენ და ემსახურებიან 50-ზე მეტი რეგიონის 35,000-ზე მეტ მსესხებელს. საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მიესალმებიან ახალ საკანონმდებლო გარემოს, რომლის შედეგადაც მათ აღარ ემუქრებათ გაუქმება მცირე სესხების გაცემისათვის, რომელიც რეალურად არსებობდა ამ ცვლილების მიღებამდე".** მათი შეფასებით, მკაფიო სამართლებრივი სტატუსი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უხსნის ახალ შესაძლებლობებს შექმნან ახალი ფინანსური პროდუქტები და მომსახურება, მოიზიდონ ახალი კლიენტურა და მოემსახურონ საქართველოს იმ რეგიონებს, სადაც ფინანსური მომსახურების დეფიციტია. მოწესრიგებული სამართლებრივი სტატუსი საშუალებას მისცემს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, მოიზიდონ სასესხო კაპიტალი დონორებისა და კერძო ინვესტორებისაგან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში მდგრადი მიკროსაფინანსო სექტორის განვითარების მიზნით საკანონმდებლო გარემოს რეფორმირება USAID-ს მიერ დაფინანსებული GMSE პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახლავთ. საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საერთაშორისო დონორებთან და GMSE-თან ერთად მუშაობდნენ ამ საკანონმდებლო ინიციატივებზე და პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით ახდენდნენ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ინფორმირებას, რომლის საბოლოო შედეგიც ზემოთ აღნიშნული ცვლილების მიღება გახდა.

# საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2005 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებულ ბეჭდვით პოლიგრაფიულ მომსახურებაზე, აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურება განხორციელდება 2005 წლის განმავლობაში, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, კონკრეტული სამუშაოს სიდიდისა და ამ სამუშაოების ვადების გათვალისწინებით. შესაძლებელია ტენდერში გამოვლენილი იქნეს რამოდენიმე გამარჯვებული. მომსახურება ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტს D-DE-22. კერძოდ:

| ლოტის N | N | საქონლის დასახელება | სავარაუდო რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1.1 | „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი" | ტირაჟი: კვარტალში ერთხელ 250ც.X250ც. ქართულ-ინგლისური, 120-125 გვერდი.ა-4 ფორმატი. | |
| | 1.2 | საქ. ეროვნული ბანკის ინფლაციური მიმოხილვა ქართულ და ინგლისურ ენაზე | ტირაჟი: წელიწადში ორჯერ, 300ც. X300ც. ქართულ-ინგლისური ვარიანტი, 30-40გვერდი, ა-4 ფორმატი. | |
| | 1.3 | ჟურნალი „ბანკი" | ტირაჟი: 6 ნომერი, ტირაჟი 300ეგზემპლარი, თითოეული ნომერზე 120 ფურცელი, ა- | |
| | 1.4 | საქ. ეროვნული ბანკის 2004 წლის წლიური ანგარიში. | ტირაჟი: 500ც. X500ც. ქართულ-ინგლისური, 100-120გვერდი, ა-4 ფორმატი. | |
| | 1.5 | "საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და მისი გამოყენების ინსტრუქცია" | ტირაჟი: 2000 ეგზემპლარი. A-5 ფორმატით, (სავარაუდოდ 370-380 გვერდი). | |
| | 1.6 | "კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო | ტირაჟი: 500 ეგზემპლარი. A-5 ფორმატით, (სავარაუდოდ 440-460 გვერდი). | |
| 2 | 2.1 | ბლანკები (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები,ოქმები და სხვა) | ტირაჟი: სებ-ის მოთხოვნების და მიხედვით. ა-4 ფორმატი. | |
| | 2.2 | ბრძანების რეზოლუციის ბლანკები | ტირაჟი: სებ-ის მოთხოვნის და მიხედვით, ფორმატი 13X16სმ. | საქ. ეროვნული ბანკი ქ. თბილისი ლეონიძის ქ. 3/5 |
| | 2.3 | ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის გადაზიდვის შესახებ დავალებების აღრიცხვის წიგნი | ფორმატი 29,5 X20,5 სმ. აკინძვა ძაფზე, მაგარ ყდაში ლამინირებული საკრავით. Mმოცულობა 200 გვ. Bბლოკი: ქაღალდი 65-72 გრ.მ.კვ. სიმკვრივის. ოფსეტური ქაღალდი. ყდა: ფორზაცი და ნახზაცი 100-120 გრ.მ.კვ. სიმკვრივის. ოფსეტური ქაღალდი ბეჭდვა ერთ ფერში, ნაბეჭდ მხარეს ექსპონმა ნუმერაციით სამი პერფორაციის ვერტიკალური ხაზით, 6,5 სმ-ის ინტერვალით ყუიდან მოყოლებული, ყდა ერთ ფერში. 4ც. 100 ფურცლიანი. | |
| 3 | 3.1 | საფულე ჩეკის წიგნაკი | ტირაჟი: 15000ც. 25 ფურცლიანი, ფორმატი 14X11,5სმ, გამოყენებული დამცავი მექანიზმის რაოდენობა 8. | |
| | 3.2 | პასპორტი ბანკომატით სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ | დაცულ ქაღალდზე ა-4 ფორმატი. 100ც. | |
| | 3.3 | ნაღდ ფულთან მუშაობის კვალიფიკაციის მოწმობა | ტირაჟი: 100ც. ფორმატი: ა-5 (ა-4მოკვეცილი). დაცულ ქაღალდზე. | |
| | 3.4 | შიდა საბანკო გასავლის ორდერი | ფორმატი ა-4. რაოდენობა სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად | საქ. ეროვნული ბანკი ქ. თბილისი ლეონიძის ქ. 3/5 |
| | 3.5 | შიდა საბანკო შემოსავლის ორდერი | ფორმატი ა-4. რაოდენობა სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად | |
| | 3.6 | ვალუტის გადაცვლის ქვითარი | ა-4 ფორმატი. სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად. | |

ტენდერში შესაძლებელია გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების შესაბამისად;

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე, სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-29-99. შიდა ტელ. 4-99; 3-88.

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო სამი წლის ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) მინდობილობა ხელისმომწერ უფლებამოსილ პირზე;

კ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

ლ) ნებართვა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ პოლიგრაფიულ
მომსახურებაზე. (გამოიყენება II და III ლოტებში);

მ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

n) III ლოტში მონაწილე კომპანიას უნდა გააჩნდეს ISO 9001:2000 სერთიფიკატი;

ო) წარდგინების წერილი წარმოდგენილი საბუთების ჩამონათვალისა და გვერდების აღნიშვნით. (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს).

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ტენდერი განხილული იქნება სამ ლოტად, სახეობების, პოლიგრაფიული ბეჭდვის სირთულის და მათი კლასიფიკაციის მიხედვით.

8. ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტისადმი გამოყენებული იქნება პრეფერენციული შეღავათი 15%-ის ოდენობით იმ შემთხვევაში როდესაც საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე წარმოადგენს დოკუმენტს საქონლის ადგილობრივი წარმოშობის შესახებ.

9. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ე.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში, გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

10. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი N126,128; ტელ./ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-24-99. შიდა ტელ. 4-99; 3-88.

ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.nbg.gov.ge).

*საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.*

BR ბანკი რესპუბლიკა




# ბანკი "რესპუბლიკა" ყველაზე ეფექტური ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

# კიდევ ერთი ფაქტი - ძველი ხელისუფლების ნაკვალევი



"გამგებელმა ავარიულ კორპუსში შეჭრილ დევნილებთან მოლაპარაკება სცადა"

*1998 წელს თბილისის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვარკეთილის მესამე მიკრორაიონის N327 კორპუსიდან, მწვავე ავარიულობის გამო, მობინადრეები ერთიანად გამოასახლა. რამდენიმე წლის განმავლობაში კორპუსი მიტოვებული იყო, რადგან მერიას მისი გამაგრების სახსრები არ გააჩნდა. წელს ამ კორპუსის აღსადგენად ქალაქის ბიუჯეტში 600 ათასი ლარია გათვალისწინებული. თუმცა, მერია მის გამაგრებას მაინც ვერ ახერხებს. ამჯერად პრობლემას ავარიულ კორპუსში უნებართვოდ შესახლებული 51 მოქალაქე ქმნის.*

ნანა ქადაგიშვილი

ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში მდებარე 1998 წელს აშენებული 12-სართულიანი კორპუსი 9 წელიწადში ისეთ მდგომარეობამდე მივიდა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა 1997 წლის 13 ნოემბერს სასწრაფოდ გამოსცა ბრძანებულება კორპუსიდან მობინადრეების გამოყვანის შესახებ. ერთ წელიწადში კორპუსიდან 54-ივე მცხოვრები გამოიყვანეს და ბინებით დააკმაყოფილეს. იმ პერიოდში ჩატარებული ექსპერტიზა ითხოვდა კორპუსის დანგრევასა და ხელახლა აშენებას, რისთვისაც 350 ათასი ლარი იყო საჭირო. საამისოდ 2005 წლამდე ბიუჯეტში თანხის გამონახვა ვერ მოხერხდა. შარშან ჩატარებული განმეორებითი ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ კორპუსი გამაგრებას ექვემდებარება. ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში მის აღსადგენად 600 ათასი ლარიც გაითვალისწინეს. **"უკრაინიდან ჩამოგვყავს ექსპერტები და ამ კორპუსის გამაგრებას მოვახერებთ",** – აცხადებს თბილისის მერიის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრის ხელმძღვანელი ზურაბ ახმეტელი. ქალაქის ხელმძღვანელობამ თანხა კი გამოძებნა, მაგრამ ახალი პრობლემა შეექმნა.

ორი წლის წინათ აღნიშნულ კორპუსში დევნილები ჩასახლდნენ. დღეს აქ უკვე 51 ადამიანი ცხოვრობს (მათგან 37 დევნილია, დანარჩენი – ადგილობრივი მოსახლე) და კორპუსის დაცლას არ აპირებს. ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ ორი თვის წინათ ადგილობრივ სასამართლოში სარჩელი შეიტანა მათი გამოსახლეობის მოთხოვნით. მართალია, პროცესი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ გუშინ რაიონის გამგებელმა გიორგი ქორქაშვილმა და ზურაბ ახმეტელმა კორპუსის მობინადრენი მოინახულეს და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ კიდევ ერთხელ გააფრთხილეს. **"შენობა ისეთი ავარიულია, როდის ჩამოინგრევა, არავინ იცის. აფხაზებს გადაურჩით და აქ რატომ იხოცავთ თავებს",** – სტუმრების ამ განმარტებას კორპუსში შესახლებული დევნილები დიდად არ დაუფრთხია. **"არაფერი ავარიულიც არ არის - ექსპერტებს ჩვენც შევამოწმებინეთ. ჩვენი შეშინება და აქედან გაყვანა გინდათ. ახლა გაგახსენდათ ეს კორპუსი? სანამ ჩვენ შემოვსახლდებოდით, ნაგვისა და ნარკომანების ბუდედ იყო გადაქცეული. 50 მანქანა ნაგავი გავიტანეთ, გავარემონტეთ, გავამაგრეთ... 10 წლის განმავლობაში ქირით ვცხოვრობდით და ახლა რომ გაგვიყვანონ, სად წავიდე"?** – უკან არ იხევდა მოსახლეობა. თუმცა, ერთ-ერთი მათგანი იქვე გამოტყდა, - მოპირდაპირე კორპუსშიც მაქვს ბინაო. მეორეს კი საკუთარი ბინა გაუყიდია და აქ შემოსულა; მიჭირდაო, - განმარტა.

**"თუ მართლა აღმოვაჩენთ, რომ აქ შემოსვლამდე დევნილთა განსახლების სამინისტროს ვინმესთვის თავშესაფარი არ მიუცია, ყველანაირად დავეხმარებით და საცხოვრებელი ფართის გარეშე არ დავტოვებთ. თუმცა, ვისაც სხვა ბინაც აქვს, მას ვერაფერს შევპირდებით",** – განუცხადა მოსახლეობას გამგებელმა.

სავარაუდოდ, სასამართლო დავას გამგეობის სასარგებლოდ გადაწყვეტს, რადგან 51 მოქალაქე აღნიშნულ კორპუსში უნებართვოდ არის შესული. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ კორპუსიდან ხალხის გაყვანა ძალიან გაჭირდება. მობინადრეები ირწმუნებიან, - აქ შემოსვლის უფლება ისანი-სამგორის რაიონის მაშინდელმა გამგებელმა დარჯანიამ მოგვცაო; მაგრამ, ამისი დამადასტურებელი იურიდიული საბუთი არ გააჩნიათ. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, დღეს ასეთ მდგომარეობამდე საქმე ქალაქის ყოფილი ხელისუფლების უყურადღებობამ მიიყვანა. მსგავსი სიტუაცია კიდევ ბევრ კორპუსშია შექმნილი.

გაგახსენებთ ერთ ძველ ფაქტს, რაზეც "24 საათი" წერდა. ვარკეთილის ზემო პლატოს მეორე მიკრორაიონში მდებარე მე-18 და მე-19 კოოპერატიულ კორპუსებში რამდენიმე წლის წინათ დევნილები შეიჭრნენ. ამასთან დაკავშირებით "24 საათმა" აღმოაჩინა მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის ვაჟა ლორთქიფანიძის მიერ ჩატარებული სხდომის 1999 წლის 2 დეკემბრით დათარიღებულ ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქის სოციალურ საკითხთა სამსახურმა წარმოადგინა ნუსხა შენობებისა, სადაც დევნილთა დამატებითი ნაკადისთვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფა შეიძლებოდა. ამ ნუსხაში, რატომღაც, ზემოთ აღნიშნული ორი კორპუსიც არის მოყოლილი. ამ ინფორმაციის მიმწოდებლებად კი დასახელებულია თბილისის მაშინდელ ხელისუფალთა გვარები: ვ. ზოდელავა, მ. უკლება, ვ, ვაშაკიძე, ცაავა, ჯაჭვლიანი.

# „მაგარი ბიჭების" პროექტი

*"რატომაც არა"?! – ეს კითხვა გუშინ ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში მოწვეულ სტუმრებს მას შემდეგ დაუსვა, რაც ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგინა. "თუ ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ "მაგარი ბიჭები" ვართ, მაშინ უნდა დავამტკიცოთ, რისი გაკეთება შეგვიძლია", - აღნიშნა მან.*

თამარ დვალი

"ქალაქი თბილისი, რომელიც მდებარეობს კასპიისა და შავ ზღვებს შორის, უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც ჭიშკარი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. იგი გადაჭიმულია მდინარე მტკვრის გასწვრივ 25 კილომეტრ სიგრძის მონაკვეთზე. ქალაქის მთლიანი ტერიტორია 35 000 ჰექტარ (350 კვ. კილომეტრს) შეადგენს",- ეს გახლავთ მოკლე ინფორმაცია იმ ქალაქის შესახებ, რომლის სტრატეგიული განვითარების გეგმაც გუშინ ამავე ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის წევრებს წარუდგინა. მისი თქმით, თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმის არსებობა ძალზედ მნიშვნელოვანია ბიზნესმენთა სამომავლო გეგმების განსახორციელებლად.

**"ინვესტორებმა უნდა იცოდნენ, სად და როგორ ჩადონ ფული, რომ ქალაქი განავითარონ. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მათთვის ქალაქის განვითარების გეგმის დეტალების ცოდნა. პრეტენზია არ მაქვს, რომ ეს გეგმა დასრულებულია, ამიტომ ყველა შენიშვნასა და კრიტიკას სიამოვნებით მივიღებ",** - აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

მისივე თქმით, ამჟამად თბილისში ოთხი ძირითადი პრობლემა არსებობს – ავარიული საბინაო ფონდი, ამორტიზებული საქალაქო ინფრასტრუქტურა, გადატვირთული სატრანსპორტო კვანძები და მაგისტრალები. აღსანიშნავია მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს შორის არსებული დისპროპორციაც. ახალი სტრატეგიული გეგმა კი თბილისს აძლევს შესაძლებლობებს, განავითაროს სატრანსპორტო სქემა და ქალაქის მარცხენა სანაპირო, შეინარჩუნოს ისტორიული ცენტრი და მოიპოვოს ახალი მიწის რეზერვი, რის განხორციელებასაც, დაახლოებით, 300 მილიონი დოლარი დასჭირდება.

გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია რკინიგზის ქალაქგარეთ გატანა. სავარაუდოდ, დიდუბისა და სამგორის სადგურები ერთმანეთს თბილისის ზღვაზე შემოვლითი გზით დაუკავშირდებიან. ჭიაბერაშვილის აზრით, რკინიგზის ქალაქგარეთ გატანის შემდეგ განვითარების პერსპექტივა გაუჩნდება ფიროსმანის ქუჩასაც.



*დედაქალაქის მერი ბიზნესმენებთან შეხვედრისას.*

იმისათვის, რომ თბილისის ისტორიული ზონა სულ მალე იუნესკომ "მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილად" აღიაროს, მინიმუმ, მენეჯმენტის კარგად აწყობა და ისტორიული ნაწილის დაცვა გვევალება.

ძველი თბილისის 5 100 ფოტოსაგან შექმნილი კოლაჟი წარმოადგინა კომპანია "არსის" ხელმძღვანელმა გია აბულაძემ. მას სურდა, ეჩვენებინა სურათი, რომელიც ძველი თბილისის იერს ასახავს.

გუშინ თავისი პროექტი წარმოადგინა "საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ", რომელიც 2003 წელს დაფუძნდა. მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის თქმით, კომპანია ორ პროექტს სთავაზობს საზოგადოებას. ეს არის: "თბილისი სიტი", და "კინოქალაქი", რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაშენდება.

**"ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ "თბილისი სიტი" არა მარტო თბილისის, არამედ მთელი კავკასიის ფინანსურ ცენტრად გადაიქცეს. ამის პირველი ნიშანი არის TBS ბანკის სათაო ოფისის გახსნა; მეორე - ისტორიული შენობის რეკონსტრუქცია, რომელიც მდებარეობს TBS ბანკის პირდაპირ, მარჯანიშვილის თეატრის გვერდით. ახლა ვმუშაობთ მთლიან გენგეგმაზე, რომელსაც, დაახლოებით, 6- 8 თვეში გამოვიტანთ სამჯავროზე. ამ პროექტში მონაწილეობის მიღება მხოლოდ ერთი კომპანიის პრეროგატივა არ არის. ჩვენ მზად ვართ, ყველა დაინტერესებულ ადამიანს მოვუსმინოთ",** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ხაზარაძემ.

რაც შეეხება "კინოქალაქს", მისი გაშენება აღმაშენებლის გამზირზე, კინოსტუდიის მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება. ორივე პროექტი ლონდონის, პარიზის, მოსკოვისა და პეტერბურგის მაგალითზე იქნა განხილული.

"საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის" აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე მიიჩნევს, რომ თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი, პირველ რიგში, ბიზნესმენებისთვის უნდა იყოს ცნობილი. მისივე თქმით, გუშინდელი შეხვედრა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. **"ჩვენი ინიციატივით, გაცნობითი შეხვედრა შედგა, გადაწყვეტილების მიღება კი თავად ქალაქის მერიაზეა დამოკიდებული",** – აღნიშნა მან.


სსიფ — საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის სკოლის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფ. დიდი ჯიხაიშის სათემო კავშირთან "დიჯი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"დიჯი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, სამტრედიის რაიონი,**
**სოფელი დიდი ჯიხაიში, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ზურაბ ფანცულაია, სათემო კავშირი "დიჯი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 7 მარტიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, სამტრედიის რაიონი,**
**სოფელი დიდი ჯიხაიში, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ზურაბ ფანცულაია, სათემო კავშირი "დიჯი"-ს თავმჯდომარე**
**2004 წლის 7 აპრილის 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03






## BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტი

საქართველოში "ბი-პი"-ს საქმიანობის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის** თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**
BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობას შეადგენს BP-ს გენერალური მენეჯერის საქართველოს ოფისის ადმინისტრირება და კომპანიის შიდა და საგარეო კავშირების მართვის უზრუნველყოფა.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**
აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობები მოიცავს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- უზრუნველყოფს გენერალური მენეჯერის შეხვედრების, საქმიანი მიღებების და სხვა საქმიანობის, მათ შორის, მივლინებების დაგეგმვას, ორგანიზებას და კოორდინირებას;
- ამზადებს გენერალური მენეჯერის სამუშაო პროცესში საჭირო წერილებს, დოკუმენტებს, პრეზენტაციებს;
- ადმინისტრაციულ დახმარებას უწევს გენერალურ მენეჯერს და უზრუნველყოფს ყველა საოფისე ფუნქციის - მათ შორის როგორიცაა სატელეფონო ზარების მიღება, კორესპონდენციის და დოკუმენტაციის მომზადება, აღრიცხვის სისტემის წარმოება - ეფექტურად წარმართვას;
- ასრულებს გენერალური მენეჯერის თარჯიმნის მოვალეობას საქართველოს სამთავრობო უწყებებთან და სამინისტროებთან, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან და სხვა მხარეებთან გამართულ შეხვედრებზე, აგრეთვე პრეს-კონფერენციებსა და სხვა საჯარო ღონისძიებებზე.
- საჭიროებისამებრ ასრულებს სხვა მოვალეობებს.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- უფროს სამდივნო ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- კომპიუტერულ პროგრამებთან (MS Word, Excel, PowerPoint) მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 9 მარტი, ოთხშაბათი.**

**ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტი
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38



USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

The Eurasia Foundation
Global Conflict Prevention Pool

## ევრაზიის ფონდის კონკურსი "ანტიკორუფციული ინიციატივა"

მარტი, 2005

**ევრაზიის ფონდი გლობალური კონფლიქტის პრევენციის ფონდისა** (დიდი ბრიტანეთი) **და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)** ფინანსური ხელშეწყობით, აცხადებს ანტიკორუფციულ ღია საგრანტო კონკურსს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

**კონკურსის მიზნები**
ანტიკორუფციული საგრანტო კონკურსის მთავარი მიზანია კორუფციასთან ბრძოლაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართვა. ფონდი გაამახვილებს ყურადღებას, თუმცა არ იქნება შეზღუდული შემდეგი ძირითადი სფეროებით:

- განათლების სფერო;
- იუსტიციის სფერო;
- საბიუჯეტო სფერო;
- ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფერო.

ფონდი ევრაზია კერძო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ **(USAID)**, და ასევე სხვა ქვეყნების მთავრობების, ფონდების, კორპორაციებისა და კერძო პირების დამატებითი სახსრებით.

**კონკურსში მონაწილეობა**
ევრაზიის ფონდმა შეარჩია საქართველოს 9 ქალაქი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად:

**თბილისი ოზურგეთი**
**თელავი ფოთი**
**ახალციხე ზუგდიდი**
**გორი ქუთაისი**
**ბათუმი**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია მსგავსი პროექტების ეფექტურად განხორციელების გამოცდილება საშუალება აქვს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში. საგრანტო პროგრამა პრიორიტეტს ანიჭებს კოალიციურ პროექტებს ან პროექტებს დამოუკიდებელი მედიის საშუალებების აქტიური მონაწილეობით.

საგრანტო კონკურსის შესახებ სრული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ევრაზიის ფონდის ვებ-გვერდზე ან ორგანიზაციის ოფისში ქვემოთ მითითებულ კოორდინატებზე.

ფონდი ევრაზია კონსულტაციას გაუწევს ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

თბილისი, კავსაძის ქუჩა N3,
ტელ/ფაქსი: 253942/253943/223462

**ელ ფოსტა: tbilisi.eurasia@org.ge**
**ვებ გვერდი: www.eurasia.org.ge**

**კონკურსის ჩატარების ვადები**

კონკურსის გამოცხადება: 1 მარტი
განაცხადის შემოტანის საბოლოო ვადა: 1 აპრილი
კონკურსში გამარჯვებულთა გამოცხადება: 15 აპრილი

# დააკავეს გიორგი ღონღაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილები

ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, უკრაინელმა სამართალდამცველებმა პრეზიდენტ კუჩმას მმართველობის პერიოდის გახმაურებული საქმეების გახსნა დაიწყეს. ერთ-ერთი პირველი საქმე, რომლიც, ფაქტობრივად, უკვე გახსნილად შეიძლება ჩაითვალოს, ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობაა.

ცოტა ხნის წინ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო ევროპარლამენტის დეპუტატებს დაჰპირდა, რომ "ღონღაძის საქმე" უახლოეს მომავალში გაიხსნება და უკრაინელი სამართალდამცველები მკვლელობის შემკვეთის ვინაობის დასადგენად უკან არ დაიხევენ. ამ განცხადების შემდეგ, ღონღაძის საქმეში ყოველდღიურად ახალი მნიშვნელოვანი დეტალები ჩნდება. გუშინ, გვიან ღამით, უკრაინელმა სამართალდამცველებმა დააკავეს ღონღაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი სამი პიორვნება. "დაკავებულები მკვლელობის მონაწილეები არიან. შესაძლოა, მათ უშუალოდ ქილერის როლი არ შეუსრულებიათ, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ ისინი გიორგი ღონღაძის მკვლელობას ესწრებოდნენ," – განაცხადა უკრაინის უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა, რომლის ვინაობასაც უკრაინის მასმედია არ ასახელებს. მისი მონაცემებით, სამივე დაკავებული სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელია. ორ მათგანს პოლკოვნიკის წოდება აქვს.

უკრაინის უშიშროების სამსახური და გენერალური პროკურატურა ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ. უკრაინის უშიშროების პრესსამსახურმა განაცხადა მხოლოდ ის, რომ სამართალდამცველები ღონღაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით "შესაბამის ოპერატიულ ღონისძიებებს ატარებენ".

მას შემდეგ, რაც სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავა, სამართლის სფეროში მომუშავე ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტის ოლეგ ელცოვის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კანონდამცველებმა მიაკვლიეს გიორგი ღონღაძის სხეულის ნაწილს – თავს. როგორც ცნობილია, 2000 წლის ნოემბერში კიევის მახლობლად აღმოაჩინეს თავმოკვეთილი გვამი. სწორედ ამის გამო, კარგა ხნის მანძილზე სადავო გახდა, ნამდვილად იყო თუ არა ნაპოვნი ცხედარი გიორგი ღონღაძისა. თუმცა, სხვადასხვა კვლევებისა და ექსპერტიზების შემდეგ, რომელთა ჩასატარებლადაც მიწვეული იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ექსპერტები, თითქმის 99 პროცენტით დამტკიცდა, რომ ნაპოვნი გვამი გიორგი ღონღაძისა იყო.

*24 საათი*

# საფრანგეთის შს მინისტრმა პანკისის ხეობის წარსული გაიხსენა

ინგა ალავიძე

"ავღანეთში ალ-ქაიდას" ქსელის "დაბომბვის" შემდეგ, ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის დამზადება პანკისის ხეობაში გააგრძელეს," – რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გუშინ ასეთი განცხადება გაავრცელეს და ის საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს დომინიკ დე ვილპენმს მიაწერეს. სააგენტო "იტარ-ტასის" ინფორმაციით, ქალაქ ლიონში ბიოტერორიზმის წინააღმდეგ ჩატარებულ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც 150 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, საფრანგეთის შს მინისტრმა განაცხადა, რომ მათ ხელთ აღმოჩნდა დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც, დასტურდება, რომ "ალ-ქაიდა" ცდილობდა დაემზადებინა მასობრივი განადგურების იარაღი, ამ გეგმის განხორციელება გაგრძელდა პანკისის ხეობაში ჩეჩნეთის საზღვრის სიახლოვეს.

თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ "იტარ-ტასის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია არასწორი იყო. ამის შესახებ კომენტარი გააკეთა საქართველოში საფრანგეთის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა. მან უარყო ინფორმაცია, თითქოს საფრანგეთის შს მინისტრმა ლიონში გამოსვლისას პანკისში „ალ ქაიდას" კვალის არსებობასა და ბიოლოგიური იარაღის დამზადებაზე ისაუბრა. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გოგა გომიაშვილმა და საფრანგეთის ელჩმა საგანგებო ბრიფინგი გამართეს. გოგა გომიაშვილის განმარტებით, საფრანგეთის შს მინისტრი თავის გამოსვლაში პანკისის ხეობაში რამდენიმე წლის წინ არსებულ მდგომარეობაზე საუბრობდა, რაც რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა სრულიად განსხვავებულ კონტექსტში წარმოაჩინეს. საქართველოში საფრანგეთის ელჩის თქმით კი, საფრანგეთის შს მინისტრმა თავის გამოსვლაში ზოგადად ტერორიზმის საკითხებზე ისაუბრა.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმაც, რომლის განცხადებითაც, საფრანგეთის შს მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა ისაუბრა 2001-2002 წლებში არსებულ სიტუაციაზე. **"როგორც ცნობილია, 2001-2002 წლებში საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ აშშ-ს დახმარებით პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციები ჩაატარა და მას შემდეგ ყველა პრობლემა მოიხსნა",** - განაცხადა მერაბიშვილმა.

ვანო მერაბიშვილის მტკიცებით, პანკისში თავის დროზე ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციების შემდეგ, ხეობა საქართველოს ხელისუფლების მიერ სრულად კონტროლდება.

ერთი სიტყვით, გუშინ რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული სკანდალური ინფორმაცია ტრადიციულად არასწორი გამოდგა, უფრო ზუსტად, საფრანგეთის შს მინისტრის მიერ მაგალითად მოყვანილი ძველი, ფაქტობრივად, ისტორიას ჩაბარებული ამბავი რეალობად გაასაღეს.

სხვათა შორის, პანკისში წლების წინ არსებული ლაბორატორიის შესახებ, პირველად 2002 წელს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გააკეთა განცხადება. მან პანკისის ხეობას უწოდა ტერიტორია, სადაც საერთაშორისო ტერორისტები შხამებს ამზადებდნენ. თუმცა, კოლინ პაუელმა ისაუბრა ერთ-ერთი ტერორისტული ორგანიზაციის "აზ-ზაკავის" წევრზე აბუ ჰაფსზე, რომელსაც კავშირი ჰქონდა "ალ ქაიდასთან" და დაკავშირებული იყო პანკისის ხეობაში მყოფ დაჯგუფებებთან, რომლებიც მომწამვლელ ნივთიერებებს ამზადებდნენ. თუმცა, სახელმწიფო მდივანმა იქვე განაცხადა, რომ აბუ ჰაფსი, რომელიც თავის დროზე პანკისში იმალებოდა, უკვე დაკავებულია.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პანკისის ხეობაში დაკავებულ უცხოელ ტერორისტთა შორის ერთ-ერთი აბუ ჰაფსი მართლაც იყო. საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა იგი 2002 წელს ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დააკავეს და ამერიკელ კოლეგებს გადასცეს. ბრიტანული გაზეთის "Sunday Times"-ის ინფორმაციით, რომელიც მან აშშ-ს სპეცსამსახურებისგან მიიღო, აბუ ჰაფსი ალიისლამ ელი-მაშრი, "ალ ქაიდას" პოლიტიკური კომიტეტის წევრი, მომწამვლელ ნივთიერებათა დამზადების საკითხში ექსპერტი, რომლის რეცეპტითა და მითითებებით მზადდებოდა მასობრივი განადგურებს იარაღი - ნივთიერება რიცინი, გუანტანამოს ბანაკში იმყოფება. ინფორმაციას უცხოელ ტერორისტთა დაკავების შესახებ ადასტურებდა საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰუმან რაითს ვოჩიც", რომლის ინფორმაციითაც, მათი დაკავება 2002 წლის 28 აპრილს მოხდა.




# დააკავეს სვანური დაჯგუფების წევრები

დედაქალაქში სვანური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება.

რამდენიმე დღის წინ თბილისი-ზუგდიდის სამგზავრო მატარებელში მოულოდნელად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული დავით ფანგანის მიერ ორგანიზებული დაჯგუფების შემდეგ, ჯერი იოსებ მენაფირეს, მეტსახელად "ვამპირას" ჯგუფზე მიდგა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის დასახლებაში ბანდიტიზმისა და პოლიციელის მკვლელობისათვის ნასამართლევ იოსებ მენაფერთან ერთად მისი დაჯგუფების კიდევ ორი წევრი - 25 წლის ფირუზ ბენდელიანი და 24 წლის დავით ქურასბედიანი დააკავეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი მერაბ ბაღათურია არ თვლის, რომ ქალაქში მიმდინარე ანტიკრიმინალური ღონისძიებები კონკრეტულად სვანების წინააღმდეგ არის მიმართული.

**"სამმართველოში სხვადასხვა დანაშაულზე შემოსული ინფორმაციები გადამოწმდა და აღმოჩნდა, რომ ისინი სვანური დაჯგუფებების მიერ არის ჩადენილი. სხვები რომ ყოფილიყვნენ, მათ დავიჭერდით,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში მერაბ ბაღათურიამ.

პოლიციის ინფორმაციით, იოსებ მენაფირეს დაჯგუფებამ გასული წლის 22 ივნისს, ამჟამად ძებნაში მყოფ კიდევ ორ პირთან ერთად, მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელ ახალკაცსა და მის მეგობრებზე, რა დროსაც ახალკაცს გასტაცეს ტაბელური პისტოლეტი "მაკაროვი" და იგი ფეხში დაჭრეს.

მერაბ ბაღათურიას განცხადებით, აღნიშნული პისტოლეტი შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე დღეშივე იქნა ნაპოვნი, ხოლო ეჭვმიტანილები ამ დრომდე იმალებოდნენ.

**"ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება და არ არის გამორიცხული, რომ მომავალში აღნიშნული ჯგუფის მიერ ჩადენილი სხვა მძიმე დანაშაულებიც, კერძოდ ყაჩაღობები, გამოაშკარავდეს,"** - ასეთია ბაღათურიას პროგნოზი.

**"შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ქალაქში არსებული კრიმინოგენული ვითარება კონტროლირებადია. მხოლოდ მიმდინარე წლის ორი თვის განმავლობაში 60-მდე ორგანიზებული დაჯგუფებაა დაკავებული და აქედან გამომდინარე გახსნილია ათობით მძიმე დანაშაული. ამასთან დაკავებულია 20 ადამიანი, რომლებიც მანქანების გატაცებაზე მუშაობდნენ და გატაცებული მანქანები აფხაზეთის, ცხინვალის და სასომხეთის ტერიტორიაზე გადაჰყავდათ",** - ამბობს ქალაქის შერიფი.

მისი განცხადებით, ქალაქში კვლავ პრობლემად რჩება ქუჩის დანაშაულები და ქურდობა.

**"თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში შევქმენით ჯიბის ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური განყოფილება. საკმაოდ მცირე ხნის განმავლობაში დაკავებულია 30 ჯიბის ქურდი, თუმცა ამით პრობლემას მოგვარებულად ვერ ჩავთვლით. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს პატრულთან ერთად გავაძლიეროთ ამ კუთხით მუშაობა და ამასთან უფრო გამკაცრდეს ბრძოლა ქურდობის და ძარცვის წინააღმდეგ".** – ამბობს თბილისის პოლიციის უფროსი მერაბ ბაღათურია.

თბილისის შერიფის განცხადებით, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ვაკის ტერიტორიაზე მანქანაში ჩაცხრილული ცოლ-ქმრის დავით ზირაქიშვილის და ნათია მთავრიშვილის საქმეზე.

**"უკვე ცნობილია დანაშაულის მოტივი და დამნაშავეთა წრე. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ დამნაშავეები უახლოეს დღეებში იქნებიან დაკავებულნი,"** - გვპირდება ბაღათურია.

**24 საათი**

# პოლიცია ძველ მეთოდებს არ ღალატობს

სახალხო დამცველის აპარატთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წევრები, რომლებიც ორი დღის წინ მარნეულში იმყოფებოდნენ, სამართალდამცველთა მხრიდან ჩადენილ უკანონობაზე საუბრობენ. საქმე ისაა, რომ მონიტორინგის საბჭოს წევრების მარნეულში გამგზავრების მიზეზი ცოტა ხნის წინ წალკაში მომხდარი მკვლელობის გამო დაკავებული ეჭვმიტანილების ოჯახის წევრების მოთხოვნა გახდა. სპეცრაზმის მიერ დაკავებულთა ახლობლებმა სახალხო დამცველის აპარატს ვითარების ადგილზე გარკვევა და დახმარება სთხოვეს.

სპეცრაზმელების მიერ დაკავებულ რვა ეჭვმიტანილს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წევრები მარნეულის პოლიციის სამმართველოში ცალ-ცალკე გაესაუბრნენ და თითოეულ მათგანთან დაკავშირებით ოქმები შეადგინეს.

**"მოვინახულეთ პოლიციელების მიერ სასტიკად ნაცემი 20 წლის ელდარ ნარსავიძე. ფიზიკური ზემოქმედების კვალი მას ერთი შეხედვითაც ეტყობა. როგორც გავარკვიეთ, ის ჯერ დაკავებისას, თბილისის რკინიგზის სადგურზე, მატარებლის ვაგონში უცემიათ უმოწყალოდ, შემდეგ კი მისი წამება მარნეულის პოლიციაში გაუგრძელებიათ,"** - აცხადებენ მონიტორინგის საბჭოს წევრები.

გარდა ამისა, როგორც სახალხო დამცველის აპარატში განგვიცხადეს, სამართალდამცველებმა დაკავებულთა ადვოკატების უფლებებიც შელახეს. გაირკვა, რომ სახაზინო წესით დანიშნულმა ადვოკატმა ნაწამები ელდარ ნარსავიძის სამედიცინო შემოწმება მოითხოვა, რაზეც პოლიციის მხრიდან კატეგორიული უარი მიიღო.

რაც შეეხება კიდევ ერთ ეჭვმიტანილს, დავით თამლიანს, მასთან შეღწევა ადვოკატს მხოლოდ მონიოტორინგის ჯგუფის წევრების ჩარევის შედეგად მოუხერხებია. ადვოკატი ირწმუნება, რომ პოლიციელებმა მასზეც მოახდინეს ზეწოლა.

**"ეჭვმიტანილთა დაკავებისას სამართალდამცავთა მხრიდან სხვა კანონდარღვევებსაც ჰქონდა ადგილი. დაკავებულებს არ განუმარტეს მათი უფლებები, არ მისცეს ტელეფონზე დარეკვის საშუალება, არ გადასცეს ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილების ასლი",** - აცხადებენ მარნეულიდან დაბრუნებული მონიტორინგის საბჭოს წევრები.

ჩვენი ინფორმაციით, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული მასალები, რომლებიც სამართალდამცველთა მხრიდან ჩადენილ კანონდარღვევებს ადასტურებს, რეაგირებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას უკვე გადაეგზავნა.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

## ანკეტა

სახელი, გვარი.......................................................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.......................................................

საკონტაქტო ტელეფონი.........................................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი [illegible]

აფხაზური ისტორიები

## "ბატინკები"

მინდა მოგიყვეთ ისტორია, რომელიც თავს გადამხდა ქართულ-აფხაზური ომის დროს.

ეს ისტორია მე და ჩემს მეუღლეს გვეხება.

ჩვენ ჯერ კიდევ ომამდე გავიცანით ერთმანეთი. მე მაშინ მხოლოდ 15 წლის ვიყავი, ის კი – 22-ის. მე სკოლაში ვსწავლობდი, მან კი სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, აფხაზეთის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. ჩვენ შევთანხმდით, რომ მხოლოდ მაშინ დავქორწინდებოდით, როდესაც მე დავამთავრებდი სკოლას და უმაღლესში ჩავაბარებდი.

მაგრამ დაიწყო ომი და ჩემი შეყვარებული [illegible]

[illegible]

ის ხანდახან ჩამოდიოდა ხოლმე ჩემს სანახავად. [illegible]

[illegible] მე ერთადერთი ქალიშვილი ვიყავი ოჯახში და მშობლებმა [illegible] გუდაუთაში [illegible] (გუდაუთა გაცილებით შორს იყო იმ ადგილებიდან, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა).

მე უკვე მზად ვიყავი გასამგზავრებლად, [illegible]

[illegible]

მისი სიტყვები რომ მოვისმინე, [illegible] "თუ შენ მოკვდები, [illegible] ჩვენ სამუდამოდ ერთად ვიქნებით აქაც და იქაც," – შევპირდი ჩემს შეყვარებულს.

ამის შემდეგ, ჩემი მშობლების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, მე აღარ წავედი გუდაუთაში.

ჩემი შეყვარებული ჯგუფის უფროსი იყო. ყოველი შეტევის შემდეგ მე მივდიოდი ჰოსპიტალში, რომელიც ჩვენს სახლთან ახლოს იყო, რათა მენახა, დაჭრილებს შორის ხომ არ იყო იგი. [illegible]

[illegible]

ამან გამომაფხიზლა - [illegible]

როგორც იქნა, მოვიკრიფე ძალა, [illegible] "ბატინკები" ეცვა.

**რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი.**

**პროექტი "ცხოვრებისეული ისტორიები" მიმდინარეობს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით.**

მოკლედ

## ბაგაფშიადა

მიმდინარე წლის შემოდგომაზე თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის ვაჟი სამხედრო სამსახურს აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ჯარში გაივლის.

"არავის უნდა გაუჩნდეს აზრი, თითქოს აფხაზურ ჯარში მხოლოდ გლეხების შვილებმა უნდა იმსახურონ," - განაცხადა პრეზიდენტმა ბაგაფშმა აფხაზეთის პარლამენტის წევრებთან გამართულ შეხვედრაზე.

მისი თქმით, სამშობლოს წინაშე თავის მოქალაქეობრივ ვალს აფხაზეთის ახალი ხელისუფლების ყველა მინისტრისა და ხელმძღვანელის შვილი გაივლის. რაც შეეხება მის ვაჟს, რომელიც ამჟამად რუსეთში ცხოვრობს და საქმიანობს, იგი თავისი მოქალაქეობრივი ვალის შესრულებას შემოდგომაზე დაიწყებს.

ამასთან, ბაგაფშის მტკიცებით, პრეზიდენტის, პრეზიდენტის აპარატის წევრთა ოჯახის წევრები და ნათესავები ხელმძღვანელ თანამდებობებზე არ დაინიშნებიან.

■ ■ ■

მაისიდან აფხაზეთში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შიდა სარგებლობის პასპორტების გაცემა დაიწყება.

ამის შესახებ აფხზეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა აფხაზური პარლამენტის წევრებთან შეხვედრაზე განაცხადა.

ბაგაფშის განცხადებით, დღეისათვის ხელისუფლებას 120 ათასი აფხაზური პასპორტი აქვს და ამჟამად საპასპორტო კომისიის შექმნის საკითხი განიხილება.

დაზუსტებული მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას, დაახლობით 170 ათას მოქალაქეს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული, რეალურად კი რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელ პასპორტს აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის 25-30 ათასი მოქალაქე ფლობს. დანარჩენები საბჭოთა კავშირის დროინდელი პასპორტებით სარგებლობენ, ამ პასპორტებში რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი შტამპი აქვთ ჩარტყმული და რუსეთის მოქალაქის სრულფასოვანი პასპორტების მიღებას ელოდებიან.

■ ■ ■

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის განკარგულებით, აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის უფროსად იური აშუბა დაინიშნა.

იური აშუბა აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას მთავრობაში უშიშროების სამსახურის მოადგილედ მუშაობდა. უშიშროების სამსახურის უფროსად მისი კანდიდატურა პრეზიდენტ ბაგაფშს ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ შესთავაზა.

აშუბას დანიშნვამდე ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ძალოვანი უწყებებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელებად მის მიერ წარდგენილი კანდიდატურების ნაცვლად, ბაგაფშმა სხვები დანიშნა.

სერგეი ბაგაფშის მიერ დამტკიცებულ მთავრობის ახალ სტრუქტურაში 12 სამინისტრო, 7 სახელმწიფო კომიტეტი, 15 სამმართველო და 8 სახელმწიფო ფონდია. დღეისათვის მთავრობის მთელი შემადგენლობა, საგარეო საქმეთა მინისტრის გარდა, დანიშნულია.

ხაჯიმბა ბაგაფშისგან საგარეო საქმეთა მინისტრად სერგეი შამბას დანიშვნას მოითხოვს, რომელსაც აღნიშნული თანამდებობა 1997 წლიდან ეკავა. 25-26 თებერვალს შამბა მოსკოვში იმყოფებოდა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვალერი ლოშჩინინს შეხვდა.

■ ■ ■

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში აფხაზეთის ახლად დანიშნულ შინაგან საქმეთა მინისტრს ოთარ ხეციას აფხაზეთში კრიმინოგენული ვითარების გამოსასწორებლად 6-თვიან ვადას აძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებას მის გადაყენებას ჰპირდება.

ამის შესახებ ბაგაფშმა დღეს აფხაზ პარლამენტარებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. მისი თქმით, იგი როგორც აფხაზეთის პრეზიდენტი აფხაზური საზოგადოების უმთავრეს ამოცანად ერთიანობას მიიჩნევს, ერთიანობის მისაღწევად კი "უნდა დასრულდეს საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდისდროინდელი დაპირისპირება და მოქალაქეების მომხრეებად და მოწინააღმდეგებად დაყოფა".

ბაგაფშის მტკიცებით, იგი მზადაა, შეასრულოს საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში აღებული ვალდებულებები, შს ახლად დანიშნულმა მინისტრმა კი კრიმინოგენული ვითარების გამოსწორება 6 თვეში უნდა მოახერხოს.

"თუ ამ პერიოდში წინსვლა და სასიკეთო ტენდენციები არ გამოჩნდება, ოთარ ხეცია თანამდებობიდან გათავისუფლდება," - აღნიშნა ბაგაფშმა და დასძინა, რომ მზადაა, ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი შინაგან საქმეთა მინისტრს აფხაზეთში კრიმინოგენული ვითარების გამოსასწორებლად. **ინტერ-პრესი**

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## დამოკიდებულება იცვლება, მაგრამ...

ზაზა ფაჩუაშვილი

*13 თებერვალს "24 საათში" გამოქვეყნდა ისტორიული ინტერვიუ გალის ადმინისტრაციის საბჭოს თავმჯდომარესთან რუსლან ქიშმარიასთან, რომელსაც შეხვდა და ესაუბრა ასოციაცია "სტუდია რეს" ხელმძღვანელი მამუკა ყუფარაძე. ინტერვიუ ისტორიულია იმდენად, რამდენადაც მთელი ამ ხნის განმავლობაში აფხაზური ხელმძღვანელობიდან ქართულ პრესაში ოფიციალურად გამოჩენას ვერავინ ბედავდა. ამ ინტერვიუსა და გალში არსებული მდგომარეობის შესახებ ვესაუბრებით მამუკა ყუფარაძეს, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე მეშვიდედ იმყოფებოდა. მან გადაიღო რამდენიმე ფილმი გალის შესახებ, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ უკვე იხილა.*



*მამუკა ყუფარაძე და რუსლან ქიშმარია ინტერვიუს დროს.*

**- ბატონო მამუკა, რა მიზნით იმყოფებოდით გალში?**

- წელს გალის რაიონში ორჯერ ვიყავით - იანვარში და თებერვალში. შეხვედრა გვქონდა ქალბატონ თინა ქეცბაიასთან (გალის ქალთა ასოციაცია), მისი ორგანიზაციის წევრებთან და რაიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ერთი პროექტი უკვე ავამუშავეთ – ეს არის გალის რაიონში სტუდიის დაარსება, რომელიც ადგილზე მოამზადებს ტელეჟურნალისტებს. გალში სურვილი აქვთ, რომ გახსნან ტელევიზია და ეს კადრები მისთვის მომზადდება. ამჟამად ჩვენთან თბილისში იმყოფება გალის რაიონის ორი მკვიდრი, რომლებიც გადიან პრაქტიკას. ჩვენ მათ ვასწავლით მუშაობას კამერასთან, კომპიუტერთან, ვასწავლით სიუჟეტების მომზადებას.

ეს ახალგაზრდები მონაწილეობას მიიღებენ იმ ტელეგადაცემის შექმნაში, რომელსაც ამჟამად ასოციაცია "სტუდია რე" ამზადებს სამუშაო სათაურით - "რას ვთავაზობთ ჩვენ აფხაზებს". მოგეხსენებათ, 6 თვეში განახლდება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები. მხარეთა შეხვედრა გაიმართება ჟენევაში და ამ დროისათვის ჩვენ გვინდა, საზოგადოებამაც იცოდეს ის, რა წინადადებებით მიდის ქართული მხარე ამ მოლაპარაკებაზე.

**- როდის ამუშავდება გალის სტუდია?**

- მარტის ბოლოს ჩვენ ვაპირებთ, წავიდეთ გალში, რათა ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და ჩვენი უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერით დავაარსოთ სტუდია და ჩავატაროთ სწავლების კურსი. უნდა მოგახსენოთ, რომ იქ დაინტერესება ძალიან დიდია. გამოჩნდნენ ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ ჩვენთან ანალოგიური პროექტების განხორციელება და ისინი უკვე დაუკავშირდნენ ქალბატონ თინა ქეცბაიას. ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზეთში საქართველოსადმი დამოკიდებულება იცვლება.

**- რას შეიძლება დავუკავშიროთ ასეთი ცვლილება?**

- საქართველოსაკენ უფრო ფართო ხედვა, ალბათ, აფხაზეთში ხელისუფლების ცვლილებას მოჰყვა, მაგრამ ამან ჩვენ რაიმე ილუზიები არ უნდა შეგვიქმნას, თითქოს პრობლემა იჭრება, აფხაზები ჩვენსკენ ბრუნდებიან და ა.შ.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ასე მარტივად არ არის. აფხაზებს დამოუკიდებლობა სურთ და ისინი არაფერს დათმობენ, სანამ ჩვენ უფრო სანდო და მიმზიდველი არ გავხდებით მათთვის.

გალში სტუმრობისას ერთ რამეში ნამდვილად დავრწმუნდი - აფხაზებს სურთ ჩვენთან ეკონომიკური ურთიერთობების აგება. ეს მართლაც მისასალმებელია, ვინაიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ სურვილს ვერავინ გამოთქვამდა, რომ არა ვიზირება სახელისუფლებო წრეებიდან. ამიტომ ჩვენ, ქართული მხარე, ყოველგვარი პოლიტიკური ვაჭრობის გარეშე უნდა წავიდეთ ამ ურთიერთობაზე. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ჩვენ და აფხაზებს შორის ბიზნესურთიერთობების აგებას და ამ მხრივ იმ რეგიონის ცოტათი მაინც გაჯანსაღებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გალში შევხვდი ქართველებსა და აფხაზებს, რომლებიც ერთმანეთის მხარდამხარ მუშაობენ გალში, ოჩამჩირეში, ტყვარჩელში და ცდილობენ რაღაც ბიზნესპროექტების განხორციელებას. ჩემი აზრით, ძალიან კარგი იქნება, თუ ქართველი ბიზნესმენები, თუ გნებავთ ჩვენი ხელისუფლების ხელშეწყობითაც ჩაერთვებიან ამ პროექტებში და საერთოდ, მეტ ყურადღებას მიაქცევენ ამ რაიონებს. იქ არის ძალიან კარგი რესურსები ძველი მეურნეობების აღსადგენად, იქნება ეს მეცხოველეობა, მეთევზეობა თუ მეხილეობა.

სხვათა შორის ქართველ ექსპერტებსაც აქვთ შემუშავებული გარკვეული ბიზნესგეგმები აფხაზეთთან დაკავშირებით. ძალიან საინტერესო პროექტებს გვთავაზობენ. დავით უსუფაშვილი, ლაშა ტუღუში, "რესპუბლიკელები". ძალიან კარგად მუშაობს აფხაზ ბიზნესმენებთან ალუ გამახარია. მალე იგეგმება ქართველი და აფხაზი ბიზნესმენების შეხვედრა. ამიტომ ვამბობ, რომ თუ ჩვენი ხელისუფლების ნება იქნება, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა შეიძლება.

**- ეს ძალიან კარგი იქნება, მაგრამ საქმე უსაფრთხოების გარანტიაშია**

- ეს, რა თქმა უნდა, დამატებითი და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უსაფრთხოების პრობლემები მოგვარებადია. ყოველ შემთხვევაში სწორედ უსაფრთხოების საკითხები უნდა იყოს სასაუბრო თემა და არა ის, გვინდა თუ არა ბიზნესურთიერთობები. ამასთან, ჩემი აზრით, სრულიად უადგილოა პოლიტიკური ვაჭრობა - ჯერ სტატუსზე მომიწერე ხელი, ან ჯერ დევნილები დააბრუნე და ა.შ. რუსლან ქიშმარია ინტერვიუში ნათლად ამბობს, რომ ამ ეტაპზე აფხაზეთში დევნილების დაბრუნების მატერიალური შესაძლებლობა არ არის. იქ თავად განიცდიან მძიმე სოციალურ გაჭირვებას. ამიტომ, თუ ჩვენ აფხაზეთში ერთობლივად გავმართავთ გარკვეულ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას, მაშინ დევნილების დაბრუნებაზეც შეიძლება საუბარი. სხვათა შორის გალში, ოჩამჩირეში და ტყვარჩელში თუ სამუშაო ადგილები შეიქმნება, რუსეთიდან არავინ ჩამოვა და ისევ ისინი იმუშავებენ, ვინც იქ ცხოვრობდა.

რაგინდ ხატოვნად უნდა გადმოსცენ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა აფხაზეთში ვითარება, ყველამ იცი და მით უმეტეს რუსეთის მოქალაქეებმა, რომ აფხაზეთში ხალხი ძალიან გაჭირვებაში ცხოვრობს და იქ თუ ვინმე ჩავა საცხოვრებლად, ისევ ქართველები, რომლებსაც ერთი სული აქვთ, როდის დაბრუნდებიან სახლებში.

**- როგორ შედგა ინტერვიუ რუსლან ქიშმარიასთან?**

- თქვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, რომ გალში ცხოვრობს და არასამთავრობო სექტორში მოღვაწეობს არაჩვეულებრივი ქალბატონი თინა ქეცბაია, რომელიც საინტერესო პროექტებს ახორციელებს და ავტორიტეტით სარგებლობს ქართველებშიც და აფხაზებშიც. მასთან ერთად დაიბადა იდეა, რომ ასოციაცია "სტუდია რეს" უცხოელ პარტნიორებთან ერთად ("შერიგების რესურსები") გალში სტუდია დაეარსებინა. ჩემი აზრით ეს პროექტი გამოაცოცხლებს და გაახალისებს ცხოვრებას გალის რაიონში.

რაც შეეხება რუსლან ქიშმარიას, მას პირველად გალში შევხვდით ჩვენი პირველი ფილმის გადაღებისას. ამჟამად მას მესამედ შევხვდი და იმის მიუხედავად, რომ ძალიან ახლოს არ ვიცნობ, მისდამი დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი. პირველ რიგში იმის გამო, რომ ის არის ღირსეული ადამიანი, ახასითებს პირდაპირობა და თამამი მოქმედება. მას აფასებენ ქართველებიცა და აფხაზებიც და ამიტომ დიდი პოტენციალი გააჩნია იმისათვის, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულოს. ძლიერი მოქალაქეობრივი პოზიცია კი მას აძლევს იმის საშუალებას, ილაპარაკოს ის, რასაც ფიქრობს. მე ვფიქრობ რუსლან ქიშმარია ასევე საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს აფხაზური ხელისუფლების მაღალ ეშელონებშიც. დღეს იგი არის გალის ადმინისტრაციის საბჭოს თავმჯდომარე. ძალიან სასიამოვნოა, რომ ინტერვიუზეც დაგვთანხმდა.

**- როგორც ჩანს, რუსლან ქიშმარია ჭეშმარიტად პატრიოტი ადამიანია და ამბობს იმას, რასაც ფიქრობენ პატიოსანი აფხაზები. ამრიგად მისი ინტერვიუ ჩვენთვის ერთგვარი სახელმძღვანელოც კია, მაგრამ შეგიძლიათ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რას გულისხმობდა ქიშმარია, როცა ამბობდა, რომ საქართველო აფხაზებისთვის მიმზიდველი უნდა გახდეს? ხომ არ შეიძლება ველოდოთ იმას, სანამ საქართველო ევროპის განვითარებული ქვეყნის დონეს მიაღწევს?**

- ცხადია და სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყანა დიდხანს ვერ დადგება მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგში. ამიტომ მიმზიდველობა ასე არ უნდა გავიგოთ. მიმზიდველობაში იგულისხმება დამოკიდებულება კონფლიქტისადმი და მის მოგვარებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებისადმი. თუ ქვეყანა განვითარების სწორ გზაზე დგას, ზრუნავს საკუთარ მოქალაქეებზე და ნელნელა აგვარებს სოციალურ პრობლემებს, ირჩევს კონლიქტების მოგვარების მშვიდობიან გზას, ეს ქვეყანა უკვე მიმზიდველია და სკეპტიკურად განწყობილი ხალხიც კი იცვლის პოზიციას; მაგრამ, როცა დაპირისპირებული მხარე ამას ვერ ხედავს, მაშინ ეს ქვეყანა გარდა იმისა, რომ ღარიბია, მისთვის საშიშიცაა და რა მიმზიდველობაზე შეიძლება საუბარი. მით უმეტეს, რომ, როცა ჩვენი თანამდებობის პირებს ეკითხებიან აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, ისინი აქცენტს ჯარზე აკეთებენ. სანამ ხელისუფლებაში ასეთი მიდგომა იქნება სანდო და მიმზიდველი ნამდვილად ვერ გავხდებით და ასეთ შემთხვევაში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა მე საერთოდ არ მესახება. აფხაზებს ნამდვილად უნდათ დამოუკიდებლობა. მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის თვითმყოფადობის შენარჩუნების გზა და თუ ჩვენ გვინდა, რომ აფხაზები ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში დავაბრუნოთ, მათთვის სანდო და მიმზიდველები უნდა გავხდეთ. აფხაზები უნდა დავარწმუნოთ, რომ საქართველოს შემადგენლობაში მათი ინტერესები და უფლებები სრულად იქნება დაცული. ისინი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვიჯერებენ, თუ დაინახავენ, რომ სიტყვით კი არა საქმით ვაკეთებთ იმას, რასაც ვპირდებით.

**- არჩევნებამდე გალში საკმაოდ დაძაბული ვითარება იყო, თქვენ რა მდგომარეობა დაგხვდათ?**

- როგორც მითხრეს, გალში სტაბილურობის რაღაც სიმპტომები შეინიშნება. ამასთან, აფხაზური ხელისუფლების მხრიდან გალში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობაზე ზრუნვის მცდელობაც არის. მე ვიცი, რომ აფხაზეთის ხელისუფლების ერთ-ერთი ლიდერი ანქვაბი ინკოგნიტოდ იყო ჩასული გალში, ხალხმრავალ ადგილებში, რათა ხალხის მდგომარეობა გაეგო. ისიც ფაქტია, რომ არაოფიციალურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა თავისი საქმიანობა მოთოკეს. თუმცა, იმ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მოქმედებენ ქართულ-აფხაზური შერეული ბანდფორმირებები, რომლებიც ერთნაირად სახიფათონი არიან ქართველებისა და აფხაზებისთვის. ამ ძალების განეიტრალება ორივე მხარის ინტერესებში შედის და, ალბათ, ერთობლივად უნდა მოხდეს.

**- თქვენი ინტერვიუ ქიშმარიასთან მრავალწლიანი დუმილის გარღვევაა. ხომ არ ფიქრობთ აფხაზური ხელისუფლების სხვა წამომადგენლებსაც ჩამოართვათ ინტერვიუ?**

- საინტერესო მოსაზრებაა და მეც მიფიქრია ამაზე. რამდენიმე პროექტი მაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩავიდე აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებში, სოხუმში და იმედი მაქვს, რომ ინტერვიუზე იქაური ხელისუფლების არც სხვა წევრები მეტყვიან უარს. ასეთ შემთხვევაში პირობას გაძლევთ, რომ მორიგ ინტერვიუსაც თქვენს გაზეთში მოვიტან.

## ახალგაზრდობა ეთნოსტერეოტიპების წინააღმდეგ

*"საქართველო ვერ თავისუფლდება ისეთი დიდი პრობლემისგან, როგორიცაა ეთნიკური სტერეოტიპები, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მთელი საზოგადოების მასშტაბით ადეკვატური ინფორმაციის თანაბარი განფენა," - მიაჩნიათ "ახალგაზრდა კონფლიქტოლოგთა ასოციაციის" წევრებს, რომელთა უმეტესობა "კავკასიურ სახლში" არსებული კავკასიური უნივერსიტეტის სტუდენტია.*

ლელა მარგიანი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო დამოუკიდებლობის რთულ გზას დაადგა. ეს გზა სავსე აღმოჩნდა მთელი რიგი გეოპოლიტიკური, შიდაპოლიტიკური, კულტურული თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემებით. დემოკრატიული განვითარების გზაზე მყოფი საქართველოსთვის ძნელი აღმოჩნდა მრავალი პრობლემის ერთდროულად გადაჭრა.

ყოველ დემოკრატიულ ქვეყანაში, ევროპული და მსოფლიოს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სტაბილური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაა. იმისათვის, რომ ზემოხსენებული საზოგადოება საბოლოოდ ჩამოყალიბდეს, აუცილებელია თანაბრად მიეწოდოს მას ინფორმაცია, რომელიც თავისუფალი იქნება ნებისმიერი სახის სტერეოტიპისგან და უარყოფითი წინასწარგანწყობებისგან.

პოსტსაბჭოთა პოლიტიკური ერთეულებისთვის (აღიარებული თუ არაღიარებული) დიდ პრობლემას წარმოადგენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემებისგან თავის დაღწევა. ეთნოსტერეოტიპების პრობლემის გადაწყვეტა მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნია ქართველ ახალგაზრდობას.

სწორედ ამ მიზანს ითვალისწინებს ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით, კავკასიური უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გასული წლის აპრილში დაფუძნებული, "ახალგაზრდა კონფლიქტოლოგთა ასოციაციის" მიერ განხორციელებული პროექტი - "ეთნოკონფლიქტები გუშინ და დღეს".

სტუდენტი-კონფლიქტოლოგების მიერ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სამი სემინარიდან ორი უკვე ჩატარდა. ჩატარებული სემინარები მიეძღვნა საქართველოსთვის ყველაზე მეტად მტკივნეულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს.

პირველი სემინარი ეხებოდა კონფლიქტს ცხინვალის რეგიონში, ამიტომ მოსმენილი იქნა ამ რეგიონის სოფელ დისევის მცხოვრებლის ნინო ოქროპირიძის მოხსენება თემაზე –"მოგონებებს ომი ვერ შლის".

ახალგაზრდა-კონფლიქტოლოგებს მიაჩნიათ, რომ სოფელი დისევი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით (მას მარჯვნიდან და მარცხნიდან ეკვრის ოსური სოფლები, მხოლოდ სამხრეთით ემეზობლება იგი გორის რაიონის ქართულ სოფლებს) და ეთნიკური განსაკუთრებულობით (სოფელში უმეტესობა შერეული ქართულ-ოსური ოჯახებია), შეიძლება განხილულ იქნეს მნიშვნელოვან სამშვიდობო რესურსად.

მეორე სემინარი მიეძღვნა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს. სემინარის მონაწილე სტუდენტმა-კონფლიქტოლოგებმა თავდაპირველად მოისმინეს "კავკასიური სახლის" თანამშრომლის ქალბატონი ანიკო წვინარია-აბრამიშვილის მოხსენება, შემდეგ ნახეს "კავკასიური სახლის" თანამშრომლების მიერ აფხაზეთში გადაღებული ფილმი "ათი წლის შემდეგ" და ბოლოს გააგრძელეს მუშაობა საქართველოს სამთავრობო უწყებებისთვის ახალგაზრდობის მიერ ეთნიკური სტერეოტიპების დაძლევის მიზნით შემუშავებულ რეკომენდაციებზე.

**"აღნიშნული პროექტი, ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაციისთვის პირველი წარმატებული მცდელობაა. ჩვენი მიზანია, რომ რეგიონალურ-კავკასიურ და ამავე დროს, ნაციონალურ დონეზე მონაწილეობა მივიღოთ მშვიდობის მშენებლობის საქმეში. ჩვენი არსებობის შესახებ უკვე იციან დაღესტანში, ყაბარდო-ბალყარეთში, აფხაზეთში. ჩვენ გვაქვს კონტაქტები რეგიონის სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებთან. (პირადად მაქვს კონტაქტები სოხუმის უნივერსიტეტის სტუდკავშირთან), უახლოეს მომავალში ვგეგმავთ საერთო - რეგიონალური პროექტების განხორციელებას ჩვენს თანატოლებთან. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, გვინდა მსგავსი პროექტების განხორციელება ჩვენს აფხაზ და ოს მეგობრებთან ერთად. ვიმედოვნებთ, პოლიტიკური მიზეზები არ იქნება ხელისშემშლელი იმაში, რომ რეგიონის ახალგაზრდობამ ერთად დავანგრიოთ არსებული ეთნოსტერეოტიპები,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში სემინარების მოწყობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და "ახალგაზრდა კონფლიქტოლოგთა ასოციაციის" დამფუძნებელმა, კავკასიური უნივერსიტეტის სტუდენტმა გალაქტიონ ჩავლეიშვილმა.

შეხვედრის დასასრულს სტუდენტებმა განაგრძეს მუშაობა საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენ რეკომენდაციებზე და კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ "საქართველოს ახალგაზრდობა, მიუხედავად თავისი ეთნიკური წარმომავლობისა, ხმამაღლა აცხადებს, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ სურს ომი და სისხლისღვრა, წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი მწარე შეცდომების გამეორება".

ქორეოგრაფიული პალიტრა თბილისში



B2

დინამო „გაფუჭდა", ტორპედო ფოთში „ჩაიძირა"



B4

ვარდი ირლანდიაში დაჭკნა



B5

ნომრის სტუმარი

# დავით უსუფაშვილი: ხელისუფლებაზე უარესი დღეს ოპოზიციაა

## პოლიტიკური კლუბიდან - პოლიტიკურ პარტიამდე

პირველი გვერდიდან

**- "რესპუბლიკური პარტია" უკვე დიდი ხანია, დინჯად და აუღელვებლად დგას ოპოზიციაში. ხელისუფლებისკენ არ ილტვით?**

- ჩვენი ოპოზიციონერობა ერთგვაროვანი არ ყოფილა. 1978-1990 წლებამდე, საბჭოთა საქართველოს დროს ოპოზიციაში ყოფნა არა სიდინჯე, არამედ საკმაო სიმამაცე და მაქსიმუმი იყო, რისი გაკეთებაც მაშინ პარტიას შეეძლო. 80-იანი წლების ბოლოს იყო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პოლიტიკური ჯგუფი. 1990 წლის დასაწყისში მოხდა სერიოზული ცვლილებები და "რესპუბლიკურ პარტიაში" გაერთიანდა "დასი" ("დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის"), რომლის წევრიც ვიყავი. ოპოზიციონერობა ჩვენი არც პროფესიაა და არც ბედი, ეს იყო უბედობა. კომუნისტების დროს სხვა რამ შეუძლებელი იყო, შევარდნაძემ თავის "მოქკავშირიანად" გააგრძელა პოსტკომუნისტური ეპოქა, რომლის დროსაც პოლიტიკური ცხოვრება მკვდარი იყო და რაიმე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი არ შეიძლებოდა.

**- გამოდის, არ ეთანხმებით მაშინდელ რეფორმატორთა ფრთიან ფრაზას იმის შესახებ, რომ შევარდნაძე 1998 წლამდე კარგად იქცეოდა.**

- ვიყავი "რესპუბლიკური პარტიის" წევრი და პრეზიდენტ შევარდნაძის აპარატში იურიდიულ მრჩევლად ვმუშაობდი. ეს სამსახური 1994 წლის ბოლოს დავტოვე. ჩემთვის მაშინვე ნათელი გახდა, რომ ამ გზით ვერაფერს მივაღწევდით. ამ პერიოდში დაიწყო "მოქკავშირის" მშენებლობა და კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც ზურაბ ჟვანიამ შემომთავაზა, ამ გზით ვიაროთო. ვუპასუხე - არ მგონია, ამ გზამ გაამართლოს, მაგრამ თუ თქვენ ამ გმირობას ჩაიდენთ და ამ გზით ქვეყანას წინ წაიყვანთ, პირველი ვიქნები, ვინც გმირად გაღიარებთ-მეთქი. როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, 1999 წელი იმიტომ მოინათლა გარდამტეხ წლად, რომ ამ დროს დაყარეს ფარ-ხმალი ე.წ. რეფორმატორებმა და ძირითად შემთხვევაში თავად იქცნენ მახინჯი პოლიტიკური სისტემის საყრდენებად. მათ მშვენივრად გამოძებნეს საერთო ენა კორუმპირებულ სისტემასთან და ქვეყანა უკუსვლით წავიდა.

**- რას ნიშნავს, როცა პარტია თავმჯდომარეს იცვლის, რა იქნება "რესპუბლიკეთა" მთავარი თემა?**

- წინა თავმჯდომარეებს, ივლიანე ხაინდრავასა და დათო ბერძენიშვილს, ერთადერთი სასაყვედურო ჰქონდათ - მათ თვალი ყოველთვის გაურბოდათ აქტიური პოლიტიკური ანალიზისკენ და ნაკლებ დროს ხარჯავდნენ ორგანიზაციულ საქმეებზე.

ჩვენი ამოცანა პატარა და აქტიური ხალხისგან შემდგარი პარტიის შექმნაა, რომელსაც პარტნიორული ურთიერთობები ექნება თანამოაზრე დემოკრატიულ ინსტიტუტებთან. ჩვენ არ გვინდა იმ გზით სიარული, რომლითაც ხელისუფლებაში მოსულმა ყველა პარტიამ იარა.

**- ხელისუფლებისკენ სავალი გზები, ალბათ, ერთმანეთს ჰგავს. თქვენი ბრძოლის მეთოდები?**

- "ნაცმოძრაობა" წარმატებით მიჰყვება "მოქკავშირის" გზას, "მოქკავშირი" წარმატებით მიჰყვებოდა "მრგვალი მაგიდის გზას", ეს უკანასკნელი კი წარმატებით მიჰყვებოდა "კომპარტიის" გზას. ჩვენი მეთოდი ყოველ წუთს შეიცვლება და ეს იქნება იმის დემონსტრირება, რომ სულ სხვა ტიპის პარტიაა. არ იქნება ერთ ლიდერზე ორიენტირებული პარტია. ჩვენ გვეყოლება 10-12 თანაწონადი ლიდერი. ყურებს გვიჭედავდნენ გუნდებზე საუბრით, მაგრამ ეს ვერ ვნახეთ. სამაგიეროდ, ვნახეთ ადამიანების ჯგუფი, რომელიც ვიღაცის დიქტატით იმართებოდა.

**- შიდა პარტიული კონფერენციები და არჩევნებიც გექნებათ?**

- აუცილებლად გვექნება მუდმივი საარჩევნო სია და ყოველწლიური იქნება შიდა პარტიული ღონისძიებების სისტემა. მიზანი პარტიის ლიდერთა სწორი აზრითა და არგუმენტებით შეიარაღება, მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებაზე ზრუნვა და პარტიაში პოლიტიკოსთა გამოვლენა იქნება.

**- ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთის დემოკრატიული ინსტიტუტები საქართველოში სწორედ ამ პარტიას მოიაზრებენ ოპოზიციად?**

- დღეისთვის, თუ ვინმეს აქვს საქმიანი და ინტენსიური კონტაქტები დასავლეთთან, ეს სწორედ "რესპუბლიკური პარტიის" წევრები არიან. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა ისიც არის, დასავლეთს დავანახოთ, რომ ხალხი, რომელთაც თქვენ იცნობდით, "რესპუბლიკური პარტიაა".

თუმცა, დასავლეთის მხარდაჭერის არც შეუფასებლობა ვარგა და არც გადაფასება. ჩვენ გვაქვს უზარმაზარი პოტენციალი და ცვლილებები პარტიაში იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური კლუბიდან რეალურ პოლიტიკურ პარტიად გადავიქცევით. დღემდე არც შინაურს და არც გარეულს "რესპუბლიკური პარტია" ფრთებგაშლილი არ უნახავს და ბევრი სიურპრიზი ელის იმას, ვინც ქვეყანაში პოლიტიკით არის დაინტრესებული. ჩვენი ამოცანაა, საქართველოში პარტიებს შორის პოლიტიკური ჩემპიონატი შედგეს.

**- რომელ პარტიას გულისხმობთ?**

- ამაშია საქმე. უნდა გავიაზროთ, რომ თუ სხვა პარტიებიც არ განვითარდებიან, ქვეყნის სამსახურს ვერ შევძლებთ. ერთი კარგი პოლიტპარტიის შექმნა საქართველოში ერთი კარგი საფეხბურთო გუნდის შექმნას ნიშნავს. ჩვენთვის დღეს, პირველ რიგში, ძალზე მნიშვნელოვანია "ნაციონალური მოძრაობის" მომავალი. მგონი, მათ ლიდერებზე მეტად ვართ დაინტერესებული, რომ ეს წარმონაქმნი ოდესმე პარტიად ჩამოყალიბდეს და საქმე გვქონდეს მმართველ პარტიასთან და არა სახელმწიფოსთან შეზრდილ გაუგებარ კონგლომერატთან. სახელმწიფოსთან შეზრდილი პარტია არის უდიდესი საფრთხის შემცველი არა მხოლოდ დღეს, არამედ ხვალაც, რადგან ოპოზიციას ერთდროულად უხდება დაპირისპირება მმართველ პარტიასთან და სახელმწიფო ინსტიტუტებთან. რადგან სახელმწიფო ინსტიტუტები თავს მოვალედ თვლიდნენ, მხარი დაეჭირათ მმართველი პარტიისთვის, ამან კი ერთხელ უკვე მიგვიყვანა რევოლუციამდე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ 21-ე საუკუნეში რევოლუციებით სიარული სირცხვილია. მეტი ამბიცია უნდა გვქონდეს.

**- პრეზიდენტის პარტიის განვითარებას რა გზით დაუჭერთ მხარს?**

- ეს არ არის მხარდაჭერა, ეს სპარინგია. "არსენალისა" და "ჩელსის" მინდორზე ბრძოლა მხარდაჭერაა? "არსენალი" რომ ძლიერი გუნდია, ეს "ჩელსის" აიძულებს, იყოს ძლიერი. ეს არის კონკურენცია. ჩვენ გვჭირდება კონკურენტები და მათაც უნდა სჭირდებოდეთ კონკურენტები.

**- როგორი უნდა იყოს დღეს ამ ხელისუფლების ოპოზიცია?**

- დღეს ოპოზიციონერობა რთულია, რადგანაც მეორე მხარეს ვერ ვხედავთ მმართველ პარტიას, რომელიც ახერხებს თვითდისტანცირებას სახელმწიფო ინსტიტუტებიდან და რომელმაც იცის, რას ნიშნავს, იყო მმართველი. როდესაც პრეზიდენტი პარლამენტში მიბრძანდება და ქვეყნის მდგომარეობის შესახებ აკეთებს მოხსენებას, რომელიც პოლიტიკური პარტიის ლიდერის მოხსენებას ჰგავს, ეს არღვევს ოპონირების რეჟიმს. როდესაც პრეზიდენტისგან ასეთი რიტორიკაა, ოპონირება რთულია.

ჩვენში პოლიტიკური ოპონირების ცნება სრულიად არასწორად განვითარდა. დემოკრატია ნიშნავს იმას, როცა ოპონირების რეჟიმში ხელისუფლება უკეთეს და უკეთეს გადაწყვეტილებებს იღებს. შარშანწინდელი ნოემბრის შემდეგ აღარ მეგონა, რომ ისევ ამ ელემენტარულ საგნებზე მომიხდებოდა საუბარი...

**- ასეთი ოპოზიციური გამოცდილებით რატომ აღარ გეგონათ?**

- შეიძლება, მეტი მონდოდა და იმიტომ. მეგონა, რომ ხალხმა რაღაც გამოცდილება შეიძინა და განვლილ შეცდომებს აღარ გაიმეორებდა.

**- "რესპუბლიკელებს" აქვთ საპარლამენტო ტრიბუნა. აქტიურად მონაწილეობთ კანონშემოქმედებით საქმიანობაში, მაგრამ, სოციალური და ყოფითი პრობლემების ნიშა თქვენგან გამოთავისუფლებულია. ადამიანებს კი შედეგები ახლა და აქ სჭირდებათ...**

- აბსოლუტურად გეთანხმებით და სწორედ ამიტომ ვიქცევით პოლიტიკური კლუბიდან პარტიად. არ გვინდა მოგვივიდეს იგივე შეცდომა, რაც ხშირად მოსვლიათ პატრიოტ და გულანთებულ მამულიშვილებს (ჩვენ ასეთებად მიგვაჩნია თავი). მუდმივად არის განცდა, რომ "ქუდზე კაცია" საჭირო და არიქა, ვიღაც გადასარჩენი ან ჩამოსაგდებია. ამ სტილის პოლიტიკოსობა გუშინწინდელი დღეა. დღეს ჩვენ თანაბარი წარმატებით მუშაობა ბევრ სხვადასხვა სიბრტყესა და ასპარეზზე უნდა მოვახერხოთ. უნდა გვქონდეს გრძელვადიანი გეგმებიც და რეაგირებასაც უნდა ვახდენდეთ კონკრეტულ საკითხებზე.

**- არასდროს იყავით მდიდარი პარტია. თქვენს გეგმებს კი ფული სჭირდება, იშოვეთ?**

- უნდა ვიშოვოთ. ამისთვის სერიოზული მექანიზმები არსებობს და ჩვენც უნდა გადავდგათ ნაბიჯები. ჩვენ 100 ლარით 10 000 ლარის საქმეს გავაკეთებთ, ხოლო "ნაციონალური მოძრაობა" 1 ლარის საქმეს, ეს ასეა.

**- ასე არ იყო რევოლუციამდეც, როდესაც "რესპუბლიკელები" მათ რიგებში მივიდნენ?**

- "რესპუბლიკური პარტია" იყო პირელი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ოპოზიციის ლიდერ მიხეილ სააკაშვილს დაუდგა გვერდით, როგორც კი "მოქკავშირიდან" დისტანცირება სცადა. ჩვენი მხრიდან ეს სწორი პოლიტიკური ნაბიჯი იყო. საქართველოს დიდი პრობლემა ჰქონდა შევარდნაძისა და აბაშიძის სახით. მათი მემკვიდრეობის გამგრძელებელი "მოქკავშირშივე" აუცილებლად მოიძებნებოდა და ეს გახდებოდა ქვეყანა პერსპექტივის გარეშე. "რესპუბლიკური პარტიის" მისვლით სააკაშვილი და მისი გუნდი გაძლიერდა და ეს იყო სწორი ნაბიჯი.

**- ეს გუნდი თქვენზე პირიქით ამბობს - ჩვენ შევიფარეთო...**

- თავს შევიკავებ შეფასებების კომენტირებისგან, ამას მომავალი გვიჩვენებს. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ არც ერთი "რესპუბლიკელი" ინდივიდუალურად და არც პარტია არანაირ ვალში არ არის არავისთან და არც კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილთან. პირიქით საუბარი კი შეიძლება და თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, ღია დისკუსიისთვის მზად ვართ.

**- სამოქალაქო საზოგადოებას ნოემბერში რაღაც, ერთჯერადი გმირობა გამოუვიდა, რადგან მას შემდეგ აღარ განვითარდა. თქვენმა პარტიამ ძალები არასამთავრობო სექტორში დააბანდა. არც ამ სექტორის "ვალი" გაქვთ?**

- ჩვენთან სამოქალაქო საზოგადოება და მედია, როგორც ამ საზოგადოების ნაწილი, ისეთივე ბუტაფორიული წარმოშობისა იყო, როგორც სახელმწიფო. ის, რომ სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებას სჯობდა, არ ნიშნავდა, რომ ეს სექტორი სერიოზულად იყო განვითარებული. ჩვენ გვადარებდნენ არა ბელგიას, ან ნორვეგიას, არამედ - აზერბაიჯანს, ყირგიზეთს, მოლდოვას და სხვა. ამ ფონზე მართლაც უკეთესები ვჩანდით. მაგრამ სტანდარტი, რომელსაც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებრიობა გვაძლევს, მხოლოდ ოცნება იყო.

ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ამ საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა უნდა ყოფილიყო - დამოუკიდებელი მედია, სამოქალაქო საზოგადოება, მართლმსაჯულება, ბიზნესი და სხვა. ძალიან მალე გამოჩნდა, რომ ასე არ იყო და სხვა კურსს ვადექით, ამიტომ ვერ შევძელით ხელისუფლებასთან ერთად ქვეყნის მართვა. რა თქმა უნდა, პასუხისმგებელნი ვართ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე და "რესპუბლიკური პარტია", პირველ რიგში. იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი მსოფლმხედველობრივი საყრდენი. დემოკრატიულ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მეშვეობით გვინდა მივიდეთ და არა ავტორიტარიზმით და კორუმპირებული სისტემებით. ამიტომ, გვექნება სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიისთვის მნიშვნელოვანი როლის შესრულების ამბიცია.

თავის დროზე სააკაშვილისა და სამოქალაქო საზოგადოების ალიანსი იმიტომ შედგა, რომ მათ ერთმანეთი სჭირდებოდათ. დღეს სამოქალაქო საზოგადოება და მედია იმიტომაც ჩანს სუსტად, რომ პოლიტიკურ სპექტრში დასაყრდენ პარტნიორს ვერ ხედავს. როდესაც არსებობს სამკუთხედი - ხელისუფლება, სამოქალაქო ღირებულებებზე ორიენტირებული ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება - ხელისუფლება ორმხრივი წნეხის ქვეშ არის და ეს მას მეტი და მეტი დემოკრატიისკენ უბიძგებს. დღეს დინამიკაში ამიტომ არის საქმე ცუდად, რომ ხელისუფლებაზე უარესი ოპოზიციაა, დემოკრატიული ღირებულებები დღეს ოპოზიციას კიდევ უფრო ნაკლები აქვს. "რესპუბლიკელების" გამოკლებით, პარლამენტსა და მის გარეთ არსებული ოპოზიციური ჯგუფები კი უკიჟინებენ ხელისუფლებას, რატომ არღვევ ადამიანის უფლებებსო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, თავად მეტად დაარღვევდნენ - ზოგი ეროვნული ნიშნით გაყოფდა ქვეყანას, ზოგი რელიგიური ნიშნით, ზოგი მოკლე კაბას აკრძალავდა, ზოგიც სხვა რამეს მოიფიქრებდა.

**- რა არის დღეს ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი - კარგი, კომპეტენტური და წესიერი ელიტის დაბადება თუ მთელი ინტერესების მასებისკენ გადატყორცნა?**

- ქვეყანა იმ შემთხვევაში გადარჩება, თუ მეტი თავისუფალი ადამიანი გაჩნდება. პრაგმატიზმი, მატერიალური თუ მერკანტილური ინტერესები თავისუფლების ისეთივე შემადგენლი ნაწილია, როგორც თავისუფალი აზროვნების ღირებულებათა სისტემა. აუცილებელია შეიქმნას განცდა, რომ შრომა და ნიჭი ყველა სფეროში წარმატების საწინდარია. ჩვენ არ ვართ ის პარტია, რომელიც თვლის, რომ ნებისმიერი მზარეული უკეთ მართავს ქვეყანას, ვიდრე პოლიტიკოსი. გვინდა, გაჩნდეს ახალი ელიტა, რადგან ის უდიდეს როლს თამაშობს ყველა საზოგადოებაში. მაგრამ, ელიტა არ უნდა იყოს ჩაკეტილი და იქ შესვლა-გამოსვლა მარტივი უნდა იყოს. ელიტაში ადამიანი უნდა შედიოდეს პატიოსნების, შრომისმოყვარეობის გამო და არა იმის გამო, რომ მეტი ფული მოიპარა. ჩვეთან ქორწილში საპატიო ადგილზე დასვამენ ადამიანს, რომელსაც აქვს თანამდებობა, ან ფული და არ აქვს მნიშვნელობა, რას წარმოადგენს თავად და რა გზით აქვს ნაშოვნი ეს ფული. ჩვენ გვინდა, შევცვალოთ ელიტის კრიტერიუმები და მთლიანად ელიტა.

არის საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი ხალხის კატეგორია, რომელთაც 70-80-იან წლებში საინგილოში ქართული ლიტერატურა შეჰქონდათ, დადიოდნენ კარდაკარ და თავისუფლების იდეებს ქადაგებდნენ. მხოლოდ გამსახურდია და კოსტავა არ ფიქრობდნენ ამ თემაზე. დღეს მათგან ზოგი ფიზიკურად განადგურდა, ზოგი ქვეყნიდან გაირიყა და ზოგიც სამზარეულოში ზის. ამ ადამიანებს უნდა გაუჩნდეთ იმედი, რომ ამ ქვეყანაში მათი როლი არ დასრულებულა.

**- რევოლუციის შედეგები მტკივნეული მხოლოდ ხალხისთვის აღმოჩნდა - ჩინოვნიკები ხელფასებს იზრდიან, წესრიგის დამყარების სახელით ადამიანებს ბოლო კაპიკებს ართმევენ და სრულიად დაუცველად ტოვებენ. ხალხი ამას ხედავს, თორემ ეს ჭკვიანური საუბრები დიდად არც აინტერესებთ... რას ფიქრობთ?**

- ქვეყანაში რევოლუცია და რევოლუციური გადაწყვეტილებები უნდა დასრულდეს. დემოკრატია ასე არ შენდება.

მაგალითისთვის სიგარეტის საქმე ავიღოთ - ლოგიკა, რომლითაც დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები სიგარეტით ვაჭრობაში წესრიგის დამყარებას ფიქრობენ, ხელისუფლების დაუძინებელი მტრის მიერ მოფიქრებულია. ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება საჯარო პოლიტიკის ნაწილია. ამას თან უამრავი კომპონენტი ახლავს - ფისკალური ეფექტი, სოციალური, დემოგრაფიული ეფექტები და სხვა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მინისტრები და სხვა გავლენიანი პირები ზურგზე მათრახს გრძნობენ და თუ საწრაფოდ საპრესკონფერენციო თემა არ გააჩინეს, ეს მათრახი მოხვდებათ. ამიტომ ზოგი რკინიგზის მიწის ქვეშ ჩატანას ლამობს, რომელიც შეიძლება კარგი იდეაა, და მინახავს უცხოეთში, რომ ეს კარგია. იქ სიგარეტიც სპეციალურ მაღაზიებში იყიდება, მაგრამ ხომ უნდა შევხედოთ რეალობას?! თბილისში ბაზრობების მოსპობა კარგია, მაგრამ იმ ბაზრობაზე მოვაჭრე ადამიანი, გარდა იმისა, რომ პურის ფულს შოულობს, ღირსებას და ფუნქციას ინარჩუნებს. როდესაც ადამიანს ამას ვართმევთ, სანაცვლოდ სამიდან ორს მაინც უნდა შევთავაზოთ სამუშაო ადგილი.

**- როგორ დამთავრდება იმედგაცრუების ეს ტალღა?**

- ცუდად. ადამიანები იმედს დაკარგავენ. ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იმით იმშვიდებენ, რომ არაპოპულარულ, მაგრამ საჭირო ნაბიჯებს დგამენ - ეს ტყუილია! განათლების სფეროში ზოგიერთი გადაწყვეტილება იყო არაპოპულარული, მაგრამ მართლაც აუცილებელი. ვაჭრობის, თბილისის დაგეგმარების, ან სამხედრო სფეროში ვერ ვხედავ არაპოპულარული ნაბიჯების აუცილებლობას. სწორედ ამიტომ არის საჭირო კომპეტენტური და სწრაფად მორეაგირე ოპოზიცია, რომ ბევრი რამის წინმსწრებად პრევენცია შეძლოს.

**- ვიცი, რომ "რესპუბლიკელები" "ედპ"-ზე არასდროს ყოფილხართ მაღალი წარმოდგენის, მაგრამ სარიშვილმა სახალხოდ გამოაცხადა, ისეთი ძლიერი პარტია ვხდებით, როგორც გია ჭანტურიას დროსო და მესამე დღეს გაერთიანდა შევარდნაძის სახელისუფლებო ბლოკში. ვიმედოვნებ...**

- 2000 წლის იანვარში, როდესაც პრეზიდენტ შევარდნაძესთან ანტიკორუფციული პროგრამის შექმნაზე ვმუშაობდი, ვუთხარი, თუ რაიმეს გამო ამის გაკეთებას არ აპირებთ, ნურც დავიწყებთ, ქვეყნისთვის ეს დიდი იმედგაცრუება იქნება-მეთქი. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხალხს იმედი კიდევ ერთხელ არ ექცეს სასოწარკვეთად. ამიტომ, არასდროს არ გვექნება არარეალისტური და ფუჭი დაპირებები. გვჯერა, რომ საზოგადოებასთან პატიოსნად საუბარი შესაძლებელია და თუ დავმარცხდებით, მოსახლეობას ექნება განცდა, რომ მათთან ერთად დავმარცხდით და რაღაც ყველას ერთად შეგვეშალა.



"ნაცმოძრაობა" წარმატებით მიჰყვება "მოქკავშირის" გზას, "მოქკავშირი" წარმატებით მიჰყვებოდა "მრგვალი მაგიდის გზას", ეს უკანასკნელი კი წარმატებით მიჰყვებოდა "კომპარტიის" გზას.

დღემდე არც შინაურს და არც გარეულს "რესპუბლიკური პარტია" ფრთებგაშლილი არ უნახავს და ბევრი სიურპრიზი ელის იმას, ვინც ქვეყანაში პოლიტიკით არის დაინტერესებული.

არც ერთი "რესპუბლიკელი" ინდივიდუალურად და არც პარტია არანაირ ვალში არ არის არავისთან და არც კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილთან.

ლოგიკა, რომლითაც დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები სიგარეტით ვაჭრობაში წესრიგის დამყარებას ფიქრობენ, ხელისუფლების დაუძინებელი მტრის მიერ მოფიქრებულია.



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლაშა ნოზაძე
"არ გადამრიო"
რეჟისორი: ლაშა ნოზაძე
დას: 20:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ეჟენი იონესკო
"გაკვეთილი"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
მარიო სანტანელი
"დედა-დედოფალი"
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"წყევლა"
დას: 17:30; 19:30; 21:30 სთ.

**ამირანი**
"33 უიღბლობა"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

## გამოფენები

**ძველი გალერეა**
ლადო თევდორაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**ჰობი**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

## პრეზენტაციები

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე
(სარკეებიანი დარბაზი)
გამომცემლობა "დიოგენე" აწყობს საქართველოს ატლასის პრეზენტაციას
დას: 18:00 სთ.

## დისკუსია

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ოფისი**
(რადიანის ქ. 5) გაიმართება საჯარო დისკუსია თემაზე:
"პოლიტიკა და პოლიტკორექტულობა"
მომხსენებლები: ზურაბ ქარუმიძე, ლელა გაფრინდაშვილი, შალვა რამიშვილი
მოდერაცია: დავით პაიჭაძე
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge




# ქორეოგრაფიული პალიტრა თბილისში

## ოთხი ევროპული ბალეტი

სოფო კილასონია

*სანამ ჩვენი საბალეტო დასი განახლებულ "გედების ტბას" წარმოგვიდგენს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენას ჟენევის დიდი თეატრის ბალეტი დაიკავებს. მათი გასტროლი 5 და 6 მარტს იგეგმება, წარმოდგენილი იქნება გამოჩენილი თანამედროვე ქორეოგრაფების საბალეტო დადგმები, რომელსაც ჟენევის თეატრის მსახიობები შეასრულებენ.*



ჟენევის ბალეტი თბილისელ მაყურებელს ოთხ ერთმოქმედებიან დადგმას, ქორეოგრაფიულ ჩანახატს წარმოუდგენს. ოთხივე სპექტაკლი კარგადაა ცნობილი ევროპელი მაყურებლისთვის, ისინი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საბალეტო კოლექტივმა შეასრულა. თითოეული მათგანი რალაცით გამორჩეულია მათი დამდგმელი ქორეოგრაფების შემოქმედებაში. სპექტაკლი კაროლინ კარლსონის დადგმით დაიწყება. "ნელი, მძიმე და ლურჯი" ასე ჰქვია დადგმას, რომლის პრემიერაც 1980 წელს პარიზის ოპერაში შედგა. ცხრა მოცეკვავისთვის დადგმული პიესა რენე ობრის მუსიკის ფონზე მიმდინარეობს. დადგმის მიზანი მხოლოდ მოძრაობათა ცვალებადობაა და სხვა არაფერი. მოცეკვავეები დროს ეთამაშებიან, რასაც შენელებული ტემპი, გამეორებები და გიტარის არპეჯიოების უწყვეტი ბგერის ხმოვანება გვაგრძნობინებს.

კაროლინ კარლსონი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქორეოგრაფი ქალბატონი ბრძანდება. წარმოშობით ამერიკელი ევროპის წამყვან დასებთან მუშაობს და მრავალი საინტერესო და აღიარებული საბალეტო დადგმის ავტორია. მას ყველაზე გამოჩენილი ბალეტმაისტერები იწვევენ თანამშრომლობისთვის. ქორეოგრაფს განსაკუთრებით იზიდავს "იმპროვიზირებულ სპექტაკლებზე" მუშაობა. იგი 1999-2002 წლებში პარიზის ბიენალეზე ცეკვის სექტორს ხელმძღვანელობდა, გახსნა თანამედროვე ცეკვის აკადემია და გამართა ფესტივალი. მისი ძალისხმევით დაარსდა სახელოსნო "პარი - კაროლინ კარლსონი". კარლსონი მრავალი პრიზის მფლობელი და სამოცდაათზე მეტი ქორეოგრაფიული ქმნილების ავტორია, რომლებიც მთელ მსოფლიოში იდგმება.

მეორე სპექტაკლი იოჰან სებასტიან ბახის მუსიკაზე დადგმული ქორეოგრაფიული კომპოზიციაა. "სურვილის მიხედვით" - ქორეოგრაფმა ანდონის ფონიდიაკისმა 2004 წელს ჟენევის დიდი თეატრისთვის შექმნა. ავტორი ბახის პასიონების მუსიკაზე, მოცეკვავეთა სხეულით რწმენისა და ტანჯვის, ზეციური სიმსუბუქისა და მიწიერი ენერგიის დაპირისპირებას ახდენს. "აღორძინების უამრავ ნამუშევარში ტანჯვა მრავალნაირი ფორმითაა გამოხატული. ტკივილი ხშირად სიამოვნებამდეა აყვანილი. ჩემი ბალეტი ერთმანეთს უპირისპირებს ორ ცნებას: ერთი მხრივ - ზეციური ამაღლება, სიმსუბუქე, მეორე მხრივ კი მიწიერი დაცემა, ჩახლართული სხეულები და ალბათ ჯოჯოხეთიც", - წერს ანდონის ფონიადაკისი, ქორეოგრაფი, რომელიც ერთ დროს ბეჟარის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი და არაერთი ევროპული საბალეტო დასის სოლისტი იყო. მისი პირველი ქორეოგრაფიული ნამუშევარი "ბეთვენში" 1994 წლით თარიღდება. 1996 წელს ლოზანოს ბეჟარის ბალეტში ფონიადაკისმა დადგა საკუთარი ბალეტი "მოკლე მეტრაჟი". ეს ქორეოგრაფი მრავალი ევროპული ფესტივალის ქორეოგრაფიულ სახეს ქმნის. 1997 წელს მან კანის ფესტივალისთვის დადგა - "ფილა ფილონი", კოპენჰაგენის ფესტივალისთვის - "ჩრდილების განთიადი" და 1999 წელს "ლავა ლამა" - ლიონის საბალეტო დასისთვის. ფონიდიაკს ეკუთვნის სხვა მრავალი ცნობილი ბალეტი, რომლებიც საბერძნეთისა და საფრანგეთის წამყვანი თეატრების რეპერტუარებს ამშვენებს.

ბახის პასიონებს ჰექტორ ბერლიოზის "ზაფხულის ღამეები", "ვილანები" და "ვარდის ზმანება" გააგრძელებს. სწორედ ამ ნაწარმოებებზე დადგმული მიშელ კემენელისის ბალეტი "კიკი ვარდი", ბერლიოზის მუსიკაზე შექმნილი რომანტიკული და მელანქოლიური სოლო კონცერტია, რომლის შესრულებაც შეუძლია როგორც ქალს, ისე მამაკაცს. იგი პირველად ჟენევის თეატრში 1996 წელს შესრულდა. "კიკი ვარდი" გვთავაზობს ვარიაციას, რომელიც სხეულის ინერტულობასა და მხოლოდ მკლავებისა და ხელების მოძრაობას ეყრდნობა. ბნელ სცენაზე ოდნავ განათებული მოცეკვავე ხელების ოსტატური პლასტიკითა და სხეულის მშვიდი მოძრაობით ქმნის მონახაზებსა და საერთოდ, ამ დადგმის უცნაურ შარმსა და მიმზიდველობას.

ფრანგი ქორეოგრაფი მიშელ კელემენისი 1987 წლიდან დგამს ბალეტებს საფრანგეთში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, აშშ-ში, ახლო აღმოსავლეთში, იაპონიაში და თავადაც მონაწილეობს საკუთარ ქორეოგრაფიაში. იგი ჟენევაში 1997 წლიდან მოღვაწეობს. "კიკი ვარდი" აქ დადგმული მისი მეორე ბალეტია, მას წინ უძღვოდა არანაკლებ უცნაური დადგმა, "შორეული სამყარო".

"კურთხევა" - ბოლო ბალეტი, იმ სპექტაკლისა, რომელსაც რამდენიმე დღეში იხილავს მაყურებელი, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დადგმაა, მათ შორის, რაც იგორ სტრავინსკის მუსიკაზე საერთოდ განუხორციელებიათ. მისი ავტორი-ქორეოგრაფი, ჯონ ნემეიერი, იმ ხელოვან ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, ვინც ერთ სფეროში მოღვაწეობით არ შემოიფარგლება. იგი 1973 წლიდან ჰამბურგის ბალეტის ხელმძღვანელი და ქორეოგრაფია, თუმცა მანამდე სრულყოფილად დაეუფლა დრამის რეჟისურას და მალევე ლიტერატურისა და თეატრის დარგში სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. ბალეტი მის მთავარ გატაცებად დარჩა. მას შემდეგ, რაც საკუთარი საშემსრულებლო დონე დახვეწა და რამდენიმე წამყვან დასში იმუშავა, საკუთარი ქორეოგრაფიული ჩანაფიქრების ხორცშესხმა დაიწყო. ჰამბურგის დასმა სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. ნემეიერის ყველაზე მნიშვნელოვან ქორეოგრაფიულ დადგმებს შორის აღსანიშნავია: "ზაფხულის ღამის სიზმარი", მალერის სიმფონიაზე შექმნილი ქორეოგრაფიული დადგმები - "ტრამვაი, სახელად სურვილი", "ქალი კამელიებით", "პერ გიუნტი" და სხვა. როგორც ქორეოგრაფს, მას იწვევენ დანიის სამეფო ბალეტის, "XX საუკუნის" ბალეტის, შვედეთის სამეფო ბალეტის, კანადის ეროვნული ბალეტის, ამერიკის საბალეტო თეატრის, პარიზის ოპერისა და შტუდგარდტის ბალეტის დასებში. აქტიური ქორეოგრაფიული მოღვაწეობის მიუხედავად, ჯონ ნემეიროვი არ წყვეტს მუშაობას, როგორც დრამისა და ოპერის რეჟისორი. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა მისი დადგმები: ვერდის "ოტელო", რომელიც მიუნჰენის ოპერის თეატრში განახორციელა, გლუკის "ორფეოსი და ევრიდიკე" ჰამბურგში და ლეონარდ ბერნსტაინის "ვესტსაიდის ისტორია". "კურთხევა", რომელსაც თბილისელი ბალეტის მოყვარული საზოგადოება იხილავს, 2002 წელს განაახლა ჟენევის საბალეტო დასმა და საკუთარ რეპერტუარში შეიტანა.

თუ არ ჩავთვლით ლიონური საბალეტო აკადემიის ერთ-ერთი ჯგუფის ორ სპექტაკლს, რომელიც ორი წლის წინ საფრანგეთის საელჩოსა და კულტურის ცენტრის ძალისხმევით შედგა და ცალკეული ქორეოგრაფების საკმაოდ იშვიათ გამოჩენას თბილისის ქორეოგრაფიულ არეალზე, ევროპული საბალეტო დასების გასტროლებს ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრი შეჩვეული ნამდვილად არ არის. ჟენევის დიდი თეატრის სტუმრობა ნამდვილი საჩუქარი იქნება, როგორც ბალეტისა და ქორეოგრაფიის მოყვარულთათვის, ისე თავად ჩვენი მოცეკვავეებისთვის. აღსანიშნავია, რომ საგასტროლო დასის დირექტორი ფილიპ კოენია, სწორედ ის ქორეოგრაფი, რომელსაც აგერ უკვე სამი წელია, რაც მჭიდრო კავშირები აქვს ქართველ მოცეკვავეებთან. ფილიპ კოენს რამდენიმე თვის განმავლობაში უმუშავია დასთან და არაერთი დადგმა განუხორციელებია თბილისის თეატრის სცენაზე.

5 და 6 მარტს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში თანამედროვე ევროპული ბალეტის ნამდვილი პრეზენტაცია გაიმართება. ოთხი სხვადასხვა სტილის, სხვადასხვა ხედვის ქორეოგრაფიული ნაწარმოები ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის, თუ როგორი მრავალფეროვანი პროცესები მიმდინარეობს თანამედროვე ევროპულ ბალეტში, იმ სფეროში, რომელსაც დიდი ხანია, მოვწყდით და მასზე მხოლოდ სტერეოტიპებითა და ზედაპირული ცოდნით ვმსჯელობთ.

# პოეტის ანდერძი შეასრულეს



თბილისის პირველ საშუალო სკოლასთან აღმართულ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლს ამიერიდან ლადო ასათიანის ფრაზა დაამშვენებს. ლადო ასათიანის უბის ჩანაწერის მიხედვით, ფრაზა - "სულმნათო, მადლო თქვენს გამჩენს, დიდება ერსა, თქვენს მშობელს" - ილიას და აკაკის ერთობლივ ძეგლზე უნდა დაეწერათ, თუ ასეთი ძეგლი დაიდგმებოდა. ცნობილი ქართველი პოეტის გარდაცვალებიდან 13 წლის შემდეგ, 1956 წელს, ძეგლი დაიდგა, თუმცა მისი სურვილი დღემდე აუსრულებელი იყო.

როგორც თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის თბილისის კორპუსის ხელმძღვანელმა შალვა ცხაკაიამ განაცხადა, ლადო ასათიანის ანდერძის შესრულების ინიციატივა ერთი თვის წინათ, საქალაქო სამსახურის მოხალისეთა ჯგუფში გაჩნდა. თბილისის კორპუსის ინიციატივითა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის დახმარებით, ძეგლზე წარწერა თბილისის კორპუსის მოხალისეებმა შეასრულეს.

პრეზენტაციას გუშინ ლადო ასათიანის ოჯახის წევრები, ძეგლის ავტორის შვილიშვილი ჯუნა მიქატაძე, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები და პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები დაესწრნენ. ***ინტერ-პრესი***

# საგანძურს უცხოეთში არ გაიტანენ

ეროვნული მუზეუმების გაერთიანების გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე კატეგორიულად უარყოფს გურამ შარაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს საქართველოდან უახლოეს პერიოდში, შესაძლოა, ქართული საგანძური საგამოფენოდ უცხოეთში, კერძოდ აშშ-ში გაიტანონ. დავით ლორთქიფანიძის განცხადებით, ამჟამად ეროვნულ მუზეუმში მიმდინარეობს დაცული კოლექციის აღწერა-შესწავლა და ვიდრე არ შეიქმნება ერთიანი სისტემა, რომელიც საქართველოს მუზეუმთა შორის კოორდინაციას უზრუნველყოფს, საზღვარგარეთ რაიმე გამოფენის გამართვა არ იგეგმება. ***მედიანიუსი***

# პრემიერა "ამირანში"

თბილისის კინოთეატრ "ამირანში" დღეს ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის "მოგზაურობა ყარაბაღში" პრემიერა გაიმართება.

ფილმი რეჟისორმა ლევან თუთბერიძემ ცნობილი მწერლის აკა მორჩილაძის რომანის "მოგზაურობა ყარაბაღში" მიხედვით გადაიღო. ფილმის მთავარი თემა კავკასიაში და პოსტსაბჭოთა საქართველოში 90-იან წლებში მიმდინარე მოვლენებია. ფილმში ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი მსახიობები (ლევან დობორჯგინიძე, მიშა მესხი, ნუცა კუხიანიძე, დათო იაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, სანდრო კაკულია, გოგი ხარაბაძე, ნინო კასრაძე, რობერტ სტურუა, დარია დროზდოვსკაია, გიორგი გურგულია, ავეტიკ სანოსიანი, გაგიკ მელქუმოვი, არტავაზად პალოიანი, ლევონ ჩიდილიანი და ფიზული მამედოვი) თამაშობენ.

ფილმში მოქმედება 90-იანი წლების დასაწყისის თბილისში ვითარდება - სამოქალაქო ომი, პიკეტები ქალაქის ქუჩებსა და გარეუბნებში. ფილმის გმირები გარემოს შესაბამისად ქაოტურები, დროსა და სივრცეში დაკარგულები არიან.

აკა მორჩილაძის რომანი "მოგზაურობა ყარაბაღში" 12 წლის წინ მასში აღწერილი მოვლენების თითქმის პარალელურად გამოიცა და გამოქვეყნებისთანავე პოპულარობა მოიპოვა. ფილმი უზრუნველყოფილია გამოსახულების მაღალი ხარისხითა და ხმის დოლბი-დიჯითალ სისტემით. ფილმი ჰოლივუდელი ოპერატორის გორან პავიჩევის მიერ არის გადაღებული.

ლევან თუთბერიძის "მოგზაურობა ყარაბაღში" ევროპის წამყვან კინოფესტივალებზეა წარდგენილი. ***ინტერ-პრესი***

# კინოფესტივალი ეთერში

ტელეკომპანია "მზემ" და კინემატოგრაფისტთა კავშირმა ეთერში ერთობლივი პროექტი - "სახალხო კინოფესტივალი "მზე" - დაიწყეს.

როგორც პროექტის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ფესტივალის ფარგლებში, სამი თვის განმავლოაბში, ტელეკომპანიის ეთერით ნაჩვენები იქნება 2000-2005 წლებში შექმნილი 130 ქართული სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები. ფესტივალში მონაწილეობენ როგორც ცნობილი კინემატოგრაფისტები, ასევე ქართული კინოს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები. გამარჯვებულებს კინემატოგრაფისტთა კავშირის მიერ შერჩეული ჟიური და ტელეკომპანია "მზის" მაყურებელი გამოავლენენ. მაყურებელს თითოეული სეანსის შემდეგ, ორი საათის განმავლობაში, ინტერაქტივის მეშვეობით, (ყოველ ფილმს ექნება თავისი კონკრეტული ნომერი) შეეძლება დარეკოს და ხმა მისცეს მისთვის სასურველ კინოსურათს; ამ ყველაფერს დაემატება რეიტინგული მაჩვენებლებიც. საბოლოოდ, გამარჯვებულები გამოვლინდებიან შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, საუკეთესო დოკუმენტური ფილმი, საუკეთესო ანიმაციური ფილმი, პრიზი ახალგაზრდული კინოს წარმომადგენელს შემოქმედებითი ძიებისათვის. პროექტის დირექტორია ელდარ მდინარაძე, ჟიურის თავმჯდომარე - არჩილ შუბაშვილი. ***ინტერ-პრესი***

# ატლასი მოზარდთათვის

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში დღეს ახალი წიგნის "საქართველოს ატლასი მოზარდთათვის. ბუნება და კულტურა" პრეზენტაცია გაიმართება. ილუსტრირებულ ალბომში მრავალი ფერადი ფოტო, ნახატი და რუკაა წარმოდგენილი. ატლასი 10-15 წლამდე მოზარდებისთვის არის განკუთვნილი. ალბომი კომპანია BP-ს ფინანსური მხარდაჭერით, "დიოგენემ" გამოსცა. ***ინტერ-პრესი***

# ჩვენ ხომ ოდესღაც კინოს ქვეყანა ვიყავით

## წერილი მეორე

დათო აბიაშვილი

ჩვენ ხშირად მოვიხსენიებთ საქართველოს ოქროს საწმისის ქვეყნად, ღვინის სამშობლოდ, და ა.შ ეს ასეც არის, მაგრამ ეს ძველი, მრავალათასწლიანი ამბებია. XX საუკუნეში კი, თუ რამემ გაუთქვა სახელი ჩვენს ქვეყანას, ეს ქართული კინოფილმი იყო. აღმოცენებული მრავალსაუკუნოვან, ქართულ პოეზიასა და პროზაზე, მხატვრობასა და მუსიკაზე, თეატრალურ ტრადიციებზე და უნიკალურ ფოლკლორზე, და რაც მთავარია, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანების ღამენათენები ნაწარმოებები, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მაყურებელს აცნობებდნენ, რომ არსებობს ქვეყანა, დასახლებული თავისუფლებისმოყვარე, ლაღი ხალხით, რომელიც ქმნის მაღალმხატვრულ ფილმებს და ტოლს არ უდებს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების აღიარებულ შემოქმედებს.

ის 7 ერთეული, 7 სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელსაც ყოველწლიურად იღებდა კინოსტუდია "ქართული ფილმი", დროთა ვითარებაში, საკავშირო ტელევიზიის შეკვეთების ხარჯზე 20-25 საათამდე იზრდება, ამას ემატება მულტიპლიკაციური ფილმები, ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმები, ტელეფილმები და საბოლოოდ წელიწადში ქართული კინოპროდუქცია (იგულისხმება 35 მილიმეტრიან ფირზე გადაღებული) 50-60 საათის მოცულობას აღწევს, რაც 5-მილიონიანი ქვეყნისათვის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი გაქირავება-ჩვენება დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე ხდებოდა, ქვეყნის ბიუჯეტისთვისაც მეტად მომგებიანი იყო.

თუ კი შევთანხმდებით, რომ საქართველო კინოს ქვეყანა იყო, მისი გადარჩენისთვის ბრძოლა, მასშტაბურად და მრავალ ფრონტზე უნდა ვაწარმოოთ.

სამი წლის წინ, როდესაც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ინიციატივით, შეიქმნა "ათასწლეულის გამოწვევის ანგარიში" და ამავე სახელწოდების კორპორაცია, გამოქვეყნდა იმ ქვეყნების სია, რომლებსაც უნდა ესარგებლათ ამ დახმარებით. ჩვენთვის, აუხდენელ ოცნებად მოჩანდა საქართველოს ამ სიაში მოხვედრა. ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა ბოლო ერთი წლის ცვლილებებმა, ეს ოცნებაც აგვისრულა. თავს არ შეგაწყენთ ამ კორპორაციის საქმიანობის ჩამოთვლით, რომელიც საზოგადოებისთვის ისედაც ცნობილია, მხოლოდ დავძენ, რომ 2004 წელს მის ანგარიშზე, "ათასწლეულის" წევრ ქვეყნებზე გასანაწილებელი 2,5 მილიარდი დოლარი იყო, რომელიც 2005 წელს 3 მილიარდამდე გაიზარდა, ეს თანხა ყოველ წელს გამოიყოფა. 2007 წლიდან კი 5 მილიარდი გახდება და გარდა იმისა, რომ ქვეყნების სხვადასხვა სახის რეფორმების ჩატარებას უნდა მოემსახუროს, ამავდროულად უნდა დაეხმაროს ინფრასტრუქტურის და მცირე ბიზნესის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას და სხვა მრავალ საშურ საქმეს. თან ეს დახმარება, სხვა მრავლისგან განსხვავებით, რომელიც საქართველოს წიაღში უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მკაცრად იქნება აღრიცხული. ბუნებრივია, რომ ხელისუფლება ეცდება ფინანსირების ეს წყარო მიმართოს დიდი პროექტების განსახორციელებლად, გზატკეცილების მშენებლობა, ენერგეტიკის განვითარება და ა.შ. მაგრამ თუ ქართული კინოს მესვეურები საფუძვლიანად აუხსნიან მთავრობას, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია ქართული კინოსაქმიანობის რეაბილიტაციას, თუ ეს პოზიცია გამყარებული იქნება ფაქტებით, სწორი ბიზნესგეგმით და ამ პროექტს ზურგს ის ადამიანები გაუმაგრებენ, ვინც მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე არ ფიქრობს, შესაძლებელია ამ დახმარების გარკვეული ნაწილი ქართული კინოინდუსტრიის აღდგენისთვისაც გამოიყოს.

ეს თანხები, პირველ რიგში, უნდა მოხმარდეს კინომწარმოებელი ორგანიზაციის ნივთიერი ბაზის შექმნას, მით უმეტეს, რომ ეს პროექტი პირდაპირ პასუხობს "ათასწლეულის" მოთხოვნებს, თუ ხელისუფლება ამ საქმეში დაგვეხმარება, ეს იქნება მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი, წინ გადადგმული ნაბიჯი იმ გზაზე, რომელსაც ქართული კინოხელოვნების აღორძინება ჰქვია. პარალელურად უნდა გაგრძელდეს სხვა, ეფექტური გზების ძიება სხვადასხვა ფონდებთან და სააგენტოებთან, რომლებიც მრავლად არის დასავლეთში და მოწოდებულნი არიან დახმარების ხელი გაუწოდონ განვითარების გზაზე დამდგარ ქვეყნებს.

ჰოლივუდი ყოველწლიურად 13 მილიარდ დოლარს ხარჯავს შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთ გადაღებულ კინოფილმებში. დიდი ნაწილი ამერიკული ფილმებისა კანადაშია გადაღებული, ხშირად იღებენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, "მატრიცას" გადაღება ავსტრალიაში მიმდინარეობდა, ხოლო ტრილოგია "ბეჭდის მეუფე" ახალ ზელანდიაში. თუ თვალს მივადევნებთ რა ნიშნით ირჩევენ ამერიკული სტუდიები უცხო ქვეყანას, ვნახავთ, რომ გარდა ფილმის შინაარსიდან გამომდინარე არჩევანისა, მთავარი ყურადღება ექცევათ იმ ქვეყნებს, რომლებიც მათ ნაკლებად წამგებიან დაბეგვრის პირობებს სთავაზობენ. გამოთქმა - "ტაქს ინსენტივი" რომელიც დაახლოებით, საგადასახადო შეღავათს, წახალისებას ნიშნავს, საერთაშორისო კინომრეწველობაში უფრო და უფრო მოდური ხდება, ამ შეღავათის სხვადასხვა ფორმები არსებობს: ახალი ზელანდია ამერიკულ სტუდიებს, დასაბეგრავი თანხის 12 პროცენტს უკან უბრუნებს, თუკი ისინი 35 მილიონ ამერიკულ დოლარს დახარჯავენ მათ ქვეყანაში. ეს უკან დაბრუნებული თანხა ბევრად ნაკლებია, იმ მოგებასთან შედარებით, რომელსაც ქვეყანა იღებს ასეთი თანამშრომლობის საფუძველზე; "ბეჭდების მბრძანებელმა" ახალ ზელანდიას უდიდესი მოგება მოუტანა. 3-4 წლის განმავლობაში, ქვეყანაში 300 მილიონზე მეტი ამერიკული დოლარი დაიხარჯა, შეიქმნა მრავალი სამუშაო ადგილი, გამოცოცხლდა ქვეყნის ეკონომიკა, აღიზარდა მრავალი ახალი, კინოსაქმის პროფესიონალი და რაც მთავარია, მოწინავე კინომწარმოებელ ქვეყნებს გვერდში ამოუდგა. ისე რომ, ტომ კრუზმა, როგორც პროდიუსერმა და მთავარი როლის შემსრულებელმა, "უკანასკნელი სამურაი" ახალ ზელანდიაში გადაიღო და ეკონომიკურად მზარდ ქვეყანას, კიდევ ახალი დივიდენდები მოუტანა.

კანადა წლების მანძილზე, დასაბეგრავი თანხის 11 პროცენტს აბრუნებდა, 2004 წლიდან კი 16 პროცენტამდე გაზარდა ეს თანხა, რათა ევროპის, ავსტრალიის და ოკეანიის ქვეყნებთან მიმართებაში კონკურენტუნარიანი გამხდარიყო. უნგრეთი პირველი ქვეყანა იყო აღმოსავლეთ ევროპიდან, რომელიც 1999 წელს ჩაება ამ საქმიანობაში. პარლამენტის მიერ მიღებული საჭირო და სწორი კანონების საფუძველზე შემუშავებულმა გადასახადების დაბრუნების მოდელმა, უცხოელ პროდიუსერებს, ფილმების ხარჯთაღრიცხვა საშუალოდ 20 პროცენტით შეუმცირა. ყოველივე ამან ის შედეგი გამოიღო, რომ წელს ბუდაპეშტის მახლობლად უახლესი ტექნიკით აღჭურვილ კინოფილმების გადასაღები პავილიონის აგებას ამთავრებენ, რაც სამამულო კინოს განვითარებას ხელს შეუწყობს და ამავდროულად კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება ჰოლივუდისთვის.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი, ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად არის წარმოდგენილი, თორემ ეკონომიკური მოდელების ზუსტი აღწერა და მიღებული კანონების ასლები შეგვიძლია, დაინტერესებულ მხარეს მივაწოდოთ.

ცოტა ხნის წინათ ვნახე ინგლისელი კინემატოგრაფისტების მიერ გადაღებული სარეკლამო რგოლი, რომლითაც ამერიკელ პროდიუსერებს ინგლისში ეპატიჟებიან ფილმების გადასაღებად.

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველზე უფრო განვითარებული ქვეყანა, ამერიკულ კინოს მომსახურებას სთავაზობს. ეს მოპატიჟება, პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის მიმართვით იწყება, რომელიც მომავალ პარტნიორებს ხელსაყრელ სამუშაო პირობებს აღუთქვამს. ამით ხაზს ვუსვამ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნის განვითარებისთვის ასეთ ერთობლივ პროექტებზე თანამშრომლობა. და სიმართლე რომ გითხრათ, წინასწარ თავსაც ვიზღვევ მოსალოდნელი "რა გვეკინოებას" გაგონებისაგან.

თუ კი ჩვენი საზოგადოებისთვის თეორიულად მისაღები იქნება, დასავლელ პარტნიორებთან ასეთი სახის ერთობლივი საქმიანობა, საჭირო იქნება სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით წინასწარ განვიხილოთ ის სავალდებულო ეტაპები, რომელთა გავლის გარეშე დასახული შედეგის მიღწევა არარეალურია. თან არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ერთადერთი პირობა მათ დასაინტერესებლად ჩვენი თანხმობა იქნება. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, ჯერჯერობით უშედეგოდ ცდილობს ამერიკული კინოს რუსეთში შეტყუებას. თუმცა, "ვერაიტიში", ჰოლივუდის ყველაზე პრესტიჟულ ყოველდღიურ გაზეთში, უკვე გამოჩნდა მთლიან გვერდზე განთავსებული "მოსფილმის" რეკლამა კინომომსახურების შეთავაზებით.

ამ სამომავლო პროექტის მთავარი მონაწილე, საქართველოს მხრიდან შეიძლება იყოს ნებისმიერი კერძო კომპანია, რომელსაც შესწევს უნარი, რომ მრავალი წლების მანძილზე უზრუნველყოს ასეთი დიდმასშტაბიანი ღონისძიება. სავალდებულოა, რომ მას ზურგს უმაგრებდეს რომელიმე სახელმწიფო ინსტიტუტი; კულტურის ან რომელიმე სხვა სამინისტრო; მინისტრთა საბჭოსთან არსებული რომელიმე სააგენტო ან კომიტეტი, რადგან ასეთი რანგის პროექტები, მთავრობის ხელდასმის გარეშე დამარცხებისთვის არიან განწირულნი, თანაც საჭიროა საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რაც აგრეთვე მთავრობისა და პარლამენტის ნების გარეშე წარმოუდგენელია. პარალელურად უნდა მომზადდეს თვალსაჩინო მასალა საქართველოზე, ბროშურები, სარეკლამო ვიდეორგოლები, მოკლედ ამომწურავი მასალა ჩვენს ქვეყანაზე. როდესაც მთელი ეს საინფორმაციო პაკეტი მზად იქნება, შემდეგი ეტაპია საერთაშორისო ორგანიზაცია AFCI-ში (საერთაშორისო ფილმ-კომისიების ასოციაცია) გაწევრიანება. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ინფორმაციას თავის წევრ ქვეყნებზე მთელ მსოფლიოში ავრცელებს საკუთარი მრავალტირაჟიანი გამოცემებით და ეხმარება მათ მრავალ საორგანიზაციო საქმეში; ყოველწლიურად აწყობს გადასაღები ადგილების (ლოკაციების) სავაჭრო შოუს, სადაც ყოველ წევრ ქვეყანას თავისი ადგილი აქვს გამოყოფილი და საუკეთესო საშუალება არის შენი ქვეყნის წარმოჩინებისთვის. უახლოესი შოუ 15-17 აპრილს ჩატარდება კალიფორნიის ოკეანისპირა ქალაქ სანტა მონიკაში.

საბოლოო ეტაპი არის შეხვედრა მხატვრული ფილმების ასოციაციაში (ამერიკის ყველაზე გავლენიანი კინოორგანიზაცია, რომლის დირექტორატი შედგება შეერთებული შტატების 7 წამყვანი სტუდიის - "დისნეის", "პარამაუნტის", "XX საუკუნე ფოქსის" და ა.შ. პირველი პირებისგან.). ამ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, თუ რატომ უნდა ამჯობინოს ამერიკულმა კინობიზნესმა იგივე უნგრეთს, ან რომელიმე სხვა ქვეყანას საქართველო, როგორც მასპინძელი სახელმწიფო. საბედნიეროდ, ჩვენთვის სასარგებლო არგუმენტი ბევრი მოგვეპოვება.

აი, ეს არის ის სავალდებულო პროცესი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილმა ქვეყნებმა გაიარეს. ეს გზა ჩვენი გასავლელია. გასავლელია იმიტომ, რომ ქართული კინო კვლავ აღორძინდეს, კინოთეატრები აშენდეს და მას მაყურებელი დაუბრუნდეს. კინოს მხოლოდ გადაღება კი არა, მისგან მოგების მიღებაც ვისწავლოთ.

და ეგებ, კვლავ... ჩვენ ხომ ოდესღაც კინოს ქვეყანა ვიყავით.


ისარგებლეთ ლაი·ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი“-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სალონურ ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

24 საათი 1 ლაი·ლაი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

ამოჭერით

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელინიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |


სამსონ ლექავას სვეტი

# ტრადიციული ქართული საბრძოლო ხელოვნება, როგორც სულიერი აღზრდის სკოლა



მრავალი საუკუნის მანძილზე საქართველოს უწევდა უთანასწორო შერკინება ეფექტური საბრძოლო სისტემებით აღჭურვილ, აურაცხელ მომხდურთან. ეჭვი არაა, რომ მძაფრმა შეტაკებებმა, მრავალ ჭირ-ვარამთან ერთად, გამოაწრთო კიდეც ქართველობა, და დიდი ინფორმაციაც შესძინა მას საკუთარი საბრძოლო ხელოვნების გაღრმავების თვალსაზრისით. ომები მთელი ერის ზნეობრივ გამოცდას წარმოადგენდა - ეს იყო იმის გამჟღავნება, თუ რამდენად შეძლებდა ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანი გადაელახა ვიწრო ეგოცენტრულობის სფერო, გაემჟღავნებინა თავდადება, თვით გმირობა, ქცეულიყო ფასეულობათა ნამდვილ მფარველად, რაც სათქმელად ადვილია, ხოლო განსახორციელებლად კი - ძნელი.

ხშირად სტიქიურ უბედურებათა მსგავსი, გაუთავებელი შემოსევებისადმი ეფექტური დაპირისპირება ცხადყოფს, რომ მაღალორგანიზებულობით, ეს პატარა ქვეყანა დიდ შესაძლებლობებს ავლენდა. ქრისტიანობის სიმაღლე იყო ის გადამწყვეტი ძალა, რომელიც მებრძოლს, დაწყებული მეფით, და დასრულებული მიწის მუშაკით, სძენდა შემართებასაც და ერთობის განცდასაც, ზოგჯერ კი - შეუძლებელს შეაძლებინებდა. ისიც საგულისხმოა, რომ ჩვენი ხელმწიფეებიც, და უბრალო ხევსური მოლაშქრეებიც, ითავსებდნენ საკუთარ თავში პოეტსა და მებრძოლს.

სადღეისოდ, ჩვენი ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების გამოცდილება ფრაგმენტული, მკრთალი ანარეკლის სახით შემორჩა, მაგრამ ქრობის ზღვარზე მყოფი ნაშთების თავმოყრაც კი, შედეგად, ისეთ შთამბეჭდავ და უნივერსალურ სისტემად იქცევა, რომელიც ტოლს სულაც არ უდებს სახელმოხვეჭილ აღმოსავლურ სისტემებს. ცნობილია მაგალითად, რომ სსრკ-ში "სამბოს" ეფექტური სკოლა, უპირატესად ქართული ჭიდაობის უმდიდრეს არსენალს დაეფუძნა. ამას გარდა, ჩვენში არსებობდა მაჯურა და ცალხელა ჭიდაობა, რომელნიც რიგი ნიშნებით, იაპონურ აიკიდოს უახლოვდება. საგულისხმოა, რომ მაჯურა ჭიდაობის უძველეს წარმომავლობას ადასტურებს ჩვ.წ.-მდე II საუკუნის მცირე ქანდაკების ნიმუში.

გარდა ხევსურული ფარიკაობის ჩამოყალიბებული სისტემისა, საქართველოს მთიანეთში ორი ხმლით მოუგერიებელი შეტევის ოსტატები იყვნენ თუშები - პირველყოვლისა, შეთე გულუხაიძე (კობა ჭუმბურიძე). შთამბეჭდავია მეგრული მორქიაც - ქარბორბალასებრ მძაფრი და უსხარტესი.

ახლო ბრძოლაში მრისხანე იარაღს ხევსურული სათითეები წარმოადგენდა. სვანეთში დღემდის არის შემორჩენილი წმინდა პრაქტიკული ილეთები, მაგ. დაკეცილი ქუდით ხანჯლის წართმევისა. რაც შეეხება იარაღის არიდებას - ამის შესახებ ხატოვან სურათს გვაწვდის ილია ჭავჭავაძის "ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი". თვითფლობის მაგალითია ხევსურთა მიერ ჭრილობის ოდნავი, მსუბუქი ნაკაწრით მონიშვნაც მოწინააღმდეგისათვის. ეს მეტყველებს შეტაკებისას მრისხანების თავდაოკებაზე, თვითკონტროლზე, ნებელობის სიმტკიცეზე, რაც სულიერი ძალის გამოხატულებაა.

მაღალ დონეზე იდგა ჩვენში კრივი, თანაც არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ ჯგუფურიც, რასაც გვამცნობს აკად. ავთანდილ ციბაძე. ეს იყო ერთგვარი "რეპეტიციები" ომების წინ, რაც XIX ს. ქალაქურ ყოფაშიც შემორჩა ერთხანს. მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი კანდელაკი გვაუწყებს, რომ კრივობის ტრადიცია სოფლადაც საკმაოდ გავრცობილი ყოფილა. ჩვენებური კრივის დახვეწილობაზე მეტყველებს არა მხოლოდ იოსებ გრიშაშვილის ცნობები, არამედ მიხეილ ჯავახიშვილის "ლამბალო და ყაშა", რომლის გაცნობის შემდგომ, ცხადი ხდება ევროპის ჩემპიონის, დავით კვაჭაძის ფილიგრანული ტექნიკის სათავეები.

რაც შეეხება თავურ დარტყმათა ნაირგვარ ხერხებს: აქ საკმარისია გიორგი (ჟორკა) მელიას გახსენება (იგი თავზეხელაღებული, აზარტული პიროვნება ყოფილა). ერთხელ, კრივში ევროპის ჩემპიონის, ბრაუნის სასტიკ დარტყმას გაუძლო და მაგიდას ჩამოეყრდნო. შემდგომ, მთელი სხეულის ზამბარისებური ასხლეტის მომენტში, მან უძლიერესი საპასუხო თავური დარტყმით, ძირს დასცა მოწინააღმდეგე.

უშუალო შერკინების გარდა, საბრძოლო ვითარებასთან მაქსიმალურად მიახლოებული იყო "ლელო". ცნობილი მეცნიერისა და სპორტსმენის, ანზორ მინდაძის მონათხრობით, გურიაში ეს იყო არა თამაში, არამედ თითქმის "მტვრევა".

შებრძოლებათა მთელი სიმძაფრისას რაინდულობა, მოწინააღმდეგის ღირსების დაფასება, ყოველთვის გამოარჩევდა ჩვენს დიდ ოსტატებსაც და რიგით მებრძოლებსაც. გულში შურისძიების ჩახვევა გამორიცხული უნდა ყოფილიყო - მით უფრო, დღევანდელობისაგან განსხვავებით, მიუღებელ ქმედებად ითვლებოდა დამარცხებული მოწინააღმდეგის დათრგუნვა, დანისა და ცეცხლსასროლი იარაღის ლაჩრულად გამოყენება. ყოველივე ეს შეურაცხყოფდა მეომრის სახელს, მის ვაჟკაცობას. მეომარს გამოარჩევდა ზეპირი ზნეობრივი კოდექსი, სადაც უშიშრობა და კეთილშობილება ავსებდა ურთიერთს.

ის, რომ მეომარი ჰარმონიის გამტარი გახლდათ, კარგად ჩანს კოსტა მაისურაძის მაგალითზე, რომელიც უზადო მოცეკვავეც იყო. ჩვენი ჭიდაობა თავისი პლასტიკურობითა და სასხარტე-ხერხიანობით, ენათესავება ჩვენივე ცეკვის რიტმს, ცეცხლოვანებას, რისი საუკეთესო მაგალითია თუნდაც ოლიმპიური ჩემპიონის, შოთა ჩოჩიშვილის ჭიდაობის სანახაობრივი სილამაზე.

ქართული საბრძოლო ხელოვნების აღორძინება არ ნიშნავს მხოლოდ კულტურულ მემკვიდრეობაზე პასიურ ზრუნვას. ეს არის სულიერი აღზრდის სკოლა, რომელიც როდი ამოიწურება მხოლოდ ფიზიკური გაკაჟებით, არამედ გულისხმობს შინაგანი წონასწორობის, იდეალთა და ფასეულობათა დაცვის უნარის გამომუშავება-გაღრმავებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენს ქაოსურ, უკრიტერიუმო გარემოში.

**P.S.** ეს წერილი შთაგონებულია კახაბერ ზარნაძესთან, გურამ ქაჯაიასთან, გიორგი წიწრიაშვილთან, ლაშა კობახიძესთან, დავით გულბანთან, მოცეკვავე ბოჟენა ტოტოვასთან საუბრებით, და მთლიანობაში, ქართული საბრძოლო ხელოვნების ენთუზიასტებთან მრავალწლიანი კონტაქტით.

ფეხბურთი

# დინამო „გაფუჭდა", ტორპედო ფოთში „ჩაიძირა"



გია გეგუჩაძის "დინამომ" ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია.

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში სრული ქაოსია. 21-ე ტურის ხუთი მატჩიდან ოთხი მოულოდნელი შედეგით დასრულდა. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო თბილისის "დინამოსა" და ქუთაისის "ტორპედოს" სინქრონული მარცხი. საინტერესოა, რომ ორივე გუნდმა წინა, მე-20 ტურშიც უნისონში წააგო.

**"დინამო" (თბ) - "თბილისი" 0:1 (0:1)**

**დინამო:** მამალაძე, ოდიკაძე, სალუქვაძე, რომერო (კანდელაკი, 78`), ნემსაძე (მახარაძე, 69`), გ. ჭელიძე, ბაბუნაშვილი (დვალი, 69`), ჯამარაული, მელქაძე, კაკალაძე.

**მთავარი მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე.

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, აფციაური, ლოლაძე, ქემოკლიძე, ფიფია, ჩოი, ჯიქია (ბოჭოიძე, 90`), მესხი, მიქიაშვილი, ფოფხაძე, ბარაბაძე (ვ. კვარაცხელია, 88`).

**მთავარი მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი.

**გოლი:** ფიფია 10`

**გაფრთხილებები:** სილაგაძე, რომერო, ქემოკლიძე.

ეროვნულ ჩემპიონატში ამ გუნდების დაპირისპირება ცალკე თემაა. პირველ წრეში "დინამომ" დამაჯერებლად, 4:1 მოიგო. მეორე წრეში "თბილისმა" სრულფასოვანი რევანში აიღო და უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრილი "დინამო" სამარცხვინო ანგარიშით - 5:0 დაამარცხა. ამასთან, მატჩის ბოლო წუთზე "თბილისმა" თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა. და აი, გუშინ, სეზონში ამ გუნდების მესამე დაპირისპირებაში, "დინამოს" 0:5-ისთვის რეაბილიტირების ბრწყინვალე შანსი მიეცა. თუმცა, შანსი შანსად დარჩა. სწორედ "თბილისის" წამყვანი ფეხბურთელებით ამ ცოტა ხნის წინ გაძლიერებული "დინამო" დასუსტებული და, პრაქტიკულად, ექსპერიმენტული, სრულიად ახალგაზრდული და ახალი შემადგენლობით მოასპარეზე "თბილისთან" დამარცხდა.

მატჩის ბედის გადამწყვეტი ერთადერთი გოლი მე-10 წუთზე გავიდა. სტუმრებმა კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვეს და ბრწყინვალედაც გაითამაშეს: მაღალი ჩაწოდების შემდეგ ბურთს მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელი, "თბილისის" თავდამსხმელი ფიფია თავით შესწვდა და "დინამოს" კარში გაიტანა. ამ წარმატების შემდეგ "თბილისი" სრული შემადგენლობით დაცვაში ჩადგა და მთელი დარჩენილი დროის განმავლობაში მშვიდად იგერიებდა მასპინძლების გამუდმებულ იერიშებს. დაცვის ხაზი გუნდის კაპიტნის, ქემოკლიძის მეთაურობით, კარგად იყო ორგანიზებული. ამის გამო "დინამომ" იმდენად ცოტა სახიფათო მომენტი შექმნა, რომ დასათვლელად ერთი ხელის თითებიც კმარა. იმ ძალიან იშვიათ ეპიზოდებში კი, როდესაც სტუმართა კარის მიმართულებით დარტყმამდე მიდიოდა საქმე, საიმედოდ და დამაჯერებლად თამაშობდა "თბილისის" მეკარე სოსო გრიშიკაშვილი. რამდენად მოულოდნელიც არ უნდა იყოს, მიზანთან უფრო ახლოს ისევ სტუმრები იყვნენ: მეორე ტაიმში მათ კიდევ ერთი გოლი გაიტანეს წესების სრული დაცვით, მაგრამ თანამსაჯს მოეჩვენა, რომ თამაშგარე იყო და ალამი ასწია. თუმცა, ჩაუთვლელ გოლს მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია: "თბილისმა" შეინარჩუნა ერთბურთიანი უპირატესობა და მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში, რისი წყალობითაც სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე აინაცვლა. არ შეიძლება არ აღინიშნოს "თბილისის" ახალწვეულის, სამხრეთ კორეის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელის მინ ჩოის ბრწყინვალე თამაში. კორეელმა ამ მატჩში "თბილისის" ხერხემლის ფუნქცია იტვირთა და ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი. ბურთს კარგად იჭერდა, გონივრულად ანაწილებდა გადაცემებს, მეტოქის იერიშების ჩაშლაშიც მონაწილეობდა და თავისი გუნდის ყველა შეტევასაც იწყებდა. ჩოის სახით საქართველოს ჩემპიონატს უდავოდ საინტერესო ფეხბურთელი შეემატა.

დინამოელთაგან ალბათ მხოლოდ ჯამარაულის გამორჩევა შეიძლება, რომელიც თავის ფუნქციებს მაღალ დონეზე ასრულებდა. თუმცა, თანაგუნდელებმა აშკარად ვერ აუბეს მხარი.

"დინამოს" ხელმძღვანელობას კი დაფიქრება და განსჯა მართებს: მას შემდეგ, რაც სეზონი განახლდა, გუნდმა ოთხი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. აქედან სამი წააგო და ერთი მოიგო. ოთხ თამაშში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. რაც ყველაზე სამწუხაროა, წაგებულია ისეთი მატჩები, რომლებსაც საფეხბურთო ენაზე "ექვსქულიანებს" უწოდებენ - თამაშები ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტებთან, "თბილისთან" და "ვიტ ჯორჯიასთან". "ზესტაფონთან" მარცხმა კი გუნდი თასის გათამაშებას გამოთიშა.

ერთადერთი დადებითი, რაც გუშინ "დინამოსთვის" მოხდა, ის იყო, რომ იმ გუნდმაც, წააგო, რომელსაც სატურნირო ცხრილში გასწრება შეეძლო. "ტორპედო" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებოდა ლიდერს და გამარჯვების შემთხვევაში პირველ პოზიციაზე გადაინაცვლებდა, მაგრამ სტუმრად აუტსაიდერ "კოლხეთის" დამარცხება კი არა, ფოთიდან ქულის წამოღებაც ვერ შეძლო. ფოთელები პირველივე ტაიმში 2:0 დაწინაურდნენ. გოლები თოდუამ (4`) და მელიქიამ (37`) გაიტანეს. ერთადერთი, რაც ქუთაისელებმა მოახერხეს მეგრელაძის მიერ 79-ე წუთზე გატანილი პრესტიჟის გოლია.

ასევე მოულოდნელი შედეგი აღინიშნა ზესტაფონში, სადაც ადგილობრივმა "ზესტაფონმა" "ლოკომოტივის" დამარცხება ვერ მოახერხა. ზირაქიშვილმა მე-7 წუთზე დააწინაურა მასპინძლები. თითქოს ეს მატჩის ერთადერთი გოლი უნდა ყოფილიყო, რაც თემურ მახარაძის გუნდს მორიგ სამ ქულას მოუტანდა, მაგრამ რკინიგზელებმა თამაშის მიწურულს, 89-ე წუთზე საპასუხო გოლი (ალავერდაშვილი) გაიტანეს და ქულა გადაარჩინეს.

**21-ე ტური**

| | |
|---|---|
| **დინამო - თბილისი** | **0:1** |
| **კოლხეთი - ტორპედო** | **2:1** |
| **ბათუმი - სიონი** | **1:2** |
| **ზესტაფონი - ლოკომოტივი** | **1:1** |
| **დილა - ვიტ ჯორჯია** | **0:4** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 13 | 3 | 5 | 41-21 | 42 |
| თბილისი | 21 | 12 | 4 | 5 | 42-25 | 40 |
| ტორპედო | 21 | 11 | 7 | 3 | 33-14 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 10 | 5 | 6 | 35-25 | 35 |
| ლოკომოტივი | 21 | 7 | 10 | 4 | 28-19 | 31 |
| ზესტაფონი | 21 | 8 | 2 | 11 | 19-37 | 26 |
| ბათუმი | 21 | 6 | 7 | 8 | 24-19 | 25 |
| კოლხეთი | 21 | 6 | 5 | 10 | 21-28 | 23 |
| სიონი | 21 | 6 | 2 | 13 | 20-43 | 20 |
| დილა | 21 | 2 | 3 | 16 | 13-45 | 9 |

ლეგიონერი

# ლევან კობიაშვილი: „ოცნებას ავისრულებთ!"

*ლევან კობიაშვილი*
***დაიბადა** 1977 წლის 10 ივლისს*
***სიმაღლე:** 183სმ*
***წონა:** 78კგ*
***კლუბები:** "მეტალურგი" (რუსთავი, საქართველო, 1993-94), "დინამო" (თბილისი, საქართველო, 1994-97), "ალანია" (ვლადიკავკაზი, რუსეთი, 1997), "ფრაიბურგი" (ფრაიბურგი, გერმანია, 1998-2003), "შალკე-04" (გელზენკირხენი, გერმანია, 2003-)*
***ტიტულები:** საქართველოს ჩემპიონი - 1995, 1996, 1997, საქართველოს თასი, 1995, 1996, 1997, საქართველოს სუპერთასი - 1996, 1997, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი - 2000 საქართველოს ნაკრებში ჩატარებულ 50 მატჩში გაიტანა 3 გოლი*

ლევან კობიაშვილი მიმდინარე სეზონში სტაბილური თამაშით უდავოდ გამოირჩევა ქართველ ლეგიონერთაგან. ახალგაზრდა ნახევარმცველი გელზენკირხენის "შალკე-04"-ის ძირითადი შემადგენლობის წევრად იქცა და, რაც ყველაზე გასახარია, საკმაოდ დიდი წვლილი შეაქვს გუნდის წარმატებებში.

მიუხედავად იმისა, რომ კობიაშვილის გუნდი უეფას თასის გათამაშებას მოულოდნელად გამოეთიშა, კვლავ აქვს იმის შანსი, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა სეზონი ტიტულით დაასრულოს - "შალკე-04", მიუნხენის "ბაიერნთან" ერთად, ბუნდესლიგის ლიდერია.

**- ლევან, თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო "შალკე-04"-მა უკრაინული ბარიერის დაძლევა?**

- ალბათ, უიღბლობის გამო. არ მინდა ზერელე საუბარი გამომივიდეს, მაგრამ ვფიქრობ, უკრაინელებმა შემთხვევითი გოლის წყალობით გვაჯობეს. ჩემი აზრით, ორივე მატჩში უკეთ გამოვიყურებოდით, მეტოქეს ტექნიკურადაც ვჯობდით და ტაქტიკური თვალსაზრისითაც, მაგრამ... ფეხბურთში ასეთები იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. კარიერის მანძილზე ჩემი გუნდები მსგავს სიტუაციაში რამდენჯერმე აღმოჩენილან...

**- არადა, "შალკე-04" უეფას თასის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა...**

- ძალიან საწყენი იყო გათამაშების დატოვება, მაგრამ სეზონი არ დამთავრებულა და ტიტულისთვის ბრძოლას მაინც ვაგრძელებთ. მთავარი სწორედ ესაა და ახლა გამოჩნდება, მართლა ძლიერია თუ არა ჩვენი გუნდი. თუ მებრძოლი სული შევინარჩუნეთ და დადებითი შედეგები მომავალშიც ვაჩვენეთ, დავამტკიცებთ, რომ "შახტარმა" შემთხვევით მოგვიგო.

**- ბუნდესლიგაში ორხელისუფლებიანობაა - მიუნხენის "ბაიერნს" მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩებით. თვლით თუ არა, რომ თქვენს კლუბს ბოლომდე ბრძოლა შეუძლია?**

- არათუ ვთვლი, დარწმუნებულიც ვარ! მიმდინარე სეზონში "შალკე-04" კარგად თამაშობს. ბევრი მიმომხილველის აზრით, ჩემპიონის ტიტულს ვიმსახურებთ. მათ მეც ვეთანხმები. ჩვენი გუნდის თითოეული ფეხბურთელი დარწმუნებულია შესაძლებლობებში და ეჭვი არავის გვეპარება, რომ "ბაიერნს" ვაჯობებთ! პირადად მე ძალიან მინდა, რომ ჩემპიონი გავხდე!

**- "ბაიერნს", გელზენკირხენელებისგან განსხვავებით, გაცილებით დიდი შესაძლებლობები აქვს...**

- ეს გასაკვირი არცაა - "ბაიერნი" გერმანული საკლუბო ფეხბურთის სახეა და არა მარტო ქვეყნის, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია. თუმცა, ის, რომ მეტოქე მდიდარია და თავის რიგებში არაერთი ვარსკვლავი ჰყავს, ნამდვილად არ მაშინებს - მთავარია, მოედანზე ვინ აჯობებს. ამ შემთხვევაში სიმდიდრეს და საბანკო ანგარიშებს მნიშვნელობა ეკარგება. ჩემი აზრით, მიმდინარე სეზონში "შალკე-04" "ბაიერნს" არაფრით ჩამოუვარდება. რაც შეეხება იმას, ვართ თუ არა უკეთესი, ეს რამდენიმე თვეში გამოჩნდება.

**- ფელიქს მაგათის გუნდი ერთი და იმავე შემადგენლობით იშვიათად თამაშობს - მწვრთნელი ხშირად ცვლის ფეხბურთელებს, მაშინ, როცა "შალკე-04"-ის ბირთვი, შვიდი-რვა მოთამაშე, თითქმის შეუცვლელია...**

- ეს საგანგაშო ნამდვილად არაა - მწვრთნელი თვლის, რომ წამყვანი მოთამაშეები მის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ და დავალებას ზედმიწევნით კარგად ასრულებენ. ასეთ შემთხვევაში ცვლილება საჭირო არაა. არის მეორე მიზეზიც - "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგაშიც თამაშობს. ეს ტურნირი ძალების მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვს და ალბათ მოთამაშეთა ხშირი ცვლილების მიზეზი ესაცაა...

**- არაა გამორიცხული, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშოთ. რას ნიშნავს თქვენთვის ამ ტურნირში მონაწილეობა?**

- არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ჩემპიონთა ლიგა საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატია - ამ ტურნირში პლანეტის უძლიერესი ფეხბურთელები იღებენ მონაწილეობას. ამიტომ მათთან ძალის მოსინჯვა ძალიან მინდა. თუ ლიგაში ვითამაშებ, ეს ძალიან კარგი იქნება.

**- თქვენ კლუბის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ხართ - რალფ რანგნიკი მუდმივად გენდობათ. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს ფაქტი?**

- არ მეგულება ფეხბურთელი, რომელსაც სათადარიგოთა შორის ყოფნა სიამოვნებდეს. სადაც მითამაშია, ყველგან ძირითადის მოთამაშე ვიყავი. გელზენკირხენშიც ასეა. მოედანზე გასვლა და იქ გატარებული 90 წუთი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია - გარდა იმისა, რომ ვალს ვიხდი საკუთარი თავისა და კლუბის წინაშე, თამაშის თითოეული წამით უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. ამაზე კი ნამდვილად ვერ ვიტყვი უარს. ერთი სიტყვით, ჩემთვის ძირითადში თამაში ჰაერივით საჭიროა!

**- როგორ ფიქრობთ, რატომ გენდობათ მწვრთნელი?**

- სჯობს, ეს მას ჰკითხოთ. საკუთარ თავზე საუბარი გამიჭირდება. თანაც, მჯერა, რალფ რანგნიკს უფრო საინტერესო პასუხი ექნება.

**- ლევან კობიაშვილი ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ფეხბურთელია. ბოლო სეზონების მიხედვით თქვენ ჩემპიონატში სამ ან ოთხ მატჩს ტოვებთ. თვლით თუ არა, რომ ამ მხრივ იღბლიანი მოთამაშე ხართ?**

- სიმართლე გითხრათ, სტატისტიკა არ მაინტერესებს, იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ სტაბილურად ვთამაშობ. თუ ორ-სამ თამაშს ვტოვებ, მხოლოდ იმის გამო, რომ მწვრთნელი დასვენების საშუალებას მაძლევს. ეს ნამდვილად საჭიროა. რაც შეეხება იმას, ვარ თუ არა იღბლიანი, ალბათ, კი - კარიერის მანძილზე სერიოზული ტრავმა არ მიმიღია. ამისთვის ღმერთს მადლობას ვწირავ.

**- ჯერ იყო "ფრაიბურგი", ახლა "შალკე-04". ბუნდესლიგის მასშტაბებით "ფრაიბურგი" სუსტი კლუბია, "შალკე-04" - საშუალო. თვლით თუ არა, რომ უკეთეს გუნდში გადასვლის შანსი გაქვთ?**

- ახლა ამაზე არ ვფიქრობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ თუ უფრო ძლიერ კლუბში გადასვლის შანსი მომეცა, თავს არ შევირცხვენ. როცა გელზენკირხენში გადმოვდიოდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორ ნაბიჯს ვდგამდი - ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, "ფრაიბურგს" სიკეთის მოტანა აღარ შეეძლო. ამიტომაც დავტოვე გუნდი. ერთი-ორი სეზონის შემდეგ, შესაძლოა, კვლავ იგივე გრძნობა გამიჩნდეს, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი არ მსურს - დღეს ამ კლუბისთვის მაქსიმალურად დიდი სარგებლობის მოტანაზე ვფიქრობ.

**- სეზონის დასაწყისს თქვენი კლუბი იუპ ჰაინკესით და სუსტი შედეგებით შეხვდა. რალფ რანგნიკის მოსვლის შემდეგ კი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა - დღეს "შალკე-04" ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერია. რა იყო ჩავარდნის მიზეზი?**

- წარუმატებლობას მხოლოდ ერთი მიზეზით ავხსნი - ჰაინკესის დროს ფეხბურთელები ერთგვარ ჩარჩოებში ვიყავით მოქცეული, რანგნიკმა კი მეტი თავისუფლება მოგვანიჭა. პირადად მე სეზონს მცველად შევხვდი - ჰაინკესი წინ წასვლას მიკრძალავდა, მხოლოდ კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა მევალებოდა, მაგრამ მოვიდა რანგნიკი და შეზღუდვები მოიხსნა. სხვათა შორის, ამ გადაწყვეტილებამ არა მხოლოდ მე, კლუბსაც არგო - სამი გოლი გავიტანე, ეს კი, დამეთანხმებით, ცოტა არაა. მსგავსი პროგრესი თანაგუნდელებმაც განიცადეს და ცხადია, გუნდის შედეგებიც გაუმჯობესდა.

**- შეტევებში ხშირად ერთვებით და გოლის გატანის შანსიც გეძლევათ. ხშირად კარში დარტყმას პასს ამჯობინებთ. რატომ?**

- როცა ვხედავ, რომ პარტნიორი უკეთეს მდგომარეობაშია, თავს მოვალედ ვთვლი, ბურთი მივაწოდო. კლუბისთვის ეს ყველაზე კარგია. ფეხბურთი გუნდური თამაშია და კარგად ვიცი, რომ პირველ ადგილზე საერთო ინტერესები დგას. თუ სამი ან ოთხი ბურთით ვიგებთ, შესაძლოა, გავრისკო კიდეც, მაგრამ ეს იშვიათად მოხდება. შეგიძლიათ მენდოთ!

**- ის რომ მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგაში კარგად თამაშობთ, ალბათ, აქამდეც უთქვამთ. თვლით თუ არა, რომ ლიგის ლეგიონერთა ნაკრებში გამოჩენა ამის დასტური იყო?**

- ალბათ კი, მაგრამ აღიარებაზე მეტად ის გამიხარდა, რომ ცუნამით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებაში ჩემი მცირე წვლილი შევიტანე!

**- ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ გერმანიაში თამაში ყველაზე ნაკლებად გინდოდათ. რატომ?**

- არ ვიცი. იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატები უფრო მიზიდავდა. ესაა და ეს.

**- ახლაც ამავე აზრის ხართ?**

- ახლა არა. ბუნდესლიგა ძალიან მომწონს. მაყურებლის თვალით ისე ჩანდა, თითქოს გერმანული კლუბები მხოლოდ ძალისმიერ თამაშზე აკეთებდნენ აქცენტს, მაგრამ როცა ჩემპიონატში უშუალოდ ჩავერთე, მივხვდი, რომ ბუნდესლიგაზე მცდარი წარმოდგენა მქონდა. გერმანული კლუბები საინტერესო ფეხბურთს თამაშობენ, აქ იდეალურადაა შერწყმული ძალისმიერი თამაში, ტექნიკა და ტაქტიკა.

**- საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ხართ, იმ გუნდისა, რომელსაც დიდ საფეხბურთო ტურნირებზე მოხვედრა უჭირს. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე თქვენს გუნდს წარმატების კარგი შანსი აქვს. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ გერმანიის საგზურის მოპოვებას?**

- საქართველოს ნაკრები პროგრესს განიცდის და ეს შედეგებითაც მტკიცდება - ჯგუფში, დაკარგული ქულების მიხედვით, მხოლოდ უკრაინას ჩამოვრჩებით. მიმაჩნია, რომ ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი ნამდვილად გვაქვს. მთავარია, იმ გზიდან არ გადავუხვიოთ, რომელსაც ვადგავართ.

**- როგორ ფიქრობთ, პროგრესი ფრანგი მწვრთნელის დამსახურებაა?**

- ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია - ჟირესმა ახალი ხედვა და, რაც მთავარია, საოცარი მუხტი მოიტანა. ამას გარდა, აღვნიშნავდი ვეტერანებისა და ახალგაზრდების საოცარ შერწყმას. ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრები მეტ-ნაკლებად ბალანსირებული გუნდია და ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლა ნამდვილად შეუძლია. ბედნიერი ვიქნები, თუ მიზანს მივაღწევთ - ამაზე ყველა ქართველი ოცნებობს!

**- უახლოეს ორ მატჩში ურთულესი გამოცდა გელით - ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს და თურქეთს მასპინძლობთ. არც ერთი არ არის სუსტი მეტოქე.**

- თუ თამაშს სერიოზულად არ მოეკიდე, ევროპის ჩემპიონს კი არა, მაჩანჩალასაც ვერ დაამარცხებ. მთავარია ნაკრების თითოეულმა წევრმა გააცნობიეროს, რომ ოცნების ასრულება შეგვიძლია და საამისოდ ყველაფერს გააკეთებს. თუ ორივე მატჩში თავს დავდებთ და გავიმარჯვებთ, მერწმუნეთ, ეს ძალიან კარგი იქნება! რაც მთავარია, ამ ორი მოგებით გერმანიას უფრო მივუახლოვდებით და იქნებ ოცნებაც ავისრულოთ!

*მოამზადა ლაშა გოდუაძემ*



ინფოთეკა

## "იუვენტუსს" ნედვედის გარეშე მოუწევს "რეალთან" ანგარიშსწორება

ძალიან მცირე შანსი არსებობს იმისა, რომ "იუვენტუსის" ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში "რეალთან" შეძლოს თამაში. მან "სანტიაგო ბერნაბეუზე" მასპინძელთა მცველ რაულ ბრავოსთან შეჯახებისას ტვინის შერყევა მიიღო. ნედვედი ორი დღის წინათ გამოწერეს საავადმყოფოდან.

"იუვენტუსის" ხელმძღვანელობის განცხადებით, 8 მარტს ("რეალთან" მატჩის წინა დღეს) ფეხბურთელს კიდევ ერთ გამოკვლევას ჩაუტარებენ, რის შემდეგაც შეიძლება მას ვარჯიშის ნება დართონ.

## "მილანს", უბრალოდ, გაუმართლა

კვირას გამართული იტალიის ჩემპიონატის მატჩი "ინტერსა" და "მილანს" შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით (1:0) დამთავრდა. ქვეყნის ჩემპიონი გუნდის ხელმძღვანელობამ და ფეხბურთელებმა კომენტარი გაუკეთეს ამ შეხვედრას.

**სილვიო ბერლუსკონი**: "არ შეიძლება ჩვენს თამაშს ბრწყინვალე ეწოდოს. მოწინააღმდეგის კარს იმდენჯერ ვერ შევუტიეთ, რამდენჯერაც საჭირო იყო. დარწმუნებული ვარ, ბედმა გაგვიღიმა. სწორედ ამის წყალობით მოვიგეთ მატჩი, რომლისთვისაც ფრე ალბათ უფრო რეალური შედეგი იქნებოდა. კაკა არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, თუმცა, მისმა გოლმა მატჩის ბედი გადაწყვიტა".

**კარლო ანჩელოტი**: "გვინდოდა სხვანაირად გვეთამაშა, მაგრამ "ინტერმა" მოქმედების საშუალება არ მოგვცა. მანჩინის გუნდმა შეხვედრა შესანიშნავად ჩაატარა. მეტოქის კარზე ალბათ უფრო ბევრჯერ უნდა მიგვეტანა იერიში. ჩემი ბიჭები მობილიზებული არ იყვნენ, უყურადღებოდ თამაშობდნენ. გაგვიმართლა, რომ ბურთის გატანა შევძელით. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ მხოლოდ ძლიერებს უმართლებთ. დანებებას არ ვაპირებთ. ჩემი აზრით, სკუდეტოსთვის ბოლო ტურამდე ვიბრძოლებთ".

**რიკი კაკა**: "ძალიან მიხარია. შევას გოლის გატანას შევპირდი და შევასრულე კიდეც. თამაში ადვილი არ იყო. "ინტერი" კარგად მოქმედებდა. ჩვენ კი, ცოტა არ იყოს, გაგვიმართლა. კარში დარტყმისას ვღელავდი, რადგან ძლიერი რომ მომსვლოდა, ბურთი ტრაექტორიას შეიცვლიდა. როცა ვხვდებით, რომ მოწოდების სიმაღლეზე არ ვართ, მწტოქის კარის ასაღებად, უბრალოდ, ხელსაყრელ მომენტს ველოდებით".

**ერნან კრესპო**: "ვერ შევძელით გულშემატკივრებისთვის კარგი ფეხბურთი გვეჩვენებინა. ამ მატჩში ფრე ალბათ სამართლიანი შედეგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ გაგვიმართლა".

## ვასეჟი "ბრიუსელის" თავკაცი გახდა

ბელგიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი რობერ ვასეჟი სათავეში ჩაუდგა "ბრიუსელს", ქვეყნის ჩემპიონატის ელიტარული დივიზიონის კლუბს, რომლის ყოფილი მწვრთნელი ემილიო ფერერა 19 თებერვალს გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

როიტერსის ცნობით, ვასეჟიმ ბელგიის ეროვნული ნაკრები 2000 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის, შემდეგ კი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოამზადა. მან ასევე იმუშავა "სტანდარტთან", "შარლერუასა" და ალჟირის ეროვნულ ნაკრებთანაც.

## ბრონკჰორსტი: "ჩელსი" შევაძრწუნეთ"

"ბარსელონას" მცველმა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში მარცხმა "ჩელსი" შეაძრწუნა. მისი აზრით, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ლონდონელთა მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს უცნაური საქციელი. იგი მატჩისშემდეგ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. გარდა ამისა, ფრანკ რაიკაარდი შესვენების დროს მსაჯთან საუბარში დაადანაშაულა.

"არ მესმის, კომენტარის გაკეთებაზე უარი რატომ განაცხადეს," - აღნიშნა ბრონკჰორსტმა.

ინფოთეკა

### პრატონს დისკვალიფიკაცია ემუქრება

ინგლისის პრემიერ-ლიგის ბოლო ტურის მატჩში "არსენალთან" არბიტრის ალან უაილისთვის ხელის კვრის გამო, შესაძლოა, "საუთჰემპტონის" ნახევარმცველმა დევიდ პრატონმა ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღოს. ფეხბურთელმა უხეში ფორმით გამოხატა პროტესტი მეორე ყვითელი ბარათის მიღების გამო.

"პრატონის დაცვას არ ვაპირებ. სულელურად მოიქცა და ამისთვის დაისაჯა კიდეც. მის გარეშე დიდხანს მოგვიწევს ყოფნა," - განაცხადა "საუთჰემპტონის" მთავარმა მწვრთნელმა.

### ჯანიკედა -"იუვენტუსის" მთავარი სატრანსფერო მიზანი

"იუვენტუსის" ხელმძღვანელობას "ლაციოს" ნახევარმცველის ჟულიანო ჯანიკედას ყიდვა აქვს გადაწყვეტილი. ამ წინადადებით მიმართა კიდეც კლუბის ხელმძღვანელობას. ფეხბურთელს კონტრაქტის ვადა სეზონის ბოლოს გაუვა.

### რიკარდო "მანჩესტერ იუნაიტედს" დატოვებს

ინგლისური კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე რიკარდო გუნდს მიმდინარე სეზონზე დატოვებს. ფეხბურთელს ამ ზაფხულს ეწურება კონტრაქტის ვადა, კლუბის ხელმძღვანელობას კი ახალ კონტრაქტზე სიტყვაც კი არ დასცდენია.

ამბობენ, რიკარდო ესპანეთში გადავაო. მისი შეძენით დაინტერესებულია "რასინგი".

### ზემანი "ლეჩესთან" მუშაობას გააგრძელებს

იტალიური კლუბის "ლეჩეს" ხელმძღვანელობა მწვრთნელის ზდენეკ ზემანისთვის ახალი ერთწლიანი კონტრაქტის შეთავაზებას აპირებს. კლუბის პრეზიდენტის რიკო სემერაროს თქმით, ეს გადაწყვეტილება მწვრთნელის კარგი მუშაობის გამო მიიღო.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 2 მარტი**

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 უკრაინის ჩემპიონატი. "ილიჩევიცი" - "შახტარი"
14:00 რუსეთის ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. "ტორპედო" - "მეტალურგი". პირველი მატჩი
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:50 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "კრივბასი"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:50 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. 1/8 ფინალი. "ბავარია" - "არსენალი"
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "ბეტისი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:20 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა დიდი პრიზი მოსკოვში
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში
14:00 ავტოსპორტი. "ყველა ვარსკვლავთა" რბოლა
16:15 "ვატერპოლე"
16:45 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2000 წელი. ფინალი. "NEW JERSEY DEVILS" - "DALLAS STARS". პირველი მატჩი
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
20:00 "სპორტისიმო"
20:45 ჩოგბურთი. "დევისის თასი ახალი სეზონის წინ". 2002 წლის ფინალი. საფრანგეთი - რუსეთი. სებასტიან გროსჟანი - მარატ საფინი. შესვენებებისას (21:30) - პრესცენტრი, (23:00) - ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში, (00:15) - ახალი ამბები

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფეხბურთი - ევროგოლები
12:00 მძლეოსნობა. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი
13:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 მძლეოსნობა. დიდი გერმანიის დიდი პრიზი
18:00 ტრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა რუსეთში
19:00 ფეხბურთი. საფრანგეთის თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 გოლფი. სპეციალური მიმოხილვა
22:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით
22:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
22:45 ფეხბურთი. საფრანგეთის თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:45 მებრძოლთა კლუბი
02:15 ახალი ამბები
02:30 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის თამაშები აშშ-ში.

რაგბი

# ვარდი ირლანდიაში დაჭკნა

### სამამლეთს კი დრაკონები შეესივნენ

პაატა თოთაძე



*ოდრისკოლიმ ერთი ლელო მიითვალა.*

ამისთანა ინგლისს არ ახსოვს - ბოლო 12 შეხვედრაში ინგლისის ნაკრები მეცხრედ დამარცხდა. ამასთან, მეოთხედ ზედიზედ, რაც ქვეყნის სარაგბო ისტორიაში პირველად მოხდა. გათამაშების საწყის მატჩში ხელმოცარული ინგლისი ირლანდიას სტუმრობდა - როგორც მწვრთნელი ენდი რობინსონი ამბობდა, ყველაფრის თავის ადგილზე დასაყენებლად, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მოსაგებად.

მოიგებდა კიდეც, მსაჯის შეცდომები რომ არა - ინგლისელებს ორი ლელო არ ჩაუთვალეს. მსაჯის აზრით, სრულიად საფუძვლიანად, ინგლისელების აზრით კი, - უსაფუძვლოდ. მთლად საფუძვლიანი ნამდვილად არ ყოფილა მსაჯის გადაწყვეტილება, რაკილა მტყუან-მართალი ჯერაც არ გაურკვევიათ. მართალია, შედეგს არავინ შეცვლის, ინგლისი დამარცხებულია, მაგრამ ისიც ხომ საქმეა, ითქვას, მსაჯი შეცდაო.

ენდი რობინსონი გაოგნებული იყო მატჩის ბოლოს, სიტყვებს ვერ პოულობდა მომხდარის ასახსნელად. "მე ვნახე ორივე შემთხვევა. ვფიქრობ, ორჯერვე წესების დაცვით გავიდა ლელოები. თუმცა, მატჩის განმსჯელი მსაჯია და უნდა მივიღოთ ის, რასაც ის ამბობს. ფაქტია, ეს წაგება უარყოფითად იმოქმედებს ჩვენზე, მაგრამ სხვა გზა არაა, უნდა შევეგუოთ", - განაცხადა ინგლისელთა თავკაცმა. პირველ, ანუ კეტოს ლელოს შემთხვევაში, მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა, მორაგბე ჰოჯსონზე წინ იდგა, როცა ამ უკანასკნელმა ფეხით დაკიდა ბურთი. მეორედ კი ლივსის გვერდით ხაზზე დაბიჯება დააბრალეს.

ისე არ გაიგოთ, თითქოს მთელი შეხვედრა ინგლისელთა უპირატესობით წარიმართა. ინგლისმა უკეთ ითამაშა, ვიდრე ორი კვირის წინ, მაგრამ არც ირლანდიელები იყვნენ მოედანზე მოწმის როლში. ინგლისის უკეთ თამაში თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ჩარლი ჰოჯსონმა, რამდენჯერაც მიეცა შესაძლებლობა, იმდენჯერ გაიტანა და თანაგუნდელებსაც გაატანინა, ანუ ათი ნომრის მოვალეობას ჩინებულად გაართვა თავი. გაიტანა ოგარამაც, ირლანდიელთა დამრტყმელმა. გაიტანა ჰოჯსონზე მეტი (შესაძლებლობა მიეცა მეტი) და 500-ქულიან ზღვარს მიუახლოვდა. მასპინძელთა მოგებაც (19:13) მეტწილად მისი დამსახურებაა. მომავალ ტურში ირლანდიელები ფრანგებს ხვდებიან და თუ ამჯერადაც იმარჯვეს, ტურნირის გამარჯვებულის ბედი ბოლო დღეს კარდიფში, უელს-ირლანდიის მატჩში გადაწყდება.

ტურნირის მოგების შანსს ფრანგებსაც აქვთ, მაგრამ მცირე. ამის მიზეზი კი მათი უელსთან მარცხი გახდა. "ლურჯებმა" თამაში ისე აქტიურად დაიწყეს, რომ ასეთ დასასრულს ვერავინ წარმოიდგენდა. ჯერ დიმიტრი იაშვილმა გაიტანა ლელო, რომელიც მანვე გარდასახა, მერე რუჟერიმაც აუბა მხარი თანაგუნდელს. ეს პირველ ტაიმში, მეორეში კი მოედნაზე უელსელები გაბატონდნენ. ფრანგებს მხოლოდ ერთი ჯარიმა გაატანინეს, თავად კი ორი ლელო გაიტანეს. ორივე ლელო მარტინ ვილიამსმა გაიტანა მატჩის განახლებიდან ექვს წუთში. ფრანგებს მხოლოდ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მიეცათ, რომელიც დიმიტრი იაშვილმა გამოიყენა. მაგრამ ეს იყო და ეს. ნაკლები დამრტყმელი არც უელსს ჰყავს. სტეფენ ჯოუნზმა ჯერ წინ გაიყვანა თანაგუნდელები (ჯარიმით), შემდეგ კი არეკნი გაიტანა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 24:18.

ტურის ბოლო მატჩში შოტლანდიამ შინ დაამარცხა გათამაშების აუტსაიდერი იტალია. მართალია, იტალია ყველაზე სუსტია მონაწილეთა შორის, მაგრამ შოტლანდიას პრინციპულ ბრძოლას უმართავს ხოლმე. თავის დროზე სქოთები იყვნენ წინააღმდეგი, იტალიელები მეექვსე გუნდად მიელოთ. იქიდან მოყოლებული, ისინი მუდამ მათ დასამარცხებლად იბრძვიან. ხანდახან გამოსდით კიდეც - შოტლანდია ერთადერთი გუნდია, ვისაც იტალიასთან აქვს წაგებული. ამჯერად ყველაფერი მასპინძელთათვის სასიკეთოდ დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ ლელოს გატანა ვერ მოახერხეს. შოტლანდიელებს უკლებლივ ყველა ქულა კრის პატერსონმა მოუტანა საჯარიმო დარტყმებით. ამ მხრივ იტალიელებმა უფრო იყოჩაღეს - ლელო გაიტანეს, მაგრამ მატჩის მოსაგებად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა - 18:10.

კრივი

# კლიჩკოებმა „გაზეთჩიკობა" დაიწყეს

ის, რომ ძმები კლიჩკოებისგან აღარაფერი ისმის, იმას არ ნიშნავს, რომ არაფერია სათქმელი. უკრაინელ ჟურნალისტები ზოგიერთ ინფორმაციას მხოლოდ იმიტომ მალავენ, ჩვენი თანამემამულეები არ გაითვალონო. არგუმენტიც ამას ჰქვია. როდესაც მეტოქეთა ბანაკები ამა თუ იმ პუნქტის შეთანხმებაზე მუშაობენ, საქვეყნოდ გამომზეურებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, საბოლოო შედეგზე გავლენა იქონიოს. ამიტომ უკრაინელებმა პირში წყლის ჩაგუბება ამჯობინეს და... გთხოვთ გაგვიგოთ. როგორც კი საშუალება გვექნება, მოლაპარაკებათა დეტალებზე ინფორმაცია გავახმაუროთ, ასეც მოვიქცევვითო. თუმცა, რაღაც მაინც შეიძლება ითქვას.

ირკვევა, რომ ძმები კლიჩკოების საპრომოუტერო კომპანია "K2 promotins" ამჟამად ერთბაშად ორ ფრონტზე მუშაობს - დონ კინგთან აწარმოებს მოლაპარაკებას ვიტალი კლიჩკოს ჰასიმ რაჰმანთან ორთაბრძოლის თაობაზე და ვლადიმირის კრის ბერდთან საჩხუბრად. რა თქმა უნდა, ორივე ორთაბრძოლა საჩემპიონოა.

მიუხედავად იმისა, რომ ბანაკებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს, ვიტალიმ და ვლადიმირმა ყველაზე პოპულარული და ტირაჟიანი გერმანული გაზეთის "BILD Zeitung" რედაქციაში სტუმრობისთვის მოიცალეს. უკრაინელი გიგანტების რედაქციაში სტუმრობა სულაც არ გახლდათ უბრალოდ სტუმრობა. მძიმეწონოსანმა მოკრივეებმა, რედაქციისვე ინიციატივით, ერთ-ერთი ნომრის შექმნაში მიიღეს მონაწილეობა. გერმანელმა ჟურნალისტებმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს და მუშაობის პროცესში რაღაცებიც დასტყუეს. მოგვიანებით თურმე გაზეთის ერთგულ მკითხველებსაც დაუსვამთ კითხვები.

ახლა არ იკითხავთ, რისი რედაქტირება მოუწიათ კლიჩკოებს? რედაქციაში ოთხსაათნახევრიანი სტუმრობისას უკრაინელ მოკრივეებს გაზეთის მთვარ გვერდზე უმუშავიათ. მოწინავე გვერდი კი თურმე პრინც ჩარლის ქორწილისადმი ყოფილა მიძღვნილი. როგორც ირკვევა, მუშაობით კმაყოფილნი დარჩენილან როგორც კლიჩკოები, ისე საგაზეთო კოლექტივი. დამშვიდობებისას გაზეთის რედაქტორს უთქვამს, როდესაც გენებოთ, მობრძანდით. ჩვენი რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის, მით უმეტეს, რომ დღეის იქით სარედაქციო კოლეგიის სრულუფლებიანი წევრები ხართო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თუ როგორი იყო გაზეთზე მუშაობის პროცესი, ამაში ფოტოებიდანაც დარწმუნდებით.

რედაქციაში სტუმრობის შემდეგ ვიტალი და ვლადიმირი სხვადასხვა მხარეს გაფრინდნენ: ვიტალი - ამერიკაში, სადაც მოახლოებულ ორთაბრძოლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების პროცესში ჩაებმება, ვლადიმირმა კი ეგზოტიკურ კუნძულზე ამოყო თავი. უმცროს ძმას იმის გაგება სურს, თუ რამდენად შესაფერისი იქნება მისთვის კუნძულზე საწვრთნელი ბანაკის გაშლა.

# ტაისონი - სან რემოს ფესტივალზე

თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, სავსებით შესაძლებელია, ოდესღაც მძიმე წონის ჩემპიონი მაიკ ტაისონი დღეს სან რემოს მუსიკალურ ფესტივალზე ვიხილოთ, ოღონდ არა მომღერლის რანგში. სან რემოს 55-ე ფესტივალზე "რკინის მაიკი" იტალიელებს საპატიო სტუმრის რანგში მიუწვევიათ. ირკვევა, რომ ფესტივალის წამყვანმა სცენაზე ტაისონს უნდა უხმოს და სახელდახელო ინტერვიუ ჩამოართვას, მაგრამ ეს კი არაა მთავარი - ფესტივალში მონაწილეობისთვის ტაისონისთვის 300 ათასი დოლარი შეუთავაზებიათ. რა თქმა უნდა, "რკინის მაიკიც" დათანხმებულა. ამის შემდეგ მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს იტალიურ რადიოსთან საუბარში განუცხადებია, რომ მისთვის დიდი პატივი იქნება "არისტონის" სცენაზე აბრძანება, რადგან ბავშვობიდან იტაცებს მუსიკა, თუმცა, ულიარებია, იტალიური ესტრადა მაინცდამაინც ღრმად არ ვიცი, უფრო რეპი და აფროამერიკული მუსიკის სხვადასხვა ჟანრი მხიბლავსო.

ახლა, რაც შეეხება მაიკ ტაისონის საკრივო გეგმებს. ავსტრალიიურ ტელეარხ Channel 9-თან ინტერვიუში სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ ჯეფ ფენეკს შეთანხმებაზე მოუწერია ხელი. შეთანხმების არსი კი ისაა, რომ ფენეკი მაიკ ტაისონს რინგზე დაბრუნებაში დაეხმარება (ეს ზაფხულის დასაწყისისთვის იგეგმება). გარდა ამისა, ფენეკს ძალიან უნდა, ტაისონი ავსტრალიაში გადაიყვანოს საცხოვრებლად, მხოლოდ იმისთვის, რომ გაარიდოს იმ ვითარებას, რომელიც ამერიკაში მის ირგვლივ სუფევს.

"მაიკი შეიცვალა. მას უნდა, რომ სწორად მოიქცეს... ჩემი სურვილია, ავსტრალიამ ნახოს ნამდვილი მაიკ ტაისონი. ნამდვილი მაიკ ტაისონი კი ჯენტლმენია".

სხვათა შორის, ფენეკს უკვე გარკვეული ზომებიც მიუღია ტაისონის ავსტრალიაში გამგზავრების ორგანიზებასთან დაკავშირებით.

რამდენიმე წლის წინ ფენეკს ტაისონის მონაწილეობით მწვანე კონტინენტზე ორთაბრძოლის ორგანიზება სურდა, მაგრამ აქედან რომ არაფერი გამოვიდა, ესეც ცნობილია. მაშინ ტაისონი ავსტრალიაში არ შეუშვეს, რადგან მისი ბანაკის ერთ-ერთ წევრს კანონმდებლებთან რაღაც პრობლემები ჰქონდა.

როგორც არ უნდა იყოს, ეს ინფორმაცია გარკვეულ ეჭვს მაინც ბადებს: ბოლო დროს ამერიკულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად (რაზეც ჩვენც ვიუწყებოდით), "რკინის მაიკი" ბადი მაკგირტის მეთვალყურეობით ვარჯიშობს. მაკგირტი კი ის კაცია, რომელიც მაიკ ტაისონის მთავარმწვრთნელობას იჩემებს.

ფეხბურთი

# რობერტო კარლოსი: „მოგებას ისევ დავიწყებთ"



რობერტო კარლოსი ბედნიერია იმით, რომ გუნდის მატჩებში ხშირად მონაწილეობს. ფეხბურთელის ვარაუდით, ეს იმან განაპირობა, რომ შეიცვალა "რეალის" სათამაშო სქემა, რაც ბრაზილიელს საშუალებას აძლევს, უფრო ხშირად ჩაერთოს შეტევებში. მცველი ირწმუნება, რომ ლა ლიგა ჯერ წაგებული არ არის და ესპანეთის ჩემპიონატის 26-ე ტურს შეუძლია შეცვალოს სატურნირო ვითარება.

რობერტო კარლოსი იმედოვნებს, რომ "ესპანიოლი" კატალონიურ დერბიში "ნოუ კამპზე" დაამარცხებს "ბარსელონას" და ამით მადრიდელებს დაეხმარება. პრესკონფერენციაზე რობერტო კარლოსი, ტრადიციულად, ოპტიმისტურად გამოეხმაურა გუნდში მიმდინარე საქმეებს და კიდევ ერთხელ გაიბრწყინა განუმეორებელი ენაკვიმატობით. როცა დარბაზში ვანდერლეი ლუშემბურგო გამოჩნდა, რობერტო კარლოსმა ერთ-ერთ კითხვაზე პასუხი შეწყვიტა და ხმამაღლა შესძახა: "ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს. მე 31 წლის ვარ და ისეთ ფორმაში ვიმყოფები, როგორც არასდროს". ლუშემბურგომ თანამემამულის ექსპრომტი სათანადოდ დააფასა.

**- თქვენ "ბეტისი" გეწვიათ. ქულების დაკარგვა აღარ შეიძლება.**

- დარწმუნებული ვარ, მოგებას ისევ დავიწყებთ. ჩვენ მტკივნეულად გადავიტანეთ ის ორი მარცხი, რომელმაც "ბარსელონასთან" კიდევ უფრო დაგვაშორა, მაგრამ მომდევნო თამაშებს შეუძლია კატალონიელებთან კიდევ უფრო დაგვაახლოოს. "ბეტისი" ჩვენთან "ვალენსიასთან" დამარცხების შემდეგ ჩამოდის და, ბუნებრივია, შეეცდება საქმე გამოასწოროს, მაგრამ მინდვრის მეორე ნახევარზე მადრიდის "რეალი" იქნება, რომელიც საშინაო თამაშებში ძალიან ძლიერია.

**- რა შეგიძლია თქვა ხოაკინის შესახებ?**

- ძალიან კარგი ფეხბურთელია. ეჩებერიას ტოლფასი და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო განაპირა ნახევარმცველი.

**- როგორც ჩანს, ასუნსაო არ ითამაშებს...**

- ჩვენთვის ეს შვებაა, რადგან ასუნსაო "ბეტისის" ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია. მე არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს მის საქმეზე სადისციპლინო კომიტეტი, მაგრამ თუ არ ითამაშებს, სევილიელთათვის ეს ძალიან დიდი დანაკლისი იქნება.

**- რა შეგიძლია თქვა საკუთარი თამაშის შესახებ?**

- მე უკეთ ვთამაშობ, რადგან ამჟამად გუნდი უფრო მეტად არის დამოკიდებული ჩემზე. ადრე სხვა სქემით ვთამაშობდით და მე ნაკლებად შესამჩნევი ფიგურა ვიყავი. ამასთან, კარგ ფორმაში ვარ და ეს გარედანაც კარგად ჩანს. ბედნიერი ვარ და იმედი მაქვს, მომდევნო მატჩებში უკეთესად ვითამაშებ.

**- იმედი გაქვს, რომ "ესპანიოლი" "ბარსელონას" ქულებს აართმევს?**

- ტრადიციულად "ესპანიოლი" მათ ვერ ამარცხებს. მე აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის მოხდა ეს. მათ კარგი გუნდი ჰყავთ და ჩვენს წინააღმდეგ ყოველთვის თავგამოდებით თამაშობენ. ახლა შეუძლიათ, "ბარსელონასთან" ბრძოლაში ისტორიულ შედეგს მიაღწიონ, რადგან დადგა დრო, ბოლო მოეღოს ნეგატიურ შედეგებს "ბარსასთან" მატჩებში.

**- როცა გუნდები "რეალის" წინააღმდეგ თამაშობენ, ისინი მინდორზე სხვა მოტივაციით დამუხტულნი გამოდიან?**

- ვფიქრობ, კი. ზედიზედ ცხრა წელიწადია, ამას ვქადაგებ. ამას ბევრი დამადასტურებელი საბუთი აქვს. შეხედეთ, მაგალითად, როგორ ითამაშა "ოსასუნამ" ჩვენს წინააღმდეგ და როგორ ეთამაშა "მალაგას" (1:6). ნებისმიერი გუნდისთვის მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ მატჩი განსაკუთრებულია. თუმცა, მე ამას თავის გამართლებისთვის არ ვამბობ. სხვა კლუბში რომ ვთამაშობდე, მეც ასე მოვიქცეოდი. მესმის, რომ "რეალთან" მატჩი ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თამაშია.

**- მეტოქეებში განსაკუთრებით რა გაღელვებთ?**

- მე ჩვენი მეტოქეები კი არა, იმ თამაშების რაოდენობა მაღელვებს, რომლებსაც ვმართავთ. აღდგენისთვის დრო არ გვრჩება და ეს ცუდ სამსახურს გვიწევს. მოტივაცია საკმარისზე მეტიც გვაქვს, მაგრამ დასვენებისთვის დრო არ გვრჩება.

**- "დეპორტივოსთან" მატჩამდე განაცხადე, თუ ამ თამაშს არ მოვიგებთ, ჩემპიონობისთვის ბრძოლას უნდა დავემშვიდობოთო...**

- სწორად ვერ გამიგეს. ასე არ მითქვამს.

**- თქვენ "ბარსელონას" რვა ქულით ჩამორჩებით. კიდევ ერთი მარცხი ჩემპიონობისთვის ბრძოლიდან გამოგთიშავთ?**

- წინ კიდევ ბევრი მატჩია და თამაში ძველებური მოტივაციით უნდა გავაგრძელოთ.

**- ლა კორუნიაში თქვენს მარცხზე ფეხბურთელთა დიდმა დანაკარგმა იმოქმედა?**

- ჩვენ გული გაგვიტეხა იმ ორმა გოლმა, რომლებიც ათ წუთში გავუშვით. ჩვენ ბურთს უფრო ხშირად ვფლობდით. ბევრს ვუტევდით, მაგრამ როცა ასეთ გოლებს უშვებ, მაშინ სათამაშო სტილი უნდა შეცვალო.

**- მაგრამ შემადგენლობის როტაცია ნეგატიურად აისახა. თქვენ მოთამაშეები არ გყოფნით?**

- იყო თამაშები, როცა რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ ის მატჩები მოვიგეთ.

**- მიჩელ სალგადოს დაკარგვა გუნდის თამაშზე აისახება?**

- მიჩელის ნაცვლად რაულ ბრავო თამაშობს. ვნახოთ, რას გადაწყვეტს მწვრთნელი. მის განკარგულებაში არიან დუბლის მოთამაშეები - პალენსია და სხვები.

# აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის ზაქარეიშვილ-კუბლაშვილისეული პროექტის გამო

წარმოდგენილი დოკუმენტი ატყუებს მკითხველს, როცა აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის გეგმის პრეტენზიით გამოდის. რეალურად იგი გვთავაზობს აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხოლოდ დროებითი (2,3,10 წლით) აღდგენის გეგმას, რასაც გარდუვალად მოჰყვება, თუ ამ დოკუმენტის რეკომენდაციები განხორციელდება, აფხაზეთის ახალი ფაქტობრივი გასვლა ამ იურისდიქციიდან და, ამავე დროს, ამ გასვლის ლეგიტიმაცია (დაკანონება). დოკუმენტის ძირითადი კონცეპტუალური სქემა, უდავოდ, ე. წ. "ბოდენის დოკუმენტიდან" მოდის, რომელიც ამჟამად გაეროს გენერალური მდივნის მაგიდაზე დევს, როგორც აფხაზეთში (საქართველო) არსებული კონფლიქტის მოგვარების გეგმა. ზაქარეიშვილი-კუბლაშვილის დოკუმენტი, სამწუხაროდ, დღესდღეობით მიღებული აქვს საქართველოს უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, როგორც სამუშაო ტექსტი, რომლის გათვალისწინებითაც უნდა ფორმულირებულ იქნას საქართველოს ხელისუფლების ამოსავალი პოზიცია მოლაპარაკებებში აფხაზეთში არსებული მდგომარეობის ნორმალიზაციის - და, მაშასადამე, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის - გზათა თაობაზე (ამ პროექტის ერთ-ერთი ავტორი, კუბლაშვილი დანიშნულია უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარედ).

ზაქარეიშვილი-კუბლაშვილის პროექტი, ისევე, როგორც მისი ამოსავალი ბოდენის დოკუმენტი, მკაფიოდ ანტიქართულია (მიმართულია საქართველოს სახელმწიფოს დაშლისკენ) და როგორც ფაქტებთან მიმართებაში, ისე ადამიანის უფლებათა და მათ შორის - უმცირესობის უფლებათა დაცვის საერთაშორისოდ მიღებულ ნორმებთან მიმართებაში უსაფუძვლოა.

## I. დოკუმენტის კონტექსტი და მისი შინაარსობრივი აღნაგობა

დოკუმენტზე მუშაობა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ათიოდე წელიწადია წარმოებს. გარეგნულად მისი სპონსორი და ორგანიზატორია რამდენიმე ევროპული აკადემიური ცენტრი. ამ ცენტრთა ინფორმაციის წყაროდ საკითხის ქართული ხედვის შესახებ მუშაობს ერთი და იმავე მიმართულების - სახელდობრ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაპირისპირებული მიმართულების - რამდენიმე ქართველისგან და ერთი აფსუასგან ("აფხაზისგან"), გ. ანჩიბაძისგან შემდგარი ჯგუფი. გამოშვებულია მასალების 9 პატარა ტომი, რომლებშიც მკაფიოდ გაბატონებულია ზემოხსენებული ანტიქართული ტენდენცია.

წარმოდგენილი გეგმის გამჭოლი ანუ საბოლოო მიზანი, როგორც ჩანს, ისაა, რომ მოხდეს ქართველების ხელმოწერით და საქართველოს ხელისუფლების თანადგომით იმგვარი დოკუმენტის შექმნა, რომელშიც მოცემული იქნება პირდაპირი ან არაპირდაპირი ინიციატივა საქართველოსგან აფხაზეთის სეცესიის იურიდიული მექანიზმის შექმნისა (დღეს ასეთი მექანიზმი არ არსებობს) და ამ მექანიზმის ამუშავებისთვის საჭირო ძალის აკუმულაციისა სეპარატისტთა ხელში.

ამ სავარაუდო მიზნის შესაბამისად, წარმოდგენილ პროექტში ორი მთავარი მომენტია:

პირველი. აფხაზეთისთვის საქართველოსგან გამოყოფის იურიდიული მექანიზმის შექმნა. მეორე: აფხაზეთისთვის (პრაქტიკულად - არძინბას და მის მომავალ მემკვიდრეთა ჯგუფისთვის) იმგვარ უფლებათა მინიჭება და დაკანონება, რომლებიც მას საშუალებას მისცემენ, საქართველოს სახელმწიფოში ყოფნის პირობებშივე მოახდინოს რეალური ძალის მოგროვება, რომელიც მას სეცესიის ობიექტურ პირობებს მოუმზადებს.

## II. სეცესიის იურიდიული მექანიზმი. ტერმინოლოგიური მხარე

***ტერმინი "სუვერენული"***

დოკუმენტი აფხაზეთის სასურველი სტატუსის დასახასიათებლად მრავალჯერ ხმარობს ტერმინს "სუვერენული" - ხან ზედსართავების დამატებით ("შეზღუდული სუვერენიტეტი" და სხვა), ხან ამ ზედსართავების გარეშე. ამ ტერმინის გამოყენება მოდის ბოდენის პროექტიდან, რომელიც (ავტორისავე გერმანული თარგმნით მის ინტერვიუში) ხმარობს გამოთქმას "souveranes staatgebilde", "სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნი".

"ქვეყნის მომავალი მოწყობის მოდელის" განსაზღვრის ამოცანა, პროექტის ავტორთა აზრით, თურმე, იმის გარკვევაში მდგომარეობს, თუ "რა მექანიზმით იქნება უზრუნველყოფილი აფხაზეთის სუვერენიტეტი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და, საერთოდ, რა ხარისხის სუვერენიტეტზეა საუბარი" (აბზ. 1). ავტორთა აზრით, საქართველომ უნდა შეძლოს, "შესთავაზოს აფხაზეთის მოსახლეობას მისი უფლებებისა და სუვერენიტეტის დაცვის რეალური გარანტიები საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში" (აბზ. 7). ავტორები აღნიშნავენ (როგორც კონტექსტიდან ჩანს - სინანულით), რომ "ქართულ მხარეს აშინებს აფხაზეთის სუვერენული სტატუსის დაფიქსირება" (აბზ. 9). მათ მიაჩნიათ, რომ ქართულ და აფსუურ ("აფხაზურ") მხარეთა შეთანხმების გარეშე "საერთაშორისო საზოგადოებრიობა" "ვერ განსაზღვრავს, აფხაზეთის სუვერენიტეტის კონკრეტულად რა ხარისხი შეიძლება ერთდროულად შესაბამებოდეს ორივე მხარის ინტერესს" (იქვე). "ფედერალური შეთანხმების" პროექტში, რომელიც, ავტორთა წინადადებით, უნდა გახდეს საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის სტატუსის განმსაზღვრელი (ერთადერთი) კონსტიტუციური კანონი, წერია: "აფხაზეთი არის სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული ამ ფედერალური შეთანხმებით განსაზღვრულ ფარგლებში" (აბზ. 134).

სიტყვის "სუვერენული" გამოყენება აფხაზეთის მიმართ არის იურიდიული კაპიტულაცია სეპარატისტთა და მათ ზურგს უკან მდგომ ძალთა წინაშე, რადგან ამ სიტყვას, - თუნდ ზედსართავის სახით იხმაროთ იგი ("სუვერენული") და თუნდ არსებითი სახელის სახით ("სუვერენიტეტი") - ერთადერთი მნიშვნელობა აქვს: "სუვერენული" ნიშნავს "გარედან დამოუკიდებელს" და "შიგნით უზენაესს". თუ აფხაზეთი "სუვერენულია" და თავისი ნებით თანხმდება საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენელ "წევრ-სახელმწიფოდ" ყოფნას დღეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს, თავისი სურვილის შემთხვევაში, უარი თქვას ამ "წევრობაზე" და გამოეყოს ამ ერთიან სახელმწიფოს ხვალ. ამ გამოთქმის - "სუვერენული" - სხვაგვარად გაგება შეუძლებელია. არანაირი არგუმენტაცია იმისა, რომ განსახილველ დოკუმენტში ეს ტერმინი "სხვა აზრით" იხმარება, შესაძლებელი არ არის.

ცნობისათვის: "დიდი საბჭოთა ენციკლოპედია" "სუვერენიტეტს" განმარტავს ასე: "Суверенитет. верховная власт, - независимость и самостоятельность во внутренних и во внешних делах государственной власти данного государства от власти какого-либо другого государство".

ბრიტანული ენციკლოპედია, რა თქმა უნდა, ტერმინს განიხილავს უფრო ვრცლად და უფრო აკადემიურად. აქ მოცემულია ამ ტერმინის განვითარების მოკლე ისტორია და კონსტატირებულია ამ განვითარების რეზულტატი, რომელსაც ჩამოყალიბებული სახე აქვს ახალი დროის დასაწყისიდანვე: "according to modern usage the appellation "sovereing state" belongs only to states of considerable size and population, exercising without control the usual power of a state, e.g. able to declare peace or war" ("თანამედროვე სიტყვახმარებით, სახელწოდება "სუვერენული სახელმწიფო" ეკუთვნის მხოლოდ მნიშვნელოვანი ტერიტორიისა და მოსახლეობის მქონე სახელმწიფოებს, რომელნიც (სხვათაგან) კონტროლის გარეშე ახორციელებენ სახელმწიფოს ჩვეულებრივ ფუნქციებს, მაგალითად, შეუძლიათ ომის და მშვიდობის გამოცხადება"). შევნიშნავთ აქვე, რომ ამ სიტყვებში შესული პატარა შეზღუდვა - "მნიშვნელოვანი ზომის ტერიტორია და მოსახლეობა" - დღეს მოხსნილია: გაეროს წესდებით, მის წევრთა "სუვერენული თანასწორობა" თანაბრად ვრცელდება მის ყველა წევრეზე, გიგანტებიდან დაწყებული და ყველაზე მიკროსკოპულით დამთავრებული.

"ბრიტანეთის ენციკლოპედია" განაგრძობს მსჯელობას "სუვერენიტეტზე" და განიხილავს სუვერენიტეტის, როგორც ინსტიტუტის (და არა როგორც ტერმინის), ბედის ევოლუციას. სახელდობრ, იგი აღნიშნავს, რომ დღეს სუვერენიტეტის ინსტიტუტი შევიწროებას განიცდის. სუვერენული აღარ არის, რეალურად, თვით ამერიკის შეერთებული შტატებიც კი, ვინაიდან ამ ქვეყანასაც ჰყავს გადაწყვეტილებათა და ნაბიჯთა რაღაცა სფეროში თავის ზემოთ მდგომი უზენაესი მაკონტროლებელი: ესაა სახელმწიფოთა ერთიანი ორგანიზაცია - ჯერ ერთა ლიგა, შემდეგ გაერო. ამგვარად, საქართველოს სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ ტექსტში იმის თქმა, რომ აფხაზეთი "სუვერენულია", არა თუ საშუალებას მისცემს, არამედ დაავალდებულებს კიდეც მომავალ ექსპერტს, უყოყმანოდ ცნოს საქართველოსგან აფხაზეთის სეცესიის (გამოყოფის) უფლება ამ უკანასკნელის სურვილის შემთხვევაში.

ნებისმიერ იურისტს - მეცნიერსაც და პრაქტიკოსსაც, მაგრამ განსაკუთრებით პირველს - უფლება აქვს, ტერმინში "სუვერენიტეტი" რაგინდარა შინაარსი ჩადოს, მას რაგინდარა შემზღუდველი ზედსართავი დაურთოს ან მისი შემცველი ნებისმიერი გამოთქმა მეტაფორად გამოიყენოს იმ მიზნით, რომ თავისი ორიგინალური აზრის ნიუანსი მკითხველამდე და მსმენელამდე მიიტანოს. უდავოა, რომ მრავალი ამ მეცნიერთაგანი იყენებს ამ შესაძლებლობას და მომავალშიც გამოიყენებს. მაგრამ გაგებინების ერთჯერადი ამოცანა, თუ გნებავთ - ტერმინოლოგიური ძიება სხვაა, ხოლო ტერმინის დადგენილი (ანუ შეთანხმებული) მნიშვნელობა - სულ სხვა, ისევე როგორც სხვაა ინსტიტუტის ევოლუცია დროთა მანძილზე და სხვა ტერმინის (ცნების) შინაარსი. მაგალითად, გამოთქმა "შეზღუდული სუვერენიტეტი" აზრიანია მაშინ, როცა გვინდა თანამოსაუბრეს გავაგებინოთ, რა მოვლენა გვაქვს მხედველობაში, და მისი შინაარსი იგივეა, რაც გამოთქმისა "სუვერენიტეტის მდგომარეობიდან ცოტათი დაცილებული მდგომარეობა". მაგრამ პოლიტიკური ერთეულის სტატუსის განსაზღვრაში იგივე გამოთქმა ნონსენსია (უაზრობაა), ისევე როგორც გამოთქმა "ნაწილობრივი ქალწულობა" ან "ნაწილობრივი სიცოცხლე". ამიტომ არის, რომ ნებისმიერი ოდნავ მაინც სერიოზული ხელშეკრულების ტექსტს (თვით კომერციულსაც კი) ყოველთვის უძღვის ტექსტში გამოყენებული ყველა იმ სიტყვის განმარტება, რომელიც კი შესაძლებელია ორი ან მეტი ოდნავ განსხვავებული აზრით იქნას გაგებული (ნათქვამია ხოლმე, წინამდებარე ტექსტში ესა და ეს ტერმინი ამას და ამას ნიშნავსო). ის, რომ წარმოდგენილ პროექტს ტერმინთა ასეთი განმარტება არ უძღვის, მეტყველებს ან შემდგენელთა არაკომპეტენტურობაზე, ან (უფრო) მათს წინასწარგანზრახულ არაკეთილსინდისიერებაზე (სახელდობრ, მათს სურვილზე "ფედერალური შეთანხმების" ტექსტში შემოაპარონ, თავის მოსაწყლების ფონზე, ისეთი ტერმინი, რომელიც საფუძველი გახდება მომავალში აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის), ან, შესაძლოა, მისი ძირითადი დებულებების ნამდვილ არაქართველ ავტორთა არაკეთილსინდისიერებაზე, ერთი მხრივ, და მის გულუბრყვილო ხელმომწერ ქართველ "ექსპერტთა" არაკომპეტენტურობაზე მეორე მხრივ.

ზოგიერთ კონტექსტში პროექტის ავტორები იმ ერთ ლეღვის ფოთოლსაც იცილებენ ზედსართავის "შეზღუდული" სახით და პირდაპირ წერენ, როგორც, მაგალითად, აფხაზეთის ხელისუფლების განსაკუთრებულ (ერთპიროვნულ) გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა ჩამონათვალში, პუნქტი "ა"):

ა) აფხაზეთის სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეულის ოფიციალური სახელწოდება

(აბზაცი 189)

ასევე, "ფედერალური შეთანხმების" პროექტში ვკითხულობთ, რომ აფხაზი და ქართველი ხალხები "სარგებლობენ რა სუვერენული უფლებით დააფუძნონ საერთო სახელმწიფო", დებენ ამ შეთანხმებას. (აბზ. 128).

### "სახელმწიფო", "სახელმწიფოს ხარისხი", "სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი"

პროექტის ავტორები აფსუური ("აფხაზური") სეპარატიზმისადმი უარყოფითად განწყობილ მკითხველს აშოშმინებენ იმით, რომ სეპარატისტებისათვის სასურველ სეცესიონისტურ აფხაზეთს არ ახასიათებენ როგორც "სახელმწიფოს", არამედ მას ახსენებენ ისეთი "შემარბილებელი" გამოთქმებით, როგორიცაა "სახელმწიფო წარმონაქმნი", "სახელმწიფოს ხარისხის მატარებელი ერთეული". ესეც ილეთი გახლავთ. ცნების "სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი" შინაარსი, როგორც პოლიტიკური და იურიდიული ცნებისა, არ შეიცავს "სახელმწიფოს" ცნების შინაარსისგან განსხვავებულ რაიმე სპეციფიკურ ნიშანს, ისევე როგორც "სახელმწიფოს ხარისხში" ვერ იგულისხმებთ ვერაფერს იმაზე ნაკლებს, რაც თვით "სახელმწიფოებრიობაა", "სახელმწიფოდ ყოფნაა". ამიტომ როცა ვინმე მომავალი ყოვლისშემძლე მსოფლიო არბიტრი წაიკითხავს თბილისისა და სოხუმის "ფედერალურ შეთანხმებაში", რომ აფხაზეთი საქართველოს შიგნით "სახელმწიფო წარმონაქმნია" და "სახელმწიფოს ხარისხის" მატარებელია, იგი მხოლოდ იმ აზრს გამოიტანს, რომ აფხაზეთი, თუმცა (ამა თუ იმ მიზეზით) საქართველოს შემადგენლობაშია, სახელმწიფო ყოფილა და, მაშასადამე, თუკი მოისურვებს, ცალკე ყოფნის უფლება უნდა ჰქონდეს.

"სახელმწიფოს" ცნებასთან დაკავშირებით პროექტის ავტორთა ნახელავში ერთი დამატებითი ილეთიც არის გამოყენებული. საქმე ის გახლავთ, რომ სიტყვა "სახელმწიფო" ორი სულ სხვადასხვა რამის აღსანიშნავად იხმარება. "სახელმწიფო", ამ სიტყვის ერთი აზრით, არის სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტი, ადამიანებისა და ტერიტორიის ორგანიზაციის გარკვეული ფორმა და შესაბამისი მმართველი სტრუქტურა. ამიტომ შეგვიძლია, მაგალითად, ვთქვათ, "სახელმწიფო დაინტერესებულია ხორბლის იმპორტზე ბაჟის აწევაში, მოსახლეობა კი დაწევაში". თუ მომთაბარე ტომებით დასახლებულმა რაღაცა ტერიტორიამ განათლების დონე აიმაღლა, პარლამენტი აირჩია და თანამედროვეობის შესაბამისი მმართველი სტრუქტურა შექმნა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ქვეყანამ თავის მიწაწყალზე შექმნა სახელმწიფო, რომელიც გუშინ არ ჰქონდა. ამ ისტორიული აქტის განხორციელება მისი ნებაა, იგი ამ აქტით არავის არაფერს ართმევს და მის ჩასატარებლად არავის დასტურს არ საჭიროებს. იგივე სიტყვა "სახელმწიფო", ამ სიტყვის მეორე აზრით, აღნიშნავს ამ კონკრეტულ სახელმწიფოს, ამ კონკრეტულ ქვეყანას (ჩინეთს, ესპანეთს, სომხეთს...), როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, რომელსაც ამ მსოფლიოში თავისი ადგილი (ტერიტორია), თავისი სტატუსი და უფლება-მოვალეობები აქვს. ახალი სახელმწიფოს დაფუძნება სიტყვის ამ აზრით არაა მოცემული ტერიტორიის მაცხოვრებელთა საკუთარი ნების და სურვილის საქმე: ამ მეორე შემთხვევაში ისინი უპირისპირდებიან სხვებს, ვისაც ამავე მიწაწყლის და ამავე მოსახლეობის მიმართ საკუთარი პრეტენზია აქვს. პროექტის ავტორები ხრიკს მიჰმართავენ: ისინი "ტექნიკურად" უნაცვლებენ ერთმანეთს სიტყვა "სახელმწიფოს" პირველსა და მეორე მნიშვნელობას და ამ შენაცვლებით ცდილობენ აფხაზეთის უფლების დასაბუთებას, რომ (პერსპექტივაში) ცალკე სახელმწიფო იყოს. სახელდობრ, ისინი გვთავაზობენ, როგორც თავისთავად ცხად რასმე, იმ დებულებას, რომ აფხაზეთის მოსახლეობას უცილობელი უფლება აქვს აირჩიოს თავისი წარმომადგენლობითი ორგანო - პარლამენტი - და შექმნას მოცემული მიწა-წყლის მომცველი სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი. შემდეგ კი გულისხმობენ, რომ, რაკი აფხაზეთის სახელმწიფო (ამ სახით) უკვე შეიქმნა (და მომავალშიც განახლებადი პირადი შემადგენლობით არსებობას განაგრძობს), იგი არის სახელმწიფო მეორე აზრითაც, სახელდობრ, დედამიწის ერთი ნაწილი და მასზე მოსახლე კაცობრიობის ერთი ნაწილი, რომელსაც, რაკი სახელმწიფოა, სუვერენიტეტი ეკუთვნის. ასეთი ლიგიკური ხრიკი, რომელიც დამყარებულია ერთი და იმავე სიტყვის ორი სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარებაზე (მაგალითად, ასე: ჰეროდე ნამდვილი მელაა (ანუ ეშმაკი კაცია). მელას ოთხი ფეხი აქვს. მაშასადამე, ჰეროდეს ოთხი ფეხი აქვს), დიდი ხანია ცნობილია, მასზე აგებულია ყველა სოფიზმი და მისი მამტკიცებელი ძალა ნულს უდრის.

ამგვარად: თუ აფხაზეთის მოსახლეობა, რაგინდარა ერთსულოვანი, ატარებს არჩევნებს აფხაზეთის ტერიტორიაზე და ქმნის ისეთ მმართველ სტრუქტურას, როგორიც სახელმწიფოს ეკუთვნის (ანუ ისეთს, როგორიც სახელმწიფოებს აქვთ), ეს არ ქმნის მის უფლებას, რომ ეს მოსახლეობა თავისი საცხოვრებელი ტერიტორიითურთ სახელმწიფოდ იქცეს. (ამისთვის საჭიროა მან ჯერ ჩამოიშოროს მოცილე, რომელსაც ეს ტერიტორია მთელი ცნობილი ისტორიის მანძილზე ეკუთვნის და რომლის ნაწილიც ეს ტერიტორია არის - საქართველოს სახელმწიფო). პროექტის ავტორები თავისი ტერმინოლოგიური ხრიკით უწყვეტენ მას ამ ამოცანას: აფხაზეთის "სახელმწიფოდ" აღიარებით, რასაც, მათი აზრით, საქართველოს მხრიდან თანხმობა, ანუ ამ საკითხში საქართველოს კაპიტულაცია, არ სჭირდება, ისინი აღიარებენ, რომ აფხაზეთის ტერიტორია დედამიწის ცალკე, საქართველოსგან დამოუკიდებელი (მის სახელმწიფოებრივ ნებაზე არდამოკიდებული) ნაწილია და აფხაზეთის მოსახლეობა კაცობრიობის დამოუკიდებელი (საქართველოს მოსახლეობაში არშემავალი) ნაწილია, რომელსაც სურვილი აქვს დღეს, რომ საქართველოსთან ერთიანი სახელმწიფო შექმნას.

## III. სეცესიის იურიდიული მექანიზმი. ზოგადი (თეორიული) საფუძვლები

თავისი დასაბუთების (და არა "ფედერალური შეთანხმების" ტექსტის პროექტის) მონაკვეთში სათაურით "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი" პროექტის ავტორები წერენ:

ა) საქართველო არის სახელმწიფო - სამართლებრივად, ანუ კონსტიტუციის მიღებით დაფუძნებული სახელმწიფო. ეს დაფუძნება ეყრდნობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებულ საყოველთაო, თავისუფალ, პირდაპირ და თანასწორ არჩევნებს, აგრეთვე რეფერენდუმს, რის შედეგადაც საქართველოს სახელმწიფო ლეგიტიმირებულია, ანუ წარმოშობილია საქართველოს ხალხის ("სახელმწიფო ხალხის") უმრავლესობის ნებისაგან. საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრული სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ".

ამ მსჯელობაში ყველაფერი სწორია (მასში ყველაფერს შეგვიძლია უყოყმანოდ დავეთანხმოთ) გარდა ერთისა: მასში გამოტოვებულია ის, რაც განსახილველი საკითხისათვის - საქართველოში აფხაზეთის ადგილისა და აფხაზეთში აფსუა ("აფხაზი") ხალხის ადგილის საკითხისათვის - ყველაზე არსებითია. სახელდობრ, შემდეგი:

როდესაც მსჯელობა ეხება ქვეყნის საზღვრებს, მისი ნაწილების ურთიერთმიმართებას, მის უფლებებსა და შესაძლებლობებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, მოკლედ - მის ადგილს დედამიწაზე და მისი ხალხის ადგილს კაცობრიობაში, - მაშინ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისათვის, ერთი მხრივ, და ხალხის ნების დიაგნოსცირებისთვის (გამორკვევისთვის) მის მთლიანობაში, მეორე მხრივ, სრულებითაც არ არის საკმარისი წარმომადგენლობითი დემოკრატიის ის პროცედურები, რომლებიც დასახელებულია ციტირებულ ტექსტში. ხალხის ნების მანიფესტაცია (გამოვლენა და გამოხატვა) ხდება ისეთი ერთჯერადი პროცედურებითაც, როგორიცაა რეფერენდუმი, რევოლუცია, კონტრრევოლუცია, ამბოხება, პუტჩი, ერთი მხრივ, და ისეთი ხანგრძლივი, საუკუნეებზე გამწვდომი და ზოგადეროვნული ერთობლივი-სახალხო თავისებურებებითაც (მახასიათებლებითაც) მასის და მისი ცალკეული ელემენტების მოქმედებაში, როგორიცაა მტკიცე ქცევა დამპყრობთან მიმართებაში თუ დამთმობი, რელიგიურობა თუ ურწმუნოება, ალვირახსნილობა თუ პურიტანული თავდაჭერა და ა.შ. ამიტომაც საქართველოს სახელმწიფო, როგორც იურიდიულად მოწესრიგებული და დაცული სტრუქტურა, მართლაც წარმოშობილია (უფრო ზუსტად - აღდგენილია) იმ იურიდიულ ხდომილებათა შედეგად, რომლებსაც ავტორები ჩამოთვლიან, მაგრამ როგორც სახელმწიფო, რომელიც ამა და ამ წესით ორგანიზებული ქვეყანაა, დედამიწისა და კაცობრიობის ნაწილია, სახელდობრ, აფხაზეთის მთელი ტერიტორიის მომცველი ნაწილი, იგი არ არის "წარმოშობილი" ზემოთ ციტირებული დემოკრატიული პროცედურების შედეგად. იგი წარმოშობილია რეალური ისტორიული განვითარების შედეგად (და არსებობს, სხვათა შორის, ადამიანთა ცნობიერებაში ამ ისტორიის არსებობის შედეგადაც), ხოლო დღეს კანონმდებლობითად დაფიქსირებულია იმ იურიდიულად რელევანტურ (მნიშვნელად) ხდომილებათა შედეგად, რომლებსაც ავტორები ასახელებენ. ეს ხდომილებები იურიდიული სინამდვილის კუთვნილებაა, ის რეალური ისტორია და მისი ხსოვნა კი - ე. წ. მეტაიურიდიული სფეროსი, ანუ ცხოვრების იმ ნაწილისა (ადამიანთა ზნე-ჩვეულებების, მორალური წარმოდგენების, ურთიერთობის რეალური ფორმების და ა. შ. ჩათვლით), რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იურიდიულ სფეროს და რომლის ნაწურის ნაწურიც არის (რა თქმა უნდა, ცნობიერი შემოქმედებითი გააზრების მონაწილეობით) იურიდიული სფერო კანონმდებლობის ფორმით. მეტაიურიდიული სფეროს გათვალისწინება მოვალეობაა ყველა იმისი, ვინც დაკავებულია უფლებრივი ფორმების გააზრებით ამა თუ იმ რეალური პრობლემის გადასაჭრელად. პროექტის ავტორები ამ მოვალეობას რადიკალურად უგულებელყოფენ. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ისინი "ტექნიკურად" უნაცვლებენ ერთმანეთს "სახელმწიფოს" ცნების ხმარებისას მის ორ სხვადასხვა მნიშვნელობას: როგორც ინსტიტუტისას და როგორც ქვეყნისას, დედამიწისა და კაცობრიობის ნაწილისას. ამ მიზანმიმართული აღრევით ისინი, ერთი მხრივ, ციტირებულ აბზაცში აუქმებენ დღეს არსებულ საქართველოს, როგორც აფხაზეთის მომცველ და ამ თავის ტერიტორიაზე ერთადერთ სუვერენულ ქვეყანას, ხოლო მეორე მხრივ, (როგორც აქვე ქვემოთ დავინახავთ), შემდგომ აფუძნებენ (ბეჭედდარტყმული ხელშეკრულებით) ახალ ქვეყანას - სუვერენულ აფხაზეთს, რომელსაც აქამდე არც ბუნებაში, არც ადამიანთა ცნობიერებაში არ უარსებია. აი, მათი ეს პოზიციაც - პროექტის სიმძიმის ცენტრი:

"იმავდროულად, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაშია სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული აფხაზეთი, რომელიც უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში გამოდის თანასწორუფლებიანი და დამოუკიდებელი პარტნიორის სახით. ეს ნიშნავს, რომ მას სახელმწიფოს ნიშნები ახასიათებს, ანუ სახელმწიფოს ხარისხი აქვს, ასევე აქვს კონსტიტუციის დამდგენი ძალაუფლება და, მაშასადამე, მისი "სახელმწიფოებრიობა" არ არის წარმოებული საქართველოს სახელმწიფოს ნებისაგან. აფხაზეთის ხელისუფლება ეფუძნება ლეგიტიმაციის დამოუკიდებელ წყაროს - მისი სახელმწიფო სტრუქტურები აირჩევა და კომპლექტდება აფხაზეთის მოსახლეობის მიერ. სწორედ "სახელმწიფოებრიობის", ანუ სახელმწიფოს ხარისხის გამო აქვს აფხაზეთს არა ვინმესაგან მინიჭებული, არამედ საკუთარი (თუმცა შეზღუდული) სუვერენიტეტი. იმავდროულად, აფხაზეთი არის ფედერალური ქართული სახელმწიფოს წევრი (წევრი-სახელმწიფო) და არა ნაწილი. ისინი - ფედერალური სახელმწიფო და მის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოებრივი ერთეული - შეადგენენ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას" (აბზ. 32).

როგორც ვხედავთ, წინა აბზაცში გამოთქმულ მცდარ დებულებას ამ აბზაცში ავსებს მეორე დებულება, რომელიც რეალობის ასახვის იქ მოცემულ არაადეკვატურობას ექსპლაციტურ (ღია) სახეს აძლევს: "იმავდროულად, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაშია სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული აფხაზეთი". "აფხაზეთს არა ვინმესგან მინიჭებული, არამედ საკუთარი (თუმცა შეზღუდული) სუვერენიტეტი აქვს". ამ დებულების დასაბუთებაში ადგილი აქვს ე. წ. "ლოგიკურ ნახტომს", სახელდობრ, შემდეგს: - რატომ (რის საფუძველზე) აქვს აფხაზეთს ეს სუვერენიტეტი? იმის საფუძველზე, რომ აფხაზეთი არის სახელმწიფო, მას "სახელმწიფოს ხარისხი" აქვს. რის საფუძველზე აქვს მას ეს "ხარისხი"? არგუმენტი ასეთია: "აფხაზეთის ხელისუფლება ეფუძნება ლეგიტიმაციის დამოუკიდებელ წყაროს - მისი სახელმწიფო სტრუქტურები აირჩევა და კომპლექტდება აფხაზეთის მოსახლეობის მიერ". მაგრამ რის საფუძველზე ხდება იმ ლეგიტიმაციის გადატანა, რომელიც აფხაზეთის ხელისუფლებას (მისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს) აქვთ არჩევნების შედეგად, აფხაზეთზე, როგორც პოლიტიკურტერიტორიულ ერთეულზე? ასეთი საფუძველი არ არსებობს გარდა ლოგიკური ხრიკისა, რომელიც წეღან ვახსენეთ: სახელმწიფოს ცნება, როგორც ინსტიტუტისა (მართვის ფორმა, მართვის სტრუქტურა და ამ სტრუქტურის პირადი შემადგენლობა) მიზანმიმართულად აღრეულია სახელმწიფოს ცნებაში, როგორც ქვეყნისა, და ამ ხრიკით ლეგიტიმაციის ის მექანიზმი, რომელიც აქვს პირველს (თუკი აფხაზეთს ის სტატუსი აქვს, რომელსაც ამ ფორმის ხელისუფლება ეკუთვნის), გადატანილია მეორეზე, რომლის სტატუსის განსაზღვრის უფლებაც საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების უკითხავად არავის აქვს.

ამგვარად, ყოვლისშემძლე მსოფლიო არბიტრაჟს, რომელსაც ორი, ხუთი, ათი წლის შემდეგ სთხოვენ გადაწყვეტილების მიღებას, ჩაითვალოს თუ არა აფხაზეთის ერთსულოვანი ნება "საქართველოში ყოფნა აღარ გვინდაო" საკმარის საფუძვლად, რომ საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფა მოხდეს, ლოგიკური შესაძლებლობა ექნება, რომ აირჩიოს ერთ-ერთი ორ პასუხს შორის. პირველი. "არა, რადგან სუვერენულ სახელმწიფოში სუვერენული სახელმწიფოს ყოფნა შეუძლებელია (ნონსენსია). თუ ხელშეკრულებაში წერია, რომ სუვერენული აფხაზეთი სუვერენული საქართველოს შემადგენლობაში შედის, ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი სუვერენიტეტი არ ყოფილა ნაგულისხმევი ასეთად, არამედ ამ გამოთქმას რაღაცა სხვა, მეტაფორული მნიშვნელობა ჰქონია. წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზეთს ექნებოდა ის უფლებამოსილებები, რომლებიც "სუვერენიტეტის" ცნების შინაარსს შეადგენს (ომი და ზავი და ა. შ.) და ვერ იქნებოდა ნათქვამი, რომ იგი მეორე სახელმწიფოს შემადგენლობაშია". მეორე, "დიახ. რაკი შავით თეთრზე წერია, რომ აფხაზეთი სუვერენულია, ეს იმას ნიშნავს, რომ მის უფლებამოსილებად იგულისხმება ომისა და ზავის გამოცხადებაც, ფულის მოჭრაც, მეფის ყოლაც (თუკი უნდა), ელჩების დანიშვნაც და საერთოდ ყველაფერი, რაც კი სუვერენული სახელმწიფოს უფლებებში შედის - რა თქმა უნდა, საქართველოსთან საზღვრის ჩაკეტვის და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა თუ გაწყვეტის ჩათვლით".

იმ ფაქტის გაბათილება, როგორც დღეს, აფხაზეთის სტატუსზე მსჯელობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი წანამძღვრისა, რომ საქართველო, როგორც აფხაზეთის მომცველი ქვეყანა, მთელი ცნობილი ისტორიის მანძილზე იყო და არის და რომ ეს ქვეყანა, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო, დღეს მსოფლიოს მიერ დამოუკიდებლად და ხელშეუხებლად არის აღიარებული, დღეს არც გაეროს, არც რომელსამე გლობალურ ძალას და არც ქვეყანათა რომელსამე ჯგუფს, საქართველოსადმი რაგინდარა მტრულად განწყობილებისას, არ შეუძლიათ. ეს შეუძლია მხოლოდ საქართველოს თავისი არაკომპეტენტური ან ქვეყნის მიმართ ორგული ხელისუფლების ხელით და თავისი არაკომპეტენტური, ქვეყნის ბედზე ფიქრს არჩეული დაბეჩავებული მოსახლეობის ჩუმი თანხმობით. წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანი ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლება და საქართველოს გულუბრყვილო მოსახლეობა (უფრო ზუსტად - სწორედ ეს უკანასკნელი. ხელისუფლებამ, ჩანს, იცის, რასაც სჩადის) ამ საბედისწერო შეცდომაზე დაითანხმოს. ამ პროექტის შედგენის ვერაგი, მაგრამ ჭკვიანი მონაწილეები - ისინი, ვინც ზემოხსენებული ილეთი მოიგონა, - საქართველოს მოქალაქეები არ არიან. რაც შეეხება ამ პროექტზე ხელმომწერ საქართველოს მოქალაქეებს (ზაქარეიშვილი, კუბლაშვილი და სხვანი), მათს ამ ქმედებას, უკეთეს შემთხვევაში, ის ერთადერთი დახასიათება მიუდგება, რომელიც გამოთქვა ბატონმა მიხეილ ნანეიშვილმა გაზეთ "ჯორჯიან ტაიმსში": მათი ნახელავი არის "ფედერალური ტაკიმასხარობა", რომლის დამანგრეველ შედეგს - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებას არაქართულ სივრცეებად - არასოდეს აღარ გააუქმებენ დღეს მსოფლიოში, სამწუხაროდ, თითქმის ყოვლისშემძლე და პამპულობის არმოყვარული ძალები, რომლებიც თანამედროვეობას მართავენ (მართავენ დაუნდობლად, მაგრამ ისე, რომ წერილობით არსებული იურიდიული დოკუმენტების არც ერთ ასოს არ გადაუხვევენ).

## IV. სეცესიისაგან საქართველოს დაცვის საკითხი

რა იურიდიული ფაქტორი იცავს საქართველოს მთლიანობას - ანუ სამართლებრივად რა იცავს საქართველოს აფხაზეთის გამოყოფისაგან - იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ზაქარეიშვილ-კუბლაშვილის და სხვათა პროექტი? პროექტით გათვალისწინებული იურიდიული მექანიზმი ამ დაცვისა შედგება ორი ელემენტისაგან. პირველი: ავტორთა მიერ მოცემული დასაბუთების თანახმად (აბზაცი 36) - მაგრამ არა შემოთავაზებული "ფედერალური შეთანხმების" ტექსტის თანახმად, - "რადგანაც საქართველოს სახელმწიფო მთელი ხალხის მიერ არის დაფუძნებული და ლეგიტიმირებული (და არ არის შექმნილი წევრი-სახელმწიფოების მთავრობათა შეთანხმების საფუძველზე), კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელია და დაუშვებელია მისი შემადგენელი წევრი-სახელმწიფო(ები)ს გამოყოფა ერთიანი სახელმწიფოსაგან. ნებისმიერი მცდელობა ამ მიმართულებით ერთიანი კონსტიტუციის საწინააღმდეგო და დაუშვებელი სეცესია იქნება".

ეს მსჯელობა თავისი ფორმით ანალიზია და პროგნოზია (და არა კონსტიტუციური ან, საერთოდ, კანონისმიერი ნორმა) და ორივე თვალსაზრისით (როგორც ანალიზის, ისე პროგნოზის თვალსაზრისით) არასწორია. ის, რომ საქართველოს სახელმწიფო "მთელი ხალხის მიერ" (ანუ აფხაზეთის მთელი ხალხის და დანარჩენი საქართველოს მთელი ხალხის მიერ) ფუძნდება და ამ სახელმწიფოს ლეგიტიმაცია ამ "მთელი ხალხის" ნების ძალით ხდება (იგულისხმება რეფერენდუმის ფორმა), არ ხდის მომავალ სეცესიას შეუძლებლად. შეხედულება და შესაბამისი პრაქტიკა, რომ კანონიერი გზით მიღებული კანონის უზენაესობა ნიშნავს უზენაესობას იმავე ხალხის ნებაზეც, რომელმაც ეს კანონი დაადგინა სათანადო კანონიერი წესით, ბერძნებს ჰქონდათ (მამაპაპათა დადგენილ კანონს არ უნდა ვუღალატოთ, იგი, როგორც მინიმუმი, რამდენიმე წლის მანძილზე უცვლელი უნდა დავტოვოთო), მაგრამ იგი არა აქვს დღევანდელ დემოკრატიულ სახელმწიფო აზროვნებას. კანონი უზენაესია ყველაფერზე, კანონმდებლის და ელექტორატის ნების გარდა, რომელიც (ეს ნება) შეიძლება საღამოსვე შეიცვალოს (თუ სათანადო ტექნიკური საშუალება არსებობს ამ ნების ფიქსირებისა) და დილას მიღებული კანონის შეცვლა მოახდინოს. შეუძლია თუ არა ელექტორატის ნაწილს, რომელსაც კანონის შეცვლა უნდა, გამოეთიშოს ამ თემასთან დამოკიდებულებაში ელექტორატის მეორე (თუნდ უმრავლეს) ნაწილს, რომელსაც დილანდელი კანონის შეცვლა არ უნდა? ეს დამოკიდებულია ელექტორატის ამ "მეამბოხე" ნაწილის ონტურ სტატუსზე, ანუ იმაზე, თუ რა არის ეს ნაწილი. ამ კითხვის პასუხი, თუ რა არის ეს "მეამბოხე ელექტორატი", მეტაიურიდიულ სფეროში დევს და არა იურიდიულში. თუ ეს ნაწილი შედგება თინეიჯერი ამომრჩევლებისაგან (18-დან 20 წლამდე), ან პენსიონერებისაგან, ან ორივესაგან ერთად, მაშინ მათ პრეტენზიას, ალბათ, სერიოზულად არ შეხედავენ არც პარლამენტში, რომელმაც კანონი უნდა შეცვალოს, არც მოსახლეობაში და არც მსოფლიოში. მაგრამ თუ ეს ნაწილი არის მთელი ერთი ერი (აფსუა ანუ აფხაზ მოსახლეობას პროექტის მიხედვით სწორედ ეს სტატუსი აქვს), თავისი ტერიტორიისა და "შეზღუდული სუვერენიტეტის" (ანუ სუვერენიტეტის) და "სახელმწიფო წარმონაქმნის" (ანუ სახელმწიფოს) მქონე, მაშინ მას მაქსიმალური გულისყურით, გაგებითა და სიმპათიით შეხედავენ, როგორც ერთ-ერთი ერის (ხალხის) ერთსულოვანი და გულითადი სურვილის გამოხატულებას. ეს მეტაიურიდიულ სფეროში შობილი ვერდიქტი გადავა პრაქტიკული პოლიტიკის სფეროშიც და სამართლებრივ სფეროშიც, მით უფრო, თუ, როგორც პროექტშია, მომავალ კონსტიტუციაში არ იქნება ნათქვამი, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და რომ მისი სეცესია, ანუ მისი გასვლა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობიდან, კანონსაწინააღმდეგოა.

როგორც ვხედავთ, სეცესიის (გამოყოფის) ამ იურიდიული ოპერაციის ჩატარებას ძალიან მარტივი ლოგიკა ჰყოფნის: "სუვერენულმა" სახელმწიფომ ("სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნმა") აფხაზეთმა, თავის მოსახლეობის 100 (ან 99, ან 51) პროცენტის სახით, გუშინ ინება საქართველოსთან ერთობლივი სახელმწიფოს შექმნა და ამ მიზნით საქართველოსთან "ფედერალური შეთანხმება" მოახდინა. შეთანხმების შედეგად გუშინდლიდან არსებობს, სუვერენული "საქართველოს" სახელით, აფხაზეთის მომცველი ერთიანი სახელმწიფო. დღეს აფხაზეთს ამ შეთანხმებაში ყოფნა აღარ ჰნებავს. ამიტომ იგი გამოდის ამ შეთანხმებიდან (თავისი მოსახლეობის ასევე 100,99 ან 51 პროცენტის ნებით) და, ამგვარად, აფხაზეთის მომცველი სახელმწიფოც "საქართველოს" სახელით აღარ არსებობს". ეს ლოგიკა იურიდიული თვალსაზრისით უხინჯოა და, ამდენად, მის წინააღმდეგ გამოსვლა მსოფლიოში არავის ძალუძს.

სეცესიისგან საქართველოს მოჩვენებითი იურიდიული დაცვის მეორე მექანიზმი, პროექტით, შემდეგია: "ფედერალური შეთანხმების" პროექტის ტექსტში, მუხლი 14 (აბზ. 230), წერია: "ამ ფედერალურ შეთანხმებას აქვს კონსტიტუციური კანონის ძალა და წარმოადგენს აფხაზეთის რესპუბლიკისა და საქართველოს კონსტიტუციების განუყოფელ ნაწილს. იგი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით, საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებში ცვლილებათა შეტანისათვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად".

ციტირებული ტექსტი არაფრის მთქმელია. "კონსტიტუცია" იმ "კონსტიტუციური კანონის" ჩათვლით, რასაც წარმოადგენს "ფედერალური შეთანხმება", შეთანხმებისმიერი სახელმწიფოს კონსტიტუციაა და, მაშასადამე, მის ნორმებს ძალა არ გააჩნიათ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებული შეთანხმება - სახელმწიფოსი, რომლის კონსტიტუციასაც ისინი ემყარებიან, - დარღვეული იქნება ერთ-ერთი მხარის მიერ, რაც ამ სახელმწიფოს (ანუ საქართველოს, როგორც აფხაზეთის მიმცემელი სახელმწიფოს) იურიდიულ გაუქმებას ნიშნავს.

## V. დასკვნა I

ამგვარად, საქართველოსგან სეცესიის (გამოყოფის) იურიდიული მექანიზმი აფხაზეთს, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გარანტირებული აქვს სამი ძირითადი საშუალებით.

პირველი. აფხაზეთი აღიარებულია სახელმწიფოდ (გამოთქმებს შორის "სახელმწიფო", "სახელმწიფო წარმონაქმნი" და "სახელმწიფოს ხარისხის მქონე ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული", როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ტერმინოლოგიური განსხვავება არ არის).

მეორე. აფხაზეთი აღიარებულია სუვერენულად (გამოთქმებს შორის "სუვერენიტეტი" და "შეზღუდული სუვერენიტეტი" ტერმინოლოგიური განსხვავება, როგორც ზემოთ ვთქვით, არ არის).

მესამე. ის, რომ აფხაზეთი "საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაშია," პროექტის მიხედვით, არის "შეთანხმების" საგანი, ანუ ურთიერთობათა ისეთი ფორმის მატარებელი ერთიანობაა, რომელიც ექვემდებარება დარღვევას იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების ერთ-ერთ მონაწილეს არ უნდა ამ ერთობის გაგრძელება (რისთვისაც მას ან დაედება პირის გატეხვისათვის განკუთვნილი რაღაცა სანქცია ან არ დაედება).

## VI. აფსუა (აფხაზი") სეპარატისტების ხელთ არსებული

იურიდიული მექნიზმები რეალური ძალის მოპოვებისათვის, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის პირობებში, ის დრო, რომელიც, პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით, ჩაივლის "ფედერალური შეთანხმებით" შექმნილ საქართველოში აფხაზეთის ჩართვის დღიდან მისი ამ შეთანხმებიდან კვლავ გამოსვლის, ანუ საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფის, დღემდე, აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ უსარგებლოდ არ უნდა დაკარგოს. მან თავის ხელში უნდა თავი მოუყაროს რეალურ ძალას, პირველ ყოვლისა, - დემოგრაფიულ ძალას აფხაზეთის მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობის რადიკალური და გარანტირებული შეცვლის სახით იმასთან შედარებით, რაც იყო ომამდე, და იმასთან შედარებით, რაც არის დღეს. "ფედერალური შეთანხმების" პროექტით (მუხლი 3. აბზაცი 153-154), - განსაკუთრებულ (ე. ი. ექსკლუზიურ, ერთპიროვნულ. რედ.) აღმასრულებელ უფლებამოსილებას მიეკუთვნება.

## VI. დასკვნა II

პროექტის მიხედვით, აფხაზეთის ხელისუფლებას იურიდიული მექანიზმი ეძლევა იმისათვის, რომ "ფედერალური შეთანხმებით" შექმნილ საერთო სახელმწიფო "საქართველოში" აფხაზეთის ყოფნის პირობებში მოახდინოს თავის ხელში რეალური ძალის აკუმულირება (დემოგრაფიულის ჩათვლით), რომელიც მას გარანტირებულ საშუალებას მისცემს, მის მიერ არჩეულ მომენტში აამოქმედოს სეცესიის (საქართველოსაგან გამოყოფის) იურიდიული მექანიზმი.

***ნოდარ ნათაძე***

## TV პროგრამა

### 2 მარტი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ეის ვენტურა: შინაური ცხოველების ძიება" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.30** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ფორტბოიარდი **23.00** დოკ. ფილმი "ბიბლიის შიფრი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "24 საათი" (18) (შარლიზ ტერონი) **02.25** პატრული

**TV5**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.15** (შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** გადაცემა: რეპორტაჟი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ამოუცნობიმხ. ფილმი. რეჟისორიელიზაბეტ რაპენო. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ნატალია გუტმანის პორტრეტი. დოკ. ფილმი. **21.45** ციხე-სიმაგრეების ისტორია. დოკ. ფილმი. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **04.20** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი.

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ქვის ხანის კოლომბოსი" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - დათო ტურაშვილი **16.30** "არტე" ბიუსი რაბუტენის კოშკი **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ვედმინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ელდორადოს საიდუმლო" **23.00** ახალი პროექტი - "უფლის რწმენით და შეწევნით" **23.30** კინოსამყარო "ძაღლის ამბავი" (გ) **02.10** საინფ. გამოშვება

**კავკასია**

**11.00** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "ახალი ჯან-კლოდი" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "ითამაშე როგორც ზიზუ" (გ) **00.30** ტუწ-ემ

**202**

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

**მზე**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.25** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.50** შემეცნ. ფილმი "კლინიკა "მედი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება **00.00** მხ. ფილმი "კაცი, რომელიც ტიროდა" (18) (კრისტინა რიჩი)

**მეორე არხი**

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "წმინდა ელენეს კუნძული" **21.45** ექსცენტრიკოსები **22.10** კინოსეანსი "თემო"

**იმედი**

**06.55** "იმედის დილა" **07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** სერიალი "ორი ბედი" **12.40, 16.25, 03.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "უიღბლონი" (ჟან რენო) **14.45, 17.10, 03.45** იმედის მელოდიები **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "უცნობი საქართველო" **23.45** მხ. ფილმი "მეოთხე ანგელოზი" (გ) (ჯ. აირონსი) **01.20** მხ. ფილმი "შურისმაძიებელი სული" (გ) (ჯ. სკოტი)

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.30** სათავგ. ფილმი "განძი" **11.00** მუსიკა **11.30** ფანტასტიკა "გატაკა" **13.15** მუსიკა **13.30** თრილერი "თოვლით დაბრმავება" **15.40** მუსიკა **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** კომედია "საქორწილო წვეულება" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** თრილერი "სისხლიანი სამუშაო" **23.00** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** მხ. ფილმი "ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"

**ОРТ**

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ПОТЕРЯВШИЕ СОЛНЦЕ". 11.10, 18.50** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Алексей Гуськов в многосерийном детективе **"ПОДОЗРЕНИЕ". 13.30** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 16.20** "Пять вечеров". Среда. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ". 18.50** Сериал **"КЛОН". 19.50** Константин Хабенский в многосерийном фильме **"ЖЕНСКИЙ РОМАН". 21.00** Время. **22.40** Спецрасследование. "Пластическая хирургия". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Мир во время чумы". **00.20** "Формула власти". Премьер-министр Испании. **00.50** Док. сериал "Оружие Второй мировой войны". **01.20** Джон Кэнди в комедии **"ВООРУЖЕНЫ И ОПАСНЫ"**. Бывший полицейский Фрэнк Дули и юрист Норман Кэйн, то же потерявший работу, умудряются устроиться охранниками в частную фирму по перевозке денег и дорогостоящих грузов. Но в первую же ночь их дежурства происходит большая неприятность: один из складов полностью ограблен! Друзья решают сами найти преступников и вывести их на чистую воду... **03.00** Что? Где? Когда? **04.20** Триллер Стивена Кинга **"КРАСНАЯ РОЗА"**. **2**-я серия. **05.15** "Подводный мир Андрея Макаревича".

**НТВ**

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: ПОМИНАЛЬНАЯ КНИГА". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Особо опасен! **10.50** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5". 11.50** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 13.40** Владимир Павлов в детективе **"КОНТРАБАНДА"**. Только честность и неподкупность советских граждан - от рядовой буфетчицы до капитана судна - помогает молодому следователю пресечь попытку контрабанды и задержать преступника... **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"АДВОКАТ: ПРИЗНАНИЕ"**. Часть 2-я. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ЗАБЫТЬ ВСЕ"**. Часть 1-я. **22.40** Сериал **"ЛЮБОВНЫЕ АВАНТЮРЫ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ". 01.25** Сериал **"ДЕТЕКТИВ РАШ". 02.20** Бильярд. **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II". 05.40** Чрезвычайное происшествие.


სახელი ____
გვარი ____
ასაკი ____
სიმაღლე ____
მისამართი ____
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____ თარიღი ____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს პრეტენდენტებს, თამამ, მოხერხებულ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი


## სკანვორდი



# გარდაიცვალა "მაკინტოშის" დამაარსებელი



61 წლის ასაკში გარდაიცვალა ჯეფ რასკინი - Apple Computer-ის ერთ-ერთი დამაარსებელი და "მაკინტოშის" იდეის ავტორი.

Apple Computer-ში რასკინი 1978 წელს მივიდა და გახდა კომპანიის რიგით 31-ე თანამშრომელი. რასკინს ეკუთვნის "მაკინტოშის" დაარსების საწყისი იდეა. მისი შემქმნელების წინაშე იდგა ამოცანა გაეკეთებინათ რაც შეიძლება ხელმისაწვდომი, მომხმარებელზე ორიენტირებული და მაქსიმალურად მარტივი კომპიუტერი. მანვე მოიფიქრა ახალი კომპიუტერისთვის სახელი Macintosh (მაკინტოში), რომელიც მისი საყვარელი ვაშლის ჯიშის "მაკინტოშის" საპატივსაცემოდ იყო დარქმეული.

1982 წელს, ორი წლით ადრე, ვიდრე ამერიკის ბაზარზე გამოჩნდებოდა "მაკინტოშის" კომპიუტერები, რასკინმა დატოვა კომპანია სტივ ჯობსთან (Apple Computer-ის დამაარსებელთან) უთანხმოების გამო.

Apple Computer-დან წამოსვლის შემდეგ, რასკინმა დააარსა თავისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია.

წელს გამოსცა წიგნი The Humane Interface ("ინტერფეისი: ახალი მიმართულება კომპიუტერული სისტემის პროექტირებაში").

ჯეფ რასკინი საკუთარ სახლში, თავისის ოჯახისა და მეგობრების გარემოცვაში გარდაიცვალა.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




# რა საჭიროა ცრემლები



გამოემშვიდობა რა 2003 წელს მსმენელს ბრიტანული ჯგუფი Suede, მისმა წევრებმა ვერ შეძლეს მუსიკასთან განშორება. ბიჭები ისევ სცენაზე არიან, მაგრამ სულ სხვა სახით. გასულ კვირას ჯგუფს The Tears პირველი კონცერტი ჰქონდა. ჯგუფის შემადგენლობაშია ბრეტ ანდერსონიცა და ბერნარდ ბატლერიც - Suede-ის თაყვანისმცემლები ორივეს კარგად იცნობენ. ორივე მუსიკოსი ბევრს საუბრობს იმაზე, თუ რა კარგია მათთვის ერთად მუშაობა, მაგრამ შეკითხვაზე - მაშინ რა საჭირო იყო ძველის დაშლა და ახალი ჯგუფის ჩამოყალიბება, ჯერჯერობით, პასუხი არ ისმის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ The Tears-მა, ფაქტობრივად, დაიწყო კონცერტების სერია, რომელიც ჯგუფის სადებიუტო ალბომს ეძღვნება.

# ფორპოსტი მთვარეზე



იაპონიას კოსმოსურ სფეროში დიდი გეგმები აქვს. დღეისათვის ცნობილია ორი პროექტი: პირველი - მთვარეზე კოსმოსური ბაზის, ადამიანებისთვის ფორპოსტის აგებაა, მეორე კი კოსმოსში არამიწიერი არსებების აღმოჩენა.

პირველი პროექტი, უახლოეს 20 წელზეა გათვლილი. იაპონური აეროკოსმოსური სააგენტოს JAXA-ს წინაშე ამოცანად დგას ორი თარიღი. 2015 წლისთვის იაპონელებმა უნდა შეასრულონ სამუშაო მთვარეზე გამოსაკვლევად. ამის შემდეგ კი დაიწყება ბაზის მშენებლობა. 2025 წლისთვის უნდა იყოს კონსტრუირებული მრავალჯერ გამოყენებადი კოსმოსური ხომალდი, რომელიც მთვარეზე იაპონელ ასტრონავტებს დასვამს. ამასობაში, ცხოვრება იაპონიაში ტექნიკური თვალსაზრისით კიდევ უფრო სრულყოფილი იქნება. თანამგზავრიდან თითოეულ იაპონელს ექნება საშუალება მიიღოს ინფორმაცია გადარჩენის საუკეთესო გზებზე მიწისძვრისა და ცუნამის დროს, მაშველებს კი ზუსტი ცნობები ექნებათ კატასტროფის ეპიცენტრზე. ამ მასშტაბური პროექტის განსახორციელებლად კოსმოსური სააგენტოს ბიუჯეტი ექვსჯერ, 57 მილიარდ დოლარამდე იქნება გაზრდილი.

დღემდე JAXA ძირითადად თანამგზავრებსა და კოსმოსში სამეცნიერო მუშაობის განვითარებაზე იყო ორიენტირებული. როგორც ჩანს, სააგენტოში მკვეთრად შეიცვალა კოსმოსის ათვისების პოლიტიკა. ზოგიერთი ექსპერტი იაპონელების ამ სითამამეს 2003 წელს ჩინური პროექტის წარმატებებს მიაწერს. მას შემდეგ, რაც ჩინურმა "ტაიკუნავტამ" დედამიწას შემოუარა, პეკინმა მთვარეზე მისიის გაგზავნის შესახებ განაცხადა.

პირველ მარტს სტარტი აიღო კიდევ ერთმა კოსმოსურმა პროექტმა. წამყვანმა იაპონურმა ობსერვატორიებმა გველის თანავარსკვლავედში არამიწიერი არსებების ძიება წამოიწყეს. იაპონელები "ყვითელ", პარამეტრებით მზისმაგვარ მანათობელს მოძებნიან. ძიებებისთვის გველის თანავარსკვლავედი იმიტომ შეარჩიეს, რომ 1988 წელს ამერიკელი მკვლევარების ჯგუფმა სწორედ იქიდან მიიღო ელექტრომაგნიტური სიგნალი. ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ იმპულსი ხელოვნურია. "ოპტიკური ჯგუფის" პარალელურად იმუშავებს ასტრონომების ჯგუფი პროფესორ მიცუმი ფუძისიტას ხელმძღვანელობით. მათი ამოცანაა ელექტრომაგნიტური ტელესკოპის საშუალებით აღნიშნული რაიონიდან სიგნალების არსებობა დააზუსტონ.

# დახმარება "პინქფლოიდის" სახელით




დასრულდა "პინქფლოიდის" თაყვანისმცემლების მიერ ორგანიზებული ლატარეისთვის პრიზების ჩაბარება. ლატარეა ფანებმა ცუნამის დაზარალებულების დასახმარებლად წამოიწყეს - ისინი აგროვებდნენ ლეგენდარულ მუსიკალურ ჯგუფთან დაკავშირებულ იშვიათობებს. შეგროვდა ასამდე პრიზი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სუპერ კომპაქტ-დისკი Dark Side Of The Moon, რომელსაც ოთხივე წევრის ხელომოწერა ამშვენებს. მარტის პირველ კვირაში ყველა მსურველს შეეძლება 10 ავსტრალიურ დოლარად შეიძინოს ლატარეის ბილეთი. გადახდა წარმოებს ე.წ. PayPal. სისტემით.

რაც შეეხება "პინქფლოიდს", ამ ლეგენდარული ჯგუფის ბიოგრაფიას, მისივე წევრის ნაამბობით უკვე ფრანგულ ენაზე გაეცნობა მკითხველი. ნიკ მეისონის წიგნი Inside Out. A Personal History Of Pink Floyd უკვე გამოიცა. როგორც ამბობენ, ფრანგული ვერსიის სათაურები გაცილებით ახლოს დგას აზრობრივად ორიგინალთან, ვიდრე წიგნის იტალიური თარგმანი. საკუთარი წიგნის რეკლამირების მიზნით, ნიკ მეისონი პარიზში სამ დღეს - 9-დან 11 მარტამდე დაჰყოფს. 9 მარტს კი, მაღაზია Virgin Megastore- ში მყიდველები წიგნთან ერთად მუსიკოსის ავტოგრაფსაც მიიღებენ.

# ლენონი ისრაელის პედაგოგებს დაეხმარება

ისრაელის განათლების სამინისტროში გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ "ემნისტი ინტერნეიშენელის" საერთაშორისო პროექტში Imagine და ამ პროექტის მეთოდები რთული მოზარდების აღსაზრდელად გამოიყენონ. პროექტს ეს სახელწოდება ჯონ ლენონის ცნობილი სიმღერიდან აქვს აღებული - იოკო ონომ დართო ნება სიმღერა საერთაშორისო სამართალდამცავების ოფიციალური ჰიმნი ყოფილიყო. "ემნისტი ინტერნეიშენელმა" ამ დროშის ქვეშ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მასშტაბური პროპაგანდისტული კამპანიები განახორციელა. როგორც იტყობინებიან, პროექტში "მიფტანიმის" სისტემის სკოლებში მსწავლები 2 ათასზე მეტი მოზარდი მიიღებს მონაწილეობას. პროექტის ფარგლებში ისინი გაივლიან დამატებით კურსებს ბავშვების უფლებების საკითხებში, მუსიკასა და ცეკვაში. ისრაელის ბავშვებს უამბობენ იმ ქვეყნებზე, სადაც ბავშვების უფლებები ირღვევა და შემდეგ შესთავაზებენ მისწერონ საპროტესტო წერილები ამ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £4550 სახელმძღვანელოების ჩათვლით.

BA (Hons)

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ტელ: 253045, 230284 მობ. 877-423569
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
MS Word,
MS Excel.
Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.